



სამართლის კულტურა

LEGAL CULTURE

2025, № 1

WWW.LEGALCULTURE.GE

ISSN 3088-4365

E ISSN 3088-4357



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

სამართლის კულტურა

LEGAL CULTURE

ISSN 3088-4365

E ISSN 3088-4357

DOI: <https://doi.org/10.65454/lc>

№ 1

ოქტომბერი, 2025
OCTOBER, 2025



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

სარედაქციო კოლეგია
EDITORIAL BOARD

რედაქტორი
EDITOR

რევაზ ნადარაია
REVAZ NADARAIA

ბეკა ქანთარია
BEKA KANTARIA

ევა გოცირიძე
EVA GOTSIRIDZE

გიორგი თევდორაშვილი
GIORGI TEVDORASHVILI

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი
KETEVAN MTSCHEDLISHVILI-HEDRICH

ბერტრან მათიე
BERTRAND MATHIE (FRANCE)

მიხეილ ბრენერი
MIKHAIL BRENNER (GERMANY)

ჯეისონ დესანტო
JASON DESANTO (USA)

კლაუს კრესი
KLAUS KRESS (GERMANY)

WWW.LEGALCULTURE.GE
JCL@CONSTCOURT.GE

ჟურნალის წინამდებარე გამოცემა
ემლვნება საქართველოს 1995 წლის 24
აგვისტოს კონსტიტუციის მიღებიდან
30 წლის იუბილეს!



სარჩევი

CONTENTS

მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე ON THE INTERNATIONAL STAGE OF SCIENCE	7
---	---

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის სიტყვა საქართველოს კონსტიტუციის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით ADDRESS BY THE PRESIDENT OF THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA ON THE OCCASION OF THE 30TH ANNIVERSARY OF THE CONSTITUTION OF GEORGIA	9
---	---

აკადემიური კვლევები

ACADEMIC RESEARCH

სულხან გამყრელიძე ჰერაკლიტის მზე (ჰერაკლიტის მზის სხივები ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში) SULKHAN GAMKRELIDZE THE SUN OF HERACLITUS (THE RAYS OF HERACLITUS' SUN IN HEGEL'S PHILOSOPHY OF LAW)	13
---	----

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი გვამური დონაციის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემისათვის KETEVAN MTSCHEDLISHVILI-HEDRICH ON CERTAIN LEGAL ISSUES OF CADAVERIC DONATION	31
---	----

BERND HEINRICH HATE SPEECH IN SOZIALEN MEDNIEN – TÄTERSCHAFT UND TEILNAHME BEI STRAFBAREN BELEIDIGUNG IM INTERNET	55
---	----

გიორგი ხატიძე, ზვიად გაბისონია, ნინო ჯოლია

ციფრული მმართველობის

სამართლებრივ-ტექნოლოგიური ასპექტები

GEORGE KHATIDZE, ZVIAD GABISONIA, NINO JOLIA

LEGAL AND TECHNOLOGICAL ASPECTS

OF DIGITAL GOVERNANCE 87

გურამ ღვინჯილია, რევაზ პერულავა

ციფრული და გაციფრებული კულტურული

საკუთრების დაცვა საერთაშორისო

ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში

GURAM GVINJILIA, REVAZ BERULAVA

PROTECTION OF DIGITAL AND DIGITIZED

CULTURAL PROPERTY WITHIN THE SCOPE

OF INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW 113

კონსტიტუციონალიზმის დიალოგი

DIALOGUE ON CONSTITUTIONALISM

კრისტიან შტარკი

კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო საპროცესო აქტების

ინტერპრეტაცია და შემდგომი განვითარება

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

CHRISTIAN STARCK

INTERPRETATION AND FURTHER DEVELOPMENT OF THE

CONSTITUTION AND CONSTITUTIONAL PROCEDURAL

ACTS BY THE CONSTITUTIONAL COURT 142

MONUMENTA IURIS

ესპანეთის მონარქიის 1812 წლის

19 მარტის კონსტიტუცია

THE CONSTITUTION OF THE SPANISH

MONARCHY OF MARCH 19, 1812 164

JUDICIAL BIOGRAPHIES

ვლადიმერ მაყაშვილი

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სამეცნიერო

და პედაგოგიური მოღვაწეობა

VLADIMER MAKASHVILI

LUARSAB ANDRONIKASHVILI'S SCIENTIFIC

AND PEDAGOGICAL ACTIVITY 194

მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სამეცნიერო ჟურნალის გამოცემის ტრადიცია თითქმის მისი დაარსებიდან იღებს სათავეს. მის წიაღში იქმნებოდა და პერიოდულად იბეჭდებოდა: „ადამიანი და კონსტიტუცია“, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მრავალ ავტორს უწყვეტი შესაძლებლობა მისცა თავიანთი სამეცნიერო შემოქმედების პოპულარიზაციისათვის. ამ აკადემიურმა კვლევებმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართული სამართლის მეცნიერული სკოლის განვითარებაში.

ჩვენი სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონსტიტუციური შემოწმების საგანი, საკონსტიტუციო სამართლის ნორმებთან ერთად, სხვა სამართლებრივი ნორმებიცაა, რომლებიც შინაარსობრივად საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებს აწესრიგებენ. ამასთანავე, ვფიქრობთ, სრულიად გამართლებულია ჟურნალისათვის ახალი სახელწოდება, რომელიც სამართლის ყოვლისმომცველ და უნივერსალურ ბუნებას გამოხატავს.

„სამართლის კულტურა“ სამართალმცოდნეობაში მრავალდარგოვან შინაარსს ატარებს და სამართლის ყველა სფეროს მკვლევარს თანამშრომლობის თანაბარ შესაძლებლობას სთავაზობს.

ამიტომ, ჟურნალის სახელწოდებად „სამართლის კულტურა“ შევარჩიეთ. სამართალი, თავისთავად, კულტურული მოვლენაა და საზოგადოების კულტურული შემოქმედების შედეგს წარმოადგენს. სამართლის კულტურა ნიშნავს ღირებულებათა ლოგიკურ სისტემას, რომელშიც სამართალი იზადება, არსებობს და მოქმედებს (გუსტავ რადბრუხი). სამართლისა და კულტურის ურთიერთმიმართება მუდმივ დინამიკაში ვითარდება. ამ პროცესში გამოკვეთილია საკონსტიტუციო სასამართლოს როლი. იგი სამართლის განვითარებას ორი მიმართულებით უწყობს ხელს: ერთი მხრივ, საკონსტიტუციო სამართალწარმოებით, მეორე მხრივ კი, სამეცნიერო ჟურნალის გამოცემით.

ჟურნალის უნივერსალური ხასიათი ვლინდება თემატურად მრავალფეროვან რუბრიკებში, რასაც მკითხველი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ინტერესით მიიღებს. ჟურნალი მიზნად ისახავს თანამედროვე სამართლის აქტუალური პრობლემების, მათ შორის სამართლის ისტორიული მიღწევების მეცნიერულ გაშუქებას და, ამავედროულად, იმ გამოჩენილ სამართალმცოდნეთა ღვაწლისადმი პატივის მიგებას, რომელთა წვლილი თვალსაჩინოა სამოსამართლო კულტურის განვითარებაში.

წინამდებარე ჟურნალის ახალი ფორმატით გამოცემა აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, იმ მოთხოვნებით, რასაც სამეცნიერო ჟურნალებს საერთაშორისო სტანდარტები უყენებს. კერძოდ, ისინი გულისხმობს ახალი ჟურნალისათვის დამოუკიდებელი ვებგვერდის შექმნას და ამის საფუძველზე გლობალური, უნიკალური სტანდარტის – DOI-ს (*Digital Object Identifier*) მინიჭებას.

გულითადად ვულოცავ იურიდიულ საზოგადოებას ახალი სტანდარტებით ჟურნალის პირველი ნომრის გამოშვებას და იმედს ვიტოვებ, რომ ყოველი მომდევნო გამოცემა შეძლებს გზის გაკვალვას მკითხველისკენ, ვისთვისაც სამართალი და სამართლის კულტურის გააზრება წარმოადგენს არსებით ღირებულებას.



რევაზ ნაღარაია

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოთა თავმჯდომარე

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარის სიტყვა საქართველოს კონსტიტუციის
მიღების 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით
გამართულ ოფიციალურ ღონისძიებაზე**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით, გილოცავთ საქართველოს კონსტიტუციის მიღების დღეს!

დღევანდელი დღე ღირსსახსოვარი დღეა, რადგან ის ეხმიანება საქართველოს კონსტიტუციის მიღების 30 წლის იუბილეს. ეს თარიღი საუკეთესო შესაძლებლობაა იმისათვის, რათა უფრო მეტად გავიაზროთ და ღრმად გავითავისოთ კონსტიტუციის მნიშვნელობა; ამავე დროს, პატივი მივაგოთ მის დამფუძნებლებს, ვინც მონაწილეობდა ამ დიდებულ საქმეში – ჩვენი ქვეყნის ყველა დროის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის შექმნაში. მაღლიერება გვმართებს მათდამი, საქართველოს ნათელი მომავლის განსაზღვრაში გაწეული ღვაწლისათვის.

საქართველოს კონსტიტუცია დასავლური აზროვნების თვალთახედვითაა შექმნილი. იგი საკონსტიტუციო იდეებისადმი ქართველ მოღვაწეთა სწრაფვისა და ნაცადი დემოკრატიების გამოცდილების გაზიარების შედეგია და ჩვენი ერის თავისუფალი არჩევანის, ეროვნული ღირსებისა და თვითმყოფლობის შთაგონებითაა გამსჭვალული. კონსტიტუცია, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად აღიარებს ჩვენი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, რაც იშვიათია მსოფლიო კონსტიტუციონალიზმში.

ქართველმა ერმა მდიდარი სამართლებრივი კულტურა შექმნა, რომლის უტყუარი გამოხატულებაა ჩვენი პირველი კონსტიტუცია. მისი არაერთი დებულება თავსებადი აღმოჩნდა დღევანდელი კონსტიტუციის რედაქციასთან, რითაც დასტურდება მათი მემკვიდრეობითობა.

კონსტიტუციამ, როგორც დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის მთავარმა სიმბოლომ, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე რთულ პერიოდში, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტი შექმნა, გააძლი-

ერა და განამტკიცა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, მყარი ნიადაგი შეუქმნა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს.

საქართველოს კონსტიტუცია 2017-2018 წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდა, რაც ქართული სახელმწიფოს მომავლისათვის უაღრესად წინ გადადგმული ნაბიჯია. საფუძვლიანად დაიხვეწა სახელმწიფო მმართველობის ფორმა, საგრძნობლად გაფართოვდა უფლებათა სფერო. საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, კონსტიტუცია სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციონალიზმის პრინციპებთან, რომელმაც მას სიმტკიცე შესძინა და ის კვლავ დგას როგორც თავისუფალი საქართველოს მესაძირკვლე.

ჩვენი ვალდებულებაა კონსტიტუციის ერთგულება, მისი ფუნდამენტური ფასეულობების განუხრელი დაცვა, რასაც ემყარება სამართლის უზენაესობის პრინციპი. კონსტიტუცია სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს, თავისუფალი საზოგადოების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, დემოკრატიულ ღირებულებათა ქმედითობის აუცილებელი პირობაა.

საქართველოს კონსტიტუციამ დასაბამი მისცა ჩვენში ახალ სამოსამართლო სისტემას – საკონსტიტუციო სამართალწარმოებას, რომელმაც მისეული სტანდარტების დამკვიდრებით, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კონსტიტუციური წყობის მორალური საწყისის – ადამიანის ღირსების დაცვასა და კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცებაში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აამეტყველა და რეალური ძალა შესძინა კონსტიტუციას. სწორედ მას ეკუთვნის საბოლოო სიტყვა კონსტიტუციის განმარტებისა.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადამწყვეტი როლი შეასრულა კონსტიტუციისადმი საზოგადოების რწმენის გაძლიერებაში. ამავე დროს, მან სამართლის სისტემის წარმატებული ფუნქციონირების საფუძველი შექმნა, რითაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საკონსტიტუციო სივრცეში.

დღევანდელ ისტორიულ მომენტში საკონსტიტუციო სასამართლოს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რათა აწმყოსა და მომავლის გამონწევებს ღირსეულად გაუმკლავდეს.

ჩვენი კონსტიტუციის 30 წლიანი არსებობა უკვე თავისთავადი აღთქმაა ღვთისა და ერის წინაშე, რომ საქართველო შეუქცევადი დემოკრატიის მტკიცე ერთგულია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს და გისურვებთ წარმატებებს!

რეზა ნადარია

საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს თავმჯდომარე

24 აგვისტო, 2025 წელი

საქართველოს პრეზიდენტის სასახლე

აკადემიური კვლევები
ACADEMIC RESEARCH

ჰერაკლიტის მზე (ჰერაკლიტის მზის სხივები ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში)

სულხან გამყრალიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, თინათინ წერეთლის
სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
gamkrelisulkhan@gmail.com

რეზიუმე. ამ ნაშრომს, ნაწილობრივი მხატვრულ-ბიოგრაფიული სტილის გამო, ესე ვუწოდეთ, რომელშიც განხილულია სოკრატემდელი ბერძენი ფილოსოფოსის, ჰერაკლიტე ეფესელის ფილოსოფია სამართლის ფილოსოფიის ჩრდილში. ჩაფიქრებული გვაქვს გამოვიკვლიოთ ჰერაკლიტეს ზეგავლენა (ე.წ. „მზის სხივები“) მსოფლიო აზროვნების ცალკეულ კლასიკოსებზე. ამიტომ, ესეც ძირითადი სათაურია – „ჰერაკლიტეს მზე“, რომელიც კონკრეტდება ქვესათაურით (მოცემულ შემთხვევაში „ჰერაკლიტეს მზის სხივები ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაში“). წინამდებარე ნაშრომში განხილულია ჰერაკლიტეს მოძღვრების ზეგავლენა ჰეგელის ფილოსოფიასა და სამართლის ფილოსოფიაზე.

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფია, სამართლის ფილოსოფია, პოზიტიური სამართალი, ბუნებითი სამართალი

დღესდღეობით, ბავშვობის ასაკიდან ახლად გამოსულ ყმაწვილკაცთა გარდა, ახლოსაც არავინ ეკარება ფილოსოფიას, მაგრამ, როგორც კი მიაღწევენ მის ყველაზე ძნელ ნაწილს, დაოჯახებულნი საქმეს ჰკიდებენ ხელს და საბოლოოდ ემშვიდობებიან მას, თუმცა დიდ ფილოსოფოსებად კი მოაქვთ თავი. ფილოსოფიის ყველაზე ძნელ ნაწილს მე ვუწოდებ დიალექტიკას. შემდგომში, ისიც დიდ საქმედ მიაჩნიათ, თუ კეთილ ინებეს და, ვისიმე რჩევით, დაესწრნენ ფილოსოფიურ საუბრებს. რადგან სწამთ, რომ ეს საქმე ისე, სასხვათა-

შორისოდ უნდა აკეთო. სიბერეში კი, იშვიათ გამოჩენასთან გარდა, უფრო მალე ქრებიან, ვიდრე ჰერაკლიტეს მზე, რომელიც აღმოსავლეთს აღარ ანათებს.

პლატონი

ის პოეზია გაქრა,
იგი ოქრო და ვერცხლი,
დრომ ძველ მიდამოს გაჰკრა
ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი;
მაგრამ მე მოველ! მოველ -
მძლავრი გუგუნი ქნარის,
ძალაუფლება ყოველ
დღის ახალ-ახალ ქარის.

ბალახტიონ ტაბიძე

1. წინათქმა – ჰერაკლიტეს მოძღვრება

„მეტი სინათლე“, ინატრა გოეთემ სიკვდილის წინ.

ხშირად, ფიზიკური მოვლენები და შემთხვევითი გარემოებები მჭიდროდ უკავშირდება არამატერიალურ სულიერ საწყისებს. არისტოტელეს მეტაფიზიკა, რომელიც თავისი შინაარსით „პირველი ფილოსოფია“ იყო, მისმა მოწაფემ, ანდრონიკე როდოსელმა ბიბლიოთეკის თაროზე შემთხვევით „აღმოაჩინა“. ეს ნაშრომი, თაროზე, ფიზიკის ხელნაწერებს „იქით“ იდო. ნაშრომის მდებარეობა, რაც მან დაინახა, დაემთხვა არისტოტელეს ნაშრომების შინაარსს. შინაარსი კი ფილოსოფიამდელი ფილოსოფია იყო, ის, რაც ფილოსოფიას განაპირობებდა.

ჰერაკლიტეს გოეთეს მსგავსი აღსასრული არგუნა განგებამ. მას ბნელს და მტირალას ეძახდნენ, რამდენადაც მისი აზროვნების სიღრმეებს ვერ წვდებოდნენ. ბნელეთის გზაზე მიმავალი, მზის სხივების შარავანდედით შემოსილი დაემშვიდობა ამქვეყნიურ სამყაროს. ამ ორი საპირისპირო ფიზიკური მოვლენის შერწყმა, რომელიც ჰერაკლიტემ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში განიცადა, სრულად შეესაბამებოდა მის მიერ განვლილი ცხოვრების ფილოსოფიურ გზასა და იდეას დაპირისპირების ერთიანობაზე.

ჰერაკლიტე არ ეკონტაქტებოდა ხალხს, უყვარდა არტიმედეს ტაძრის ეზოში ბავშვებთან თამაში და განმარტოვება.

ეფესელებმა ჰერაკლიტეს თხოვეს, რომ „ბრძნული კანონები მიეცა“ მათთვის, მაგრამ მან უარი განუცხადა თანამოქალაქეებს: თქვენს კანონმდებლად ყოფნას, ბავშვებთან თამაში მირჩევნია, რამდენადაც უგვანი ცხოვრებით ცხოვრობთ და კანონებით თქვენი გამოსწორება შეუძლებელიაო.

ამის შემდგომ, გადმოცემის თანახმად, სპარსთა მეფე დარიოსმა მიიწვია თავის სასახლის კარზე. დარიოსი დაინტერესებული იყო, რომ სახელოვანი ფილოსოფოსი თავის სიახლოვეს ჰყოლოდა. სანაცვლოდ კი ჰერაკლიტეს დარჩენილი ცხოვრება მატერიალურად უზრუნველყოფილი იქნებოდა. ჰერაკლიტემ დარიოსის ეს წინადადება არ მიიღო. ის მთაში დასახლდა, ყველასგან განცალკევებით, მცენარეულით იკვებებოდა და იქიდან უჭვრეტდა მისგან შერისხულ გარესამყაროს.

ჰერაკლიტეს ადამიანებთან შეუგუებლობა ეფესური დემოკრატიისადმი სიძულვილში გადაეზარდა. ეს გრძნობა განსაკუთრებით გაუძლიერდა მას შემდეგ, რაც ხალხმა, ეფესიდან მისი მეგობარი, ფილოსოფოსი და რომაული საკანონმდებლო კოლეგიის – „დეცემვირის“ მრჩეველი, ჰერმოდორე გააძევა. მას არ მოსწონდა დემოკრატიული მართვის ფორმა, რამდენადაც მიაჩნდა, რომ ეფესური დემოკრატია ლოგოსისგან შორს იდგა. ჰერაკლიტემ პლატონამდე და თომას მანამდე ჩამოაყალიბა „სულის არისტოკრატიის“ ცნება. მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფო გონიერ ადამიანებს უნდა ემართათ და არა დემოსს.

გადმოცემის თანახმად, სოკრატემ, მას შემდგომ, რაც ჰერაკლიტეს ნაშრომებს გაეცნო, რომელიც მას ევრიპიდემ მიუტანა, წარმოთქვა ისტორიული სიტყვები: „რაც გავიგე შესანიშნავი იყო, რაც ვერ გავიგე ალბათ ისიც. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ასეთი წიგნი რომ გაიგო, დელოსელი მყვინთავი უნდა იყო“¹. კუნძული დელოსი საუკეთესო მყვინთავებით იყო ცნობილი. ამით სოკრატემ ჰერაკლიტეს ფილოსოფიის სიღრმეს გაუსვა ხაზი.

ვცადოთ, ცოტა ხნით დელოსელ მყვინთავებად გადავიქცეთ, ეგეოსის ზღვის ფსკერზე დავეშვათ, იმისთვის, რომ იმჟამინდელი ეფესის ეპოქა შევიცნოთ, ჰერაკლიტეს აზროვნების სიღრმესა და სულის სიმაღლეებს უკეთესად ჩავნვდეთ.

¹ ჰერაკლიტეს (520-460 ძვ.წ) ნაშრომი, რომელსაც ერქვა „ბუნებისათვის“, დღეს ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი. ამიტომ, თანამედროვე ეპოქაში, სხვაგვარად, მას ფრაგმენტებსაც უწოდებენ.

სიმბოლურია, რომ ჰერაკლიტემ, სულითა და წარმოშობით არისტოკრატმა, სამეფო ტახტი ძმას დაუთმო, თვითონ კი, მისი აზრით, უფრო აღმატებული, „ფილოსოფოსთა ფილოსოფოსის“ გვირგვინი არჩია.

ერთი მხრივ, ჰერაკლიტეს განდევილობა და, მეორე მხრივ, ბავშვებთან საუბარი, თავისთავად, არსებული ყოფით უკმაყოფილებისა და მომავლისკენ მიზნობრილი მზერის სიმბოლოებია. 121-ე ფრაგმენტი: „ეფესელნი ჭეშმარიტად იმის ღირსნი არიან, რომ ყველა სრულასოკვანმა ერთმანეთი ჩამოახრჩოს და მხოლოდღა უსაკოებს დაუტოვონ ქალაქი...² ჰერაკლიტესთვის, როგორც შემდეგმე ჰეგელისთვის, სამყაროს განვითარების სიმბოლო ბავშვია. ბავშვის განვითარების განსხვავებული ეტაპები, ზრდასრულობამდე, არის არა მარტო განვითარების ფიზიკური მხარე, არამედ სულიერიც, რამდენადაც ესეც ლოგოსთან არის დაკავშირებული. ფიზიკური განვითარება გონის განვითარების ეტაპებით განისაზღვრება.

ცხოვრება მდინარეა, სადაც „ყველაფერი მიედინება“ და რომელშიც „ორჯერ ვერ შეხვალ“, რამდენადაც მეორე შესვლისას სხვა დინება და სხვა გარემო დაგხვდება. მდინარეში მეორედ შესვლისას, არა მარტო წყალი, არამედ დროც განსხვავებულია. განსხვავებულია მოთხოვნები, სტანდარტები, საჭიროებები, გარემო.

ამქვეყნიური ყოფა დროის ეპიზოდებიდან შედგება. როდესაც ერთი ეპიზოდი გავლილია, ადამიანი უნდა მოემზადოს სხვა ეპიზოდისთვის. ამისთვის მუდმივი სრულქმნაა საჭირო. ვინც ამ პრინციპს უგულვებელყოფს, ის მარცხდება.

წარმოვიდგინოთ მღელვარე ზღვა, რომელშიც შევდივართ. ერთ ტალღას ავყევით და მას მერე, რაც ეს ტალღა ჩვენს უკან დარჩა, შემდეგი ტალღისთვის კი არ მოვემზადეთ, არამედ წასულ ტალღას გავეკიდეთ უკან. ეს სრული მარცხია. იმ ძველსაც ვეღარ დავენევით და ახალი ტალღა დაგვარტყამს უკნიდან.

ამის საპირისპირო რეალობა: მას შემდეგ, რაც ძველი ტალღა, ჩვენს უკან გავისტუმრეთ, ახალ ტალღას შევხვდით. ძველი და ახალი ერთმანეთს არ ჰგავს. ამიტომ ახალი ტალღა, ახალი გარემოებაა, რომელიც ჩვენც გვცვლის და სხვა ტიპის რეალობაში გვამყოფებს. ამ მომენტში ერთვება გონი, ჰერაკლიტე რომ „ლოგოსს“ უწოდებს. ლოგოსი (და არა მარტო ტალღა) პირველი ტალღის პირობებში სხვა იყო და შემდეგი ტალღის რეალობაში განსხვავებულია. სოციალური გარემო ცვალებადია და ცვალებადი გარემო ცვლის ადამიანს.

² ბრეგვაძე, ბ. (2006). ახალი თარგმანები II, ჰერაკლიტე ეფესელი. 17.

როგორც აღვნიშნეთ, ჰერაკლიტეს ფილოსოფიის ერთ-ერთი საფუძველი „ლოგოსია“. და მაინც რა არის ლოგოსი? ცნება *λόγος* (ბერძ.) და ლოგოს (ლათ.) არაერთმნიშვნელოვანია. ლოგოსში მოიაზრება „სიტყვა“, „განმარტება“, „გონება“, „განსჯა“, „კანონი“, „დებულება“, „სამართალი“, „მართვა“, „წესი“, „განანესი“...

სიტყვა ლოგოსიდან ნაწარმოებია ტერმინი *lege. lege*-ში მოიაზრება რისამე „დადება“, რომელმაც სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძინა. ტერმინმა „დებამ, დადება“, – წესის, კანონის, სამართლის ცნებამდე მიგვიყვანა. ისტორიულად, სამართლებრივი დოკუმენტები იტვიფრებოდა სვეტზე, ძეგლზე, დიდ ქვაზე, რომელთაც ამ წესით აქვეყნებდნენ (მაგ. ჰამურაბის კანონები). აქედან – ძეგლის დება, ძეგლის დადება, ძეგლის წერა, რომელიც რისამე შედგენას, დადებას, დაწერას, შექმნას ნიშნავდა და რომელსაც კარგად იცნობს საქართველოს სამართლის ისტორია³. აქედან მოდის თანამედროვე სამართლებრივი ტერმინები – დებულება, დადგენა, დადგენილება და ა.შ. მსგავსი ტენდენციები უცხო ენებშიც შეიმჩნევა. *lege* არის სანყისი ინგლისური *law*-ის, სკანდინავიური *log*-ის, გერმანული *legen*-ის, *setzen*-ის (აქედან სიტყვა *Gesetz*, რომელიც კანონს ნიშნავს).

დავუბრუნდეთ ჰერაკლიტეს მოძღვრებას. მის უკეთესად შესაცნობად ისტორიულად წინ წავიდეთ და სხვა ავტორებთან კავშირში განვიხილოთ მისი შეხედულებები. ამ სახით, უკეთესად გავერკვევით ჰერაკლიტეს ფილოსოფიასა და სამართლის ფილოსოფიაში.

ჰერაკლიტე, უპირველეს ყოვლისა, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის (1770-1831) სულიერი წინაპარი იყო.

2. ჰეგელის მოძღვრება ჰერაკლიტეს მოძღვრების სარკეში

ჰეგელმა თავისი ცნობილი დიალექტიკური განვითარების მოძღვრება ჰერაკლიტესგან „ისესხა“ და დახვეწა.

დავინწყოთ ცნებით – *Zeitgeist*. *Zeitgeist* არის დროის, ეპოქის სული. ეპოქის სული მსოფლიო სულის (*Weltgeist*) ცნებასთან დაკავშირებული ცნებაა.

³ ფურცელაძე, დ. (1987). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11. 266.

მსოფლიო სულს ჰეგელი უწოდებს ერთიანი ისტორიის გონითი წვდომის უმაღლეს გამოვლინებას.

დავუბრუნდეთ ეპოქის სულს. ჰეგელამდე ეს ტერმინი გერმანელმა ფილოსოფოსმა და პოეტმა იოჰან გოტფრიდ ჰერდერმა (1744-1803) გამოიყენა 1769 წელს გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ ნაშრომში. ამის შემდგომ, აღნიშნული ტერმინი საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის, გერმანიის 1830 წლისა და 1848 წლის რევოლუციების შუალედში საკმაოდ ხშირად გვხვდება. ამ ცნებას ყურადღება გოეთემაც დაუთმო „ფაუსტის“ პირველ ნაწილში.

*„Was ihr den Geist der Zeiten heißt,
Das ist im Grund der Herren eigner Geist,
In dem die Zeiten sich bespiegeln“⁴.*

*„რასაც ეწოდა ეპოქის სული,
ეს არის გონი ბატონთა სრული,
ფლობა და პყრობა საკუთარ ჟამთა,
და შემდგომ დროში არეკვლა მათთა“⁵.*

„მრავალ ეპოქაზე“, – „დროთა ცვლაზე“, საქართველოში ალექსანდრე ჭავჭავაძეც ამახვილებდა ყურადღებას.

*„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტვენენ, განჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად;
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!“*

ჰეგელს მიაჩნდა, რომ „ჟამთა ცვლა“ ცვლის ადამიანს. იგივე მიაჩნდა ჰერაკლიტესაც. ცუდი და კარგი დრო არ არსებობს, არსებობს სხვა დრო, რომელიც, უბრალოდ, განსხვავებულია. ცვლილებებშია პროგრესი, მაგრამ ეს არ ნიშნავს აბსოლუტურ, რადიკალურ ცვლილებებს. ჟამთა ცვლა არ გამოორიცხავს წარსულში არსებული გამოცდილებიდან გარკვეული ელემენტების შენარჩუნებასაც. ამას გულისხმობდა ალექსანდრე ჭავჭავაძე „მარად, იგივედ“ ყოფნაში, რაც არ ეწინააღმდეგება არც ჰერაკლიტესა და, მით უფრო, არც

⁴ Werke, G. (1988). IV Band, Faust, Aufbau-Verlag Berlin und Weimar. S. 175.

⁵ თარგმანის სისწორეზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ჰეგელის მოძღვრებას. აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო დეტალურად დავუბრუნდებით.

დიდ მოაზროვნეებს, რამდენადაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, აქვთ საერთო მახასიათებლებიც. ამჯერად იგულისხმება ენა. მშობლიური ენის მაგიური ძალა, ხშირად კავშირშია ძალიან დიდ აღმოჩენებთან და იდეებთან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. სიმბოლურია, რომ „ლოგოსის“ ერთ-ერთი მნიშვნელობა იყო „სიტყვა.“ ენის ცოდნა აუმჯობესებს აზრის უკეთ გაგებას. შეუძლებელია იმ დონეზე გავიგოთ ჰეგელი, კანტი ან მარტინ ჰეიდეგერი, რომ ის ენა არ ვიცოდეთ, რა ენაზეც ისინი მეტყველებდნენ, აზროვნებდნენ და ქმნიდნენ. ამიტომ იყო, რომ დიდი მოაზროვნეები, ფილოსოფოსები და იურისტები, მშობლიური ენის საუკეთესო დიდოსტატებიც იყვნენ. ენის ფილოსოფია იყო ტრანზიტი, ზოგადად, ფილოსოფიისა და სამართლის ფილოსოფიის სივრცეების დასაპყრობად. მაგალითისთვის, ჰანს კელზენის კითხვისას შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებს ვკითხულობთ. ის ძალიან მსუბუქი, მარტივი და ლიტერატურული ენით ხსნის სამართლის ფილოსოფიის ურთულეს საკითხებს. დავუბრუნდეთ ისევ ჰეგელს. მისი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი არის სამყაროს დიალექტიკური განვითარების მეთოდი.

აღნიშნულ პრინციპს, ჰეგელი გერმანული სიტყვით, *werden*-ით გამოხატავს. *werden*, როგორც სიტყვა, გულისხმობს რაღაცის შეცვლას, გახდომას, განვითარებას, ცვლილებას, ქმნას, გარდაქმნას, გარდასახვას, სახეცვლილებას. ეს არის მოქმედება მომავალში. მაგალითისთვის, გთავაზობთ წინადადებას: მე ხვალ უკეთესად ვიქნები. ამ შემთხვევაში ვიქნები არის *werden*, რომელიც გულისხმობს მდგომარეობის ცვლილებას ხვალისთვის.

ჰეგელი გთავაზობს *werden*-ის ფილოსოფიურ განმარტებას. დავიწყოთ ცოტა შორიდან. ჰეგელი თავისი ლოგიკის პირველ ნაწილში განსაზღვრავს არსებულის, ყოფნის (*sein*) და არარსებულის, არაფრის (*nichts*) ცნებებს. ყოფნა რადიკალური, წმინდა სახით და არაფერი აბსოლუტური, ასევე წმინდა სახით, ერთმანეთში გარდამავალია. არაფერი შეიძლება გადავიდეს, გახდეს ყოფნა, და პირიქით, არსებული შეიძლება გადაიქცეს არაფრად. ისინი ერთმანეთში გარდამავალი, მაგრამ მაინც დაპირისპირებული ცნებებია. ჰეგელის დიალექტიკის მოძღვრების მიხედვით, ისინი ერთმანეთში უარყოფით (*aufheben* – იხ. ქვემოთ) გადადიან, გარდაიქმნებიან, სახეს იცვლიან (*werden*)⁶.

⁶ Hegel, G.W.F. (2020). *Wissenschaft als Logik I*, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main. S. 82-115.

დიალექტიკური განვითარება არის წინააღმდეგობების დაძლევის პროცესი: თეზისი, ანტითეზისი და სინთეზი. სინთეზი რაღაც ეტაპზე თვითონ შეიძლება იქცეს თეზისად და ა.შ.. მაგალითი: ახალგაზრდა მოხვდა ყაჩაღების ბანდაში და გამოიტანა დასკვნა, რომ ადამიანები არიან ბოროტები. ეს არის თეზისი. ეს ახალგაზრდა ამის შემდგომ მოხვდა ეკლესიაში და ჩათვალა, რომ ადამიანები არიან კეთილები. ეს არის ანტითეზისი. იგივე ახალგაზრდამ ამის შემდგომ ეტაპზე, გამოცდილების საფუძველად, გამოიტანა დასკვნა, რომ ზოგი ადამიანი კეთილია, ზოგიც ბოროტი. ეს არის სინთეზი. ამით ჰეგელი გვეუბნება, რომ სამყარო შავ-თეთრი არ არის. არსებობს შავი და თეთრი ფერი. მათ დაპირისპირებულობას კი მივყავართ ჰარმონიამდე, რომელიც ფერთა სიმრავლეს გულისხმობს.

კიდევ ერთი ტერმინი, რომელსაც იყენებს ჰეგელი, არის *Aufheben*. სიტყვებს *heben*-ის ფუძით, გერმანულ ენაში არაერთი მნიშვნელობა აქვს. ჰეგელმა, თავისი დიალექტიკური განვითარების კონტექსტში, *Aufheben*-ის სამ მნიშვნელობას მიაქცია ყურადღება.

თეზისიდან გადასვლა ანტითეზისზე, ანტითეზისიდან კი სინთეზზე, ცნება „*Aufheben*-ის“ მეშვეობით ხდება.

- *Aufheben* – გულისხმობს მოვლენის უარყოფას, გაქარწყლებას, გაუქმებას. დიალექტიკური განვითარების პროცესში ერთი ეტაპი უარყოფს, აუქმებს წინა ეტაპს და თვითონაც უარყოფილი იქნება შემდგომი ეტაპისგან.
- *Aufheben* – გულისხმობს რისამე დამახსოვრებას, შენახვას, დაკონსერვებას, დაძლევას. დიალექტიკური პროცესი არ არის მხოლოდ უარყოფის პროცესი. როგორც მაღლა აღენიშნეთ, დიალექტიკა გულისხმობს გამოცდილებასაც. ეს არის ცდით მიღწეული დეტალების დამახსოვრება და გადატანა განვითარების შემდგომ ეტაპზე.
- *Aufheben* – გულისხმობს ამალღებას, დანინაურებას, შემდგომ საფეხურზე/ეტაპზე გადასვლას. ჰეგელის დიალექტიკის ყოველი ეტაპი არის განვითარების ახალი საფეხური, გონის განვითარების ახალი ეტაპი, წინა საფეხურთან შედარებით⁷.

⁷ *Hegel, G.W.F. (2020). Wissenschaft der Logik I, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main. S. 113, 114, 115. Hegel in 60 Minuten, Dr. W. Ziegler, <https://www.youtube.com>. 2022.*

ერთიანობაში სურათი ასეთია: *Aufheben*-ი გულისხმობს გონის სპირალისებური განვითარების სამ საფეხურს: უარყოფას, შენახვასა და ამაღლებას (ახლის წარმოქმნას).

ჰეგელის მოძღვრების გაცნობისას ამკარაა, რომ ის ჰერაკლიტეს მზის სხივებით არის „გამთბარი“. ამის დასტურად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, მე-8 ფრაგმენტი: „წინააღმდეგომნი თანამდგომნი ხდებიან, დაპირისპრებულთაგან დასაბამს იღებს დიდმშენიერი ჰარმონია, ხოლო ყველაფერს არსებობას ანიჭებს ბრძოლა“⁸.

ჰერაკლიტემ თავის ფრაგმენტებში, მოცემული დაპირისპრებულთა ერთიანობის მოძღვრება, ჰეგელამდე აღმოაჩინა. ჰერაკლიტესთან დაპირისპრება ლოგიკური ხასიათისაა, ლოგოსთან არის დაკავშირებული. ცივი ასაბუთებს ცხელის არსებობას, ბოროტი – კეთილის არსებობას, უსამართლობა – სამართლიანობას, უკანონობა – კანონიერებას. დაპირისპრებული მოვლენები კი არ ანადგურებენ ერთმანეთს, არამედ ქმნიან არსს, ჭეშმარიტებას, სამართლიანობას. ამიტომ წინააღმდეგობა პოზიტიური ხასიათისაა და არა ნეგატიური. ჰერაკლიტეს აზრით, მოვლენათა შორის დაპირისპრება ახალი დინების, ეპოქის წარმოშობისას განვითარებასა და აღმშენებლობას გულისხმობს, რომელიც „უამთა სრბოლის“ პირობებში ლოგოსის საშუალებით მიიღწევა⁹.

ჰეგელის სამართლის ფილოსოფიაც გონის განვითარებას ეფუძნება. „*Was vernünftig ist, das ist wirklich; und was wirklich ist, das ist Vernünftig*“. „რაც გონიერია, ის ნამდვილია და რაც ნამდვილია, ის გონიერია,“ – წერს ის თავის ცნობილ ნაშრომში – „სამართლის ფილოსოფიის საფუძვლებში“¹⁰. ის, რაც არის (*sein*), თავის თავშივე მოიცავს იმას, რაც უნდა (*sollen*) იყოს. მისთვის არსი და ჯერ-არსი ერთ მთლიანში თავსდება. ყოფნა და ის, რაც უნდა იყოს, ერთია. ყოფნა იხვეწება გონის განვითარებისა და დახვეწის ფონზე¹¹. ადამიანის გონი, ყოფნა წვდება ეტაპობრივად, საკუთარი განვითარების კონკრეტულ საფეხურებზე „გადასვლის“ შედეგად. აქედან გამომდინარე, ჰეგელს სამართალი ესმის ისტორიულ-დიალექტიკური განვითარების ჭრილში. სამართალი იზომება ეპოქის სულით და კონკრეტული ეპოქის ფარგლებშია ნამდვილი, თუნდაც სინამდვილე იყოს უმართლო. ეს იმიტომ, რომ განვითარების აღნიშ-

⁸ ბრეგვაძე, ბ. ახალი თარგმანები. II, 9.

⁹ დანელია, ს. (1926). ანტიკური ფილოსოფია სოკრატეს წინ. 135-157.

¹⁰ Hegel, G.W.F. (2020). Grundlinien der Philosophie des Rechts, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main. S. 24.

¹¹ ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, გონის ფილოსოფია (1984). 295.

ნული ეტაპისთვის, ადამიანის გონი მას შეიძლება მართებულად მიიჩნეოდეს ან არ უარყოფდეს. სანამ არსებული უმართლობის უარყოფა არ მოხდება, ის, იმ ეტაპისთვის ნამდვილია.

სამართლის ნორმა და მისი განმარტება სხვადასხვა დროს განსხვავებულია. სამართლის განვითარებაზეც ბატონობს „ეპოქის სული“, რომელიც მუდმივად სრულყოფის პროცესშია.

აღნიშნულთან კავშირში, ჰეგელი უმნიშვნელოვანეს კატეგორიაზე, თავისუფლებაზე საუბრობს. მისთვის თავისუფლება არის სუბსტანციის აბსოლუტური ჯერ-არსი, რომელიც, ამავედროულად არსია. თავისუფლების ნამდვილობა „ამა თუ იმ ხალხის გონის სახით“ არსებობს. ყოველი ხალხი იმ მოცულობით არის თავისუფალი, რა მოცულობითაც ამ ხალხის გონს სურვილი აქვს იყოს თავისუფალი¹². აღნიშნული სურვილი დამოკიდებულია გონის განვითარების ეტაპზე, რომელიც აბსოლუტური თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე იმყოფება. თავისუფლებას დაცვა და უზრუნველყოფა სჭირდება. ჰეგელი სახელმწიფოს განსაკუთრებულ როლს ანიჭებს, რომელიც არის თავისუფლების გარანტი. „სახელმწიფო არის კონკრეტული თავისუფლების ნამდვილობა“, წერს ჰეგელი¹³. მისთვის სახელმწიფოა სამართლის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი. ჰეგელმა იქვე უპასუხა ამ ხედვის პოტენციურ მონინააღმდეგეებს: „სახელმწიფო არის ზნეობრივი იდეის ნამდვილობა“. ზნეობრივი სახელმწიფო იცავს თავისუფლებას¹⁴, რომელიც მუდმივი განვითარების პროცესშია.

ამის შემდგომ, ჰეგელი თავის ნაშრომში – „გონის (სულის) ფენომენოლოგია“, წარმოთქვამს საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებს: „ჭეშმარიტება არის მთლიანი“ – „Wahre ist das Ganzes“¹⁵. მთლიანი არის მისი განვითარებით სრულქმნილი არსება. ჭეშმარიტება და სიმართლე ისტორიის ცალკეული ეტაპებით კი არ უნდა შევაფასოთ, არამედ კომპლექსურად, ერთიანობაში. აქედან დასკვნა: მოვლენების ობიექტური შეფასება თუ გვინდა, უნდა გავიაზროთ ერთიანობაში, კომპლექსურად და არა ცალმხრივად. აღნიშნულთან კავშირში საინტერესოა ჰერაკლიტეს მე-2 ფრაგმენტი: „ამიტომ ჩვენი ვალია, მივსდევდეთ ყოვლადს და საერთოს. და თუმცა საერთო – მარადიული გონებაა“. „მარადიული გონება“ ჰეგელის „მსოფლიო სულის“ ანალოგი უნდა იყოს. სულისა და

¹² ჰეგელი, გ.ვ.ფ. გონის ფილოსოფია. 296-297.

¹³ Hegel, G.W.F. Grundlinien der Philosophie des Rechts, S. 406.

¹⁴ Hegel, G.W.F. Grundlinien der Philosophie des Rechts, S. 398.

¹⁵ Hegel, G.W.F. (2020). Phänomenologie des Geistes, Suhrkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main. S. 24.

გონების იდენტურობაზე არა მარტო ჰეგელი, ჰერაკლიტეც მიუთითებდა. „როგორია მათი გონება ანუ სული?“, ამბობს ის 104-ე ფრაგმენტში¹⁶.

ჰერაკლიტეს 33-ე ფრაგმენტში ვკითხულობთ: „კანონი ნიშნავს მორჩილებდეთის ნებას“. ამ ფრაგმენტის განმარტებისას ანგარიშგასაწევია ბაჩანა ბრეგვაძის აზრი, რომ აქ ამკარად იგრძნობა „დემოსისა“ და დემოკრატიის სიძულვილი¹⁷. ამასთან ერთად, ჰერაკლიტე შესაძლებელია, „ერთის ნებაში“, ჭკვიანი კაცის, ბრძენის, ფილოსოფოსის, პროფესიონალის ნებას გულისხმობდეს და არა მრავალი ადამიანის ნებას, რომელთა გონიერება და პროფესიონალიზმი საეჭვოა.

კაცობრიობის განვითარება, ჰეგელის მიხედვით, უსაზღვრო არ არის. საზღვარი არის „აბსოლუტური გონის“ მდგომარეობა, რომლისკენაც მიდის მსოფლიო. ამ საზღვრის მიღწევამდე, რაც არის, და რასაც საზოგადოება აღიარებს კონკრეტულ ეტაპზე, ის არის ნამდვილი. სამართალი წარმოიშვება კონკრეტულ სინამდვილეში და არსებული სინამდვილის ფარგლებში არსებობს. ის იდეალური არ არის, არამედ ამ კონკრეტული ეპოქის „პირმშოა“.

„ჟამთა ცვლა“ და ეპოქის სული არის ის, რომელიც ხვეწს არასრულფასოვან სოციალურ ყოფასა და სამართალს. ამასაც შეიძლება ჰერაკლიტეს მზერით შევხედოთ. მე-60 ფრაგმენტი: „ერთი და იგივეა გზა აღმავალი და გზა დაღმავალი“. სამართლიანობასა და უსამართლობას შორის ზღვარი ძალიან ფაქიზია. ამ თეზის უფრო მეტად აკონკრეტებს 102-ე ფრაგმენტი: „ღმერთისთვის ყველაფერი კეთილია, მშვენიერი და სამართლიანი; კაცნი კი ერთს სამართლიანად მიიჩნევენ, მეორეს – უსამართლოდ“. ეს ფრაგმენტი გვეუბნება, რომ ღმერთია სრულყოფილი და ზემადღებულის. ადამიანებს კი ზოგი მოვლენა სამართლიანად მიაჩნიათ, ზოგიც – უსამართლოდ. არავინ იცის, რამდენად მართებულია მათი ხედვა.

რაც შეეხება რწმენას, ჰერაკლიტესთან ის ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია. ჰერაკლიტე აღიარებს ღმერთს, მაგრამ არ ცნობს „უსულო კერპებს“. ჰეგელისთვის კი ღმერთის რწმენა ადამიანის გონშია: ღმერთს ადამიანი შეიცნობს კონკრეტულ ეტაპზე თავისი გონის განვითარების წვდომის დონით.

ჰერაკლიტესი, ისევე როგორც ჰეგელის შეხედულებები, ხშირ შემთხვევაში არასწორად ესმით. ერთი შეხედვით, ორივე მოაზროვნე შესაძლებელია, რევოლუციის სიმბოლოდ მივიჩნიოთ. ეს იმიტომ, რომ მათი ფილოსოფიის ერთ-

¹⁶ ბრეგვაძე, ბ. ახალი თარგმანები. II, 16.

¹⁷ ბრეგვაძე, ბ. ახალი თარგმანები. II, 31.

ერთი ძირითადი პრინციპი ცვლილებებს ეფუძნება. ამ დროს, ისინი არ არიან რევოლუციონერები. ცვლილებებზე ორიენტირება ყოველთვის არ ნიშნავს რადიკალური რევოლუციური ძვრების მხარდაჭერას. როგორც ჰერაკლიტე, ისე ჰეგელი, საზოგადოებისა და სამართლის განვითარების ევოლუციურ გზას უჭერდნენ მხარს, და არა – რევოლუციურს. ჰერაკლიტესთან, როგორც ვთქვით, ამის კარგი დასტურია დაპირისპირების არაანტაგონისტური ხასიათი. საპირისპირო ძალები ერთმანეთს კი არ ანადგურებენ, არამედ ახალს, ერთს ქმნიან. 88-ე ფრაგმენტში ვკითხულობთ: „ერთნი და იგივენი არიან და ერთ არსში თანაარსებობენ სიცოცხლე და სიკვდილი, ძილი და ღვიძილი, ახალი და ძველი. რადგან, სახეცვლილების შედეგად, პირველნი მეორენი ხდებიან და, პირუკუ, მეორენი – პირველნი“¹⁸. გარდა ამისა, ჰერაკლიტე მიიჩნევს, რომ მდინარის დინება, ტალღებია ცვალებადი, ხოლო თვითონ მდინარე უცვლელია¹⁹. ჰეგელის დიალექტიკაც მსგავსია. განვითარება გულისხმობს არა ყველაფერის უარყოფას, არამედ ნაწილობრივ, ძველის შენარჩუნებასაც (იხ. ზემოთ – ცნება *aufheben*-ის ანალიზი). ჰერაკლიტეს ეს იდეა, რომ დაპირისპირებულები, ერთი და იგივე არიან და ისინი „სახეცვლილებას“ განიცდიან, ძალიან ახლოს არის ზემოთ განხილულ ჰეგელის დიალექტიკასთან. არსებული და არარსებული ერთმანეთში გადადის, გარდაიქმნება, სახეს იცვლის (წერდენ). თანამედროვე დასავლური დემოკრატიაც ამ პრინციპებს ეფუძნება. საოცარია, რომ ჰერაკლიტეს სძულდა დემოსი, მაგრამ თავისდა უნებურად, დაპირისპირებულთა ჰარმონიული თანაარსებობის იდეით, ის საუკეთესო დემოკრატიის საუკეთესო იდეოლოგიად გვევლინება. მეორე მხრივ, ჰერაკლიტე, ჯერ კიდევ, პლატონამდე, იმის მომხრე იყო, რომ სახელმწიფო სულიერ არისტოკრატიას ემართა. დემოსის სიძულვილი არა მარტო მისი ცხოვრების თანამდევნი იყო, არამედ მის ფრაგმენტებშიც აშკარად ჩანდა: „მათი მოძღვარია უსახო ბრბო“; „ისინი ბრმად ენდობიან უსახო მგოსნებს“; „კაცთა უმეტესობა ისე იქცევა, თითქოს საკუთარი სიბრძნე და გონება ჰქონდეს“; „ბრბო არასდროს უფიქრდება იმას, რასაც ყოველდღე აწყდება ცხოვრების გზაზე“; „ბრბო კი ღორივით თქვლევს სალაფავს...“

ჰერაკლიტე, სოკრატემდელი ფილოსოფოსების დარად, ბუნებაში ეძებდა სამყაროს მატერიალურ საწყისებს. მისთვის ცეცხლი იყო მატერიალური სამყაროს მამოძრავებელი ძალა. მარტო მატერიალური სამყაროსი? უპირველეს ყოვლისა, ცეცხლი განვიხილოთ, როგორც მატერიალური სამყაროს ნაწილი.

¹⁸ *ბრეგვაძე, ბ.* ახალი თარგმანები. II, 15.

¹⁹ *წერეთელი, ს.* (1968). ანტიკური ფილოსოფია. 71.

ჰერაკლიტეს 64-ე ფრაგმენტში ვკითხულობთ: „ყველაფერს განაგებს ელვა; ხოლო ელვას ის უწოდებს მარად ცოცხალ ცეცხლს“. ყველაფრის სანყისი – არხე, – ცეცხლია²⁰. ყოველივე ცეცხლიდან წარმოიშობა და ცეცხლითვე შთაინთქმება. ცეცხლი ქრება და ცეცხლი იბადება. და ეს არის მარადიული პროცესი.

მეორე მხრივ, შესაძლებელია, ვიკითხოთ, რომ ცეცხლი, არამატერიალური გაგებით, თუ შეიძლება ადამიანის სულშიც ცხოვრობდეს. ამ კითხვის პასუხად ერთი წერილის გახსენება შეიძლება, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიამ მისწერა თავის 16 წლის ვაჟს, ზვიად გამსახურდიას. წერილში მწერალი წერს: „გახსოვდეს, ეს ცხოვრება მოსაწყენია, თუ ადამიანი არ იწვის რაიმე ზეალმტაცი ამბებისთვის“. დიახ, სულიერი წვა და ცეცხლი არსებობს და ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე არ გვაქვს ჰერაკლიტეს ჰილოძოიზმთან. ეს სხვა ტიპის ცეცხლია და მას გადატანითი მნიშვნელობა აქვს. „წვასა“ და ცეცხლში იგულისხმება ადამიანური გრძნობები და ვნებები.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“. რუსთაველიც, ჰერაკლიტეს დარად, სულში არსებულ იმ ცეცხლს გულისხმობს, რომელიც გონის ანტიპოდი, მაგრამ გონთან ერთად არსებობს. აქაც დაპირისპირებულობათა ერთიანობასთან გვაქვს საქმე. ადამიანის ცხოვრება გონისა და გრძნობის მუდმივი ბრძოლა და თანაარსებობაა. სულიერი ცეცხლი ამდიდრებს, შემოქმედებითად ავითარებს, ამოძრავებს ცივ გონებაში ნაშობ აზრებს და ფერუმარილს მატებს მას. სულში არსებული ცეცხლი, მატერიალურ სამყაროში არსებული ცეცხლის დარად უმიზნო არ არის²¹. გრძნობა, ლოგოსისგან განსხვავებით, არ არის შემეცნების პირველი ხარისხის კატეგორია, მაგრამ ლოგოსი მის გარეშე, ღარიბი და ბერწია. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ჰერაკლიტეს 55-ე ფრაგმენტი: „მე ვარჩევ იმას, რაც შეიძლება მზერითა თუ სმენით აღიქვა ან შეიმეცნო“²². აღქმა და შემეცნება. ესეც ორის საპირისპირო კატეგორიაა ლოგოსის ფარგლებში.

რა ადგილი უჭირავს სულში მოგიზგიზე ცეცხლს სამართალში? სამართალი გონიდან მოდის, მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში თავისუფალი არ არის ადამიანური ვნებებისგან. კანონსა და სასამართლო გადაწყვეტილებას ადამიანი

²⁰ წერეთელი, ს. (1968). ანტიკური ფილოსოფია. 72-73.

²¹ იქვე. 76.

²² ბრეგვაძე, ბ. ახალი თარგმანები. II, 13.

ქმნის. ამის გამო, ეს პროცესები, ხშირად, ადამიანური გრძნობების ზემოქმედების ქვეშ ექცევა.

ჰერაკლიტე თავის ფრაგმენტებში ხშირად ასხენებს მზეს. მზე, მისთვის არა მარტო ციური სხეულია, რომელსაც თავისი ადგილი აქვს კოსმოსში, არამედ ცვლილებების შემოქმედიც არის. მე-100 ფრაგმენტში ვკითხულობთ: „პერიოდები: მზე, მათი გამრიგე და ზედამდეგი განსაზღვრავს, განაგებს, აწესებს და აწესრიგებს წელიწადის ყოვლისმომცემ ალოთა და დროთა მუდმივ მონაცვლეობას“²³.

მზეს, ჰერაკლიტესთვის, ამავედროულად, მარადიული ცეცხლის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა. მე-16 ფრაგმენტში ვკითხულობთ: „სად წაუხვალ მარად უქრობ ცეცხლს?“²⁴

მზის სხივებიც, ჰერაკლიტესთვის, მდინარის დინების მსგავსად, ცვლილებების სიმბოლოა. ყოველი ახალი სხივი, ახალი ეტაპია. „მზე არა მარტო მარად-დღე ახალია, არამედ მარად ახალიც“, ამბობს ჰერაკლიტე მე-6 ფრაგმენტში.

ეს სიტყვები შეიძლება ჰერაკლიტეს აღსასრულზეც გავრცელდეს. მისთვის საძულველი დემოსისგან მოშორებით, ის მთაში განაგრძობდა მარტოდ-მარტო ცხოვრებას. მცენარეულობით სისტემატიურმა კვებამ წყალმანკით დააავადა განდეგილი. ჰერაკლიტე თვითმკურნალობას მიეცა. დასნეულებული მზეს მიეფიცა, იმისთვის, რომ „მზეს წყალი ამოეშრო“. მზის სხივებმა წყლულს ვერ უშველა. ჰერაკლიტე გარდაიცვალა.

პლატონი ხელმოცარულ ფილოსოფოსებზე ამბობდა, რომ ისინი უფრო ადრე ქრებიან, ვიდრე ჰერაკლიტეს მზე, რომელიც „ალარასოდეს აღარ ანათებსო“. დიახ, ჰერაკლიტეს მზე აღარ ანათებს, ის წარსულია, მაგრამ მისი ნააზრევნი ასხივებს, ვითარდება და დღემდე ინარჩუნებს სინათლეს და სითბოს.

დასკვნა

ჰერაკლიტემ უდიდესი გავლენა მოახდინა ფილოსოფიაზე და სამართლის ფილოსოფიაზე. ესეის მიზანი იყო, ჰერაკლიტეზე მოგვეთხრო მკითხველისთვის და, ამავედროულად, გვეჩვენებინა მისი ზეგავლენა ჰეგელზე.

²³ ბრეგვაძე, ბ. ახალი თარგმანები. II, 16.

სიტყვა „ალო“ ჯავახური დიალექტის მიხედვით, ნიშნავს დროს, ჟამს, პერიოდს (სულხან გამყრელიძე).

²⁴ ბრეგვაძე, ბ. ახალი თარგმანები. II, 26-27.

დაბოლოს, სამართლის ფილოსოფიისთვის უმნიშვნელოვანესი კითხვა: როგორ ესმოდათ ჰერაკლიტეს და ჰეგელს სამართალი? რომელია უპირატესი, პოზიტიური სამართალი თუ ბუნებითი სამართალი?

ორივე მოაზროვნის დამსახურება არის ის, რომ მათ თავი არ შეუბოჭავთ იდეურ-პოლიტიკური ან სხვა ტიპის დოგმატური ბორკილებით. ჰეგელი, ისევე როგორც, სავარაუდოდ, ჰერაკლიტეც, პოზიტიურ სამართალშივე მოიაზრებდნენ ადამიანის ბუნებით უფლებებსა და თავისუფლებებს. მაგალითისთვის, ჰეგელი აღნიშნავდა: „პოზიტიური სამართალი ძალაუფლებისა და ტირანიის ელემენტებს თუ შეიცავს, ეს შემთხვევითობაა და ბუნებასთან კავშირში არ არის“²⁵.

გამომდინარე აქედან, არსისა და ჯერარსის „ერთსაწყისიანობა“, პოზიტიურ ნორმაში მოიაზრებს სამართლიანობის ისეთ დონეს, რა დონეზეც კონკრეტული საზოგადოების გონი იმ მომენტში იმყოფება.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰეგელმა თავისი მოძღვრების ძირითადი დებულებები ჰერაკლიტეს მოძღვრებას დააფუძნა და კიდევ უფრო განავითარა. ეს დებულებები ადეკვატურად აისახა სამართლის ფილოსოფიაზე. განსაკუთრებით, ხაზგასასმელია გონისა და ისტორიული ეტაპის მნიშვნელობა საზოგადოებისა და სამართლის განვითარებისთვის. მოკლედ შევაჯამოთ:

1. სამართალი თავის თავშივე მოიცავს სამართლიანობის ისეთ დონეს, განვითარების რა დონეზეც იმ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე იმყოფება საზოგადოების გონი;
2. ყოველი ხალხი (ერი) იმ მოცულობით არის თავისუფალი, რა მოცულობითაც მის გონს, კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე აქვს იმის ნება, რომ იყოს თავისუფალი;
3. სახელმწიფო არის ზნეობრივი საჯარო ინსტიტუტი, რომელიც სამართლის მეშვეობით, იცავს კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე არსებულ თავისუფლების სტანდარტს;
4. სოციალური და სამართლებრივი განვითარების პროცესი უნდა გავიგოთ, როგორც მუდმივი დინების (Panta Rhei) ეტაპობრივი პროცესი. ყოველი ეტაპი უარყოფს წინა ეტაპს და უარყოფილი იქნება შემდეგი ეტაპისგან;
5. სახელმწიფოსა და სამართლის განვითარება მოითხოვს მუდმივ ცვლილებებს, მაგრამ ამ ცვლილებებში არ მოიაზრება დაპირისპირებული ძალების

²⁵ Hegel, G.W.F. Grundlinien der Philosophie des Rechts, S. 34-35.

ურთიერთგანადგურების პროცესი და განვითარების წინა ეტაპების სრული უარყოფა.

ამიტომ აღნიშნული ცვლილებების ჯაჭვში იგულისხმება არა რევოლუციური, არამედ ევოლუციური პროცესები.

გამოყენებული ლიტერატურა

- ბრეგვაძე, ბ. (2006). ახალი თარგმანები II, ჰერაკლიტე ეფესელი.
ფურცელაძე, დ. (1987). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 11.
დანელია, ს. (1926). ანტიკური ფილოსოფია სოკრატეს წინ.
ჰეგელი, (1984). ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, გონის ფილოსოფია.
წერეთელი, ს. (1968). ანტიკური ფილოსოფია.
რასელი, ბ. (2023). დასავლური ფილოსოფიის ისტორია, წიგნი პირველი (ანტიკური ფილოსოფია).
პლატონი, (2013). სახელმწიფო.
ჰეგელი, გ.ვ.ფ. (2022). სამართლის ფილოსოფია.
Goethes Werke, IV Band, Faust, Aufbau-Verlag Berlin und Weimar. (1988).
Hegel, G.W.F. (2020). Wissenschaft als Logik I, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main.
Hegel, G.W.F. (2020). Wissenschaft als Logik II, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main.
Hegel, G.W.F. (2020). Grundlinien der Philosophie des Rechts, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main.
Hegel, G.W.F. (2020). Phänomenologie des Geistes, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main.
Hegel, G.W.F. (2020). Vorlesungen über die Philosophie der Geschichte, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main.
Hegel, G.W.F. (2020). Politische Schriften, Surkamp Taschenbuch Wissenschaft, Frankfurt am Main.
Kaufmann, A. Hassemer W., (1994). (Hrsg.), Einführung in Rechtsphilosophie und Rechtstheorie der Gegenwart. 6 Auflage, C.F. Müller Juristische Verlag, Heidelberg.
Crescenzo, Luciano De. (1988). Geschichte der griechischen Philosophie, Diogenes verlag AG Zürich.

Adomeit, K., Mohr, J. (2017). Rechts- und Wirtschaftsphilosophie, Verlag F. C. Müller, Heidelberg.
Hegel in 60 Minuten, Dr. W. Ziegler, <https://www.youtube.com>.

THE SUN OF HERACLITUS (THE RAYS OF HERACLITUS' SUN IN HEGEL'S PHILOSOPHY OF LAW)

SULKHAN GAMKRELIDZE

Associate Professor, Grigol Robakidze University,
Senior Research Fellow, Tinatin Tsereteli State and Law Institute
gamkrelisulkhan@gmail.com

Abstract. Owing to its partly artistic and biographical style, we have called this work an essay. It explores the philosophy of the pre-Socratic Greek philosopher, Heraclitus of Ephesus, in the context of the philosophy of law. We intend to examine the influence of Heraclitus (the so-called “rays of the sun”) upon individual classics of world thought. Accordingly, the main title of the essay is – “The Sun of Heraclitus”, which is specified by the subtitle (in this case “The Rays of Heraclitus’ Sun in Hegel’s Philosophy of Law”). The present work discusses the impact of Heraclitus’ doctrine on Hegel’s philosophy and philosophy of law.

Keywords: *philosophy, philosophy of law, positive law, natural law*

გვამური დონაციის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემისათვის

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტისა და იენის უნივერსიტეტის
მონვეული ლექტორი, პროფესორი
ketevan.mtchedlishvili@tsu.ge

რეზიუმე. ამ სტატიის მიზანია გვამური დონაციის აუცილებელი წინაპირობის, ადამიანის სიკვდილის მოკლე მიმოხილვა და ტვინის სიკვდილისა და სიკვდილის გაიგივების შესახებ საერთაშორისო დისკუსიის ანალიზი. მოცემულია „მკვდარი დონორის წესზე“ (*Dead-Donor-Rule*) უარის თქმის შეუთავსებლობა ქართულ სისხლის სამართალთან, ასევე ორგანოთა გადანერგვისათვის ამ წესზე ხელის ალბით ექიმის მიმართ ნდობის დაკარგვის და ადამიანის სიცოცხლის დაცვის შესუსტების საფრთხე.

საკვანძო სიტყვები: გვამური დონაცია, ტვინის სიკვდილი, მკვდარი დონორის წესი

1. შესავალი

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ანდა მისი ჯანმრთელობის და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად მედიცინა ორგანოთა გადანერგვას აქტიურად მიმართავს. გადასანერგ ორგანოთა რაოდენობა შესამჩნევად ნაკლებია გადასანერგად საჭირო ორგანოთა რაოდენობაზე, ანუ, სახეზეა გადასანერგ ორგანოთა დეფიციტი¹. ბიოლოგიური მეცნიერების მიერ გადასანერგ ორგანოთა ლაბორატორიულ გამოყვანამდე ორგანოთა გადასანერგად ამოღება ხდება როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი დონორისაგან, ანუ ერთმანეთისაგან განსხვავდება ცოცხალი და გვამური დონაცია. ცოცხალი დონაციისას ცოცხალი დონორი

¹ ჰილგენდორფი, ე. (2020). შესავალი მედიცინის სისხლის სამართალში, მე-2 გამოცემა. 102.

რეგენერირებადი ორგანოს ნაწილს ან წყვილი ორგანოდან ერთს გაცემს გადასანერგად, გვამური დონაცია კი როგორც წყვილი, ასევე კენტი ორგანოს მოსაპოვებლად ხორციელდება. გასაგები მიზეზიდან გამომდინარე, კენტი ორგანოების გადასანერგვა მხოლოდ გვამური დონაციისასაა შესაძლებელი. გვამური დონაცია შესაძლებელია განხორციელდეს ორ შემთხვევაში: როდესაც შეჩერებულია გულისცემა და დაფიქსირებულია ტვინის სიკვდილი, მაგრამ შენარჩუნებულია გულისცემა ტექნიკური მოწყობილობების დახმარებით. გულისცემაშეჩერებული დონორისაგან ორგანოს ამოღება დასაშვებია აშშ-ში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში და ესპანეთში. გერმანიაში ამგვარი დონაცია აკრძალულია რეანიმაციის, ანუ ხელოვნური სუნთქვით გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციონირების ჩანაცვლების შესაძლებლობის გამო².

ორგანოს გადასანერგად საჭიროა ისეთი ორგანოს მოპოვება, რომელშიც სისხლის მიმოქცევა ჯერ კიდევ არაა შეწყვეტილი. ორგანო, რომელშიც სისხლი უკვე აღარ მიმოიქცევა, მკვდარია და გადასანერგად უვარგისი. შესაბამისად, წარმატებული გვამური დონაციისას დონორი გარდაცვლილი, მისი ორგანო კი «ცოცხალი», «სისხლის მიმოქცევა-შენარჩუნებული» უნდა იყოს. შესაბამისად, საკითხავია, დგება თუ არა ადამიანის კვდომის პროცესში სწორედ ასეთი მომენტი, როდესაც თავად ადამიანი გარდაცვლილია, მისი ორგანოები კი – ჯერ კიდევ „ცოცხალი“? მეცნიერთა შეხედულებები ამ საკითხის გადაწყვეტისას ერთმანეთს არ ემთხვევა: ერთი ნაწილი ტვინის სიკვდილის ადამიანის სიკვდილთან გაიგივების კონცეფციას ავითარებს და მიუთითებს, რომ სწორედ ტვინის სიკვდილისას არის შესაძლებელი ადამიანისაგან ცოცხალი ორგანოს ამოღება; სხვანი ტვინის სიკვდილს ადამიანის სიკვდილთან გათანაბრების წინააღმდეგინი არიან; ისინი ტვინის სიკვდილს სიკვდილის პროცესის მხოლოდ დასაწყისად მიიჩნევენ და ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მომაკვდავად (point of no return³) აღიარებენ და არა – გარდაცვლილად. შესაბამისად, ამ უკანასკნელი შეხედულების მომხრეთა ერთი ნაწილი „გვამური დონაციის“ აკრძალვას მოითხოვს, მეორე ნაწილი კი გადასანერგ ორგანოთა სიუხვისათვის „მკვდარი დონორის“ წესზე ხელის აღებას და ორგანოთა ამოღებისას მომაკვდავი პაციენტის სიკვდილის გამოწვევას გამართლებულად მიიჩნევს⁴.

²Bergmann, A. (20-21/2011). Organspende - tödliches Dilemma oder ethische Pflicht? ApuZ, S. 10; Nagel, E., Alber, K., Bayerl, (20-21/2011). B. Transplantationsmedizin zwischen Fortschritt und Organknappheit. Geschichte und aktuelle Fragen der Organspende, ApuZ, S. 19.

³Tröndle, H. (1999). Hirntod, eine rechtliche Beurteilung und das neue Transplantationsgesetz, Festschrift für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, Berlin/New York. S. 781.

⁴Bergmann, A. (20-21/2011). Organspende – tödliches Dilemma oder ethische Pflicht? ApuZ, S. 13.

2. ადამიანის სიცოცხლის დასასრულის განმარტების მოკლე ქრონოლოგია

ადამიანის სიცოცხლის სისხლისსამართლებრივი დაცვა მისი სიკვდილით წყდება. ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ გვამის ხელყოფა მკვლელობის ქმედების დამთავრებულ შემადგენლობას ვერ შეასრულებს, მაგრამ როდისაა ადამიანი გარდაცვლილი? ეს საკითხი კაცობრიობას უხსოვარი დროიდან აინტერესებდა. ჰიპოკრატეს კორპუსში (ჩვ. წ. აღ-მდე მე-5 და მე-4 საუკ., ბერძნულ სამედიცინო ტექსტთა კრებული, რომლის ავტორებადაც ჰიპოკრატე და მისი მოწაფეები ივარაუდებიან), სიკვდილის ნიშნად სხეულის გაციება, ფრჩხილების გაშავება, თვალების გამოშრობა და ფიზიკურად აღქმადი სხვა ნიშნები ითვლებოდა; არისტოტელე სიკვდილის მომენტის დასადგენად ადამიანის სხეულის ტემპერატურის დაცემას იშველიებდა⁵. საუკუნეების განმავლობაში სიკვდილის საიმედო კრიტერიუმად გვამურ ლაქებს, გვამის გახრწნას და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტას აღიარებდნენ. მე-19 საუკუნის შუა ხანებში კი გარდაცვალების ნიშან-თვისებად გულის გაჩერება და სუნთქვის შეუქცევი შეწყვეტა განისაზღვრა⁶.

ტვინის სიკვდილის, როგორც სიკვდილის ახალი კრიტერიუმის შემოღების აუცილებლობა ინტენსიური თერაპიის მიღწევებს, კონკრეტულად კი, ხელოვნური სუნთქვის აპარატის შექმნას უკავშირდება. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, ხელოვნური სუნთქვის აპარატის შექმნის შემდეგ, მომრავლდა ზეზღურბლოვან კომაში მყოფი პაციენტები ტვინის მძიმე დაზიანებით, რომლებსაც დამოუკიდებელი სუნთქვის უნარი ჰქონდათ დაკარგული და ხელოვნური სუნთქვის აპარატის დახმარებით სუნთქავდნენ. ამგვარ გონდაკარგულ პაციენტთა ნაწილი რამდენიმე დღეში კვდებოდა, ნაწილი კი არსებობას წლების განმავლობაში აგრძელებდა გონზე მოსვლის და მდგომარეობის გაუმჯობესების შანსის გარეშე. შესაბამისად, გადასაწყვეტი იყო საკითხი იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა პაციენტი ხელოვნურ სუნთქვაზე ტვინის სიკვდილის შემდეგ სრულ სიკვდილამდე და დასაშვებია თუ არა სუნთქვის აპარატის გა-

⁵*Oduncu, F. (2001). Der Hirntod, als Todeskriterium, in: Roxin/Schroth (Hrsg.) Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 2. Aufl. Stuttgart. S. 231; Parzeller, M. "Sterben Und Tod – Sind Wesentliche Bereiche Am Ende Des Lebens Nicht Normiert Oder Undefinierbar?" Kritische Vierteljahresschrift Für Gesetzgebung Und Rechtswissenschaft (KritV). S. 397. <https://web.archive.org/pdf/10.09.2024>.*

⁶*Bertels, A. (2002). Hirntod des Menschen – medizinische und ethische Aspekte, Dissert. S. 13.*

მორთვა? როდის არის ადამიანი მკვდარი – უკვე ტვინის გათიშვისას, როდესაც ღრმა უკუუბრუნებელ კომაში მყოფი პაციენტი კარდიოფილტვის დახმარებით სუნთქავს, თუ მხოლოდ მაშინ, როდესაც ინტენსიური თერაპიის დახმარების მიუხედავად, ხელოვნურ სუნთქვაზე მყოფი პაციენტი გარდაიცვლება?⁷ უნდა გამოირთოს თუ არა ზეზღურბლოვან კომაში მყოფი პაციენტის ხელოვნური სუნთქვის აპარატი? უკვე 50-იანი წლების ბოლოს რომის პაპმა, პიუს XII-მ ანესთეზიოლოგების მიერ დასმულ ამ კითხვაზე უპასუხა, რომ „თუ ღრმა უგონო მდგომარეობა მუდმივია, ხელოვნურ საშუალებათა გამოყენება სიცოცხლის შესანარჩუნებლად სავალდებულო არაა. შესაძლებელია მათი გამორთვა და პაციენტისათვის გარდაცვალების უფლების მიცემა“⁸. შესაბამისად, რომის პაპმა პიუს XII-მ ზეზღურბლოვან კომაში მყოფი პაციენტი ცოცხლად მიიჩნია, მაგრამ მისი კვდომის პროცესის დროში ხელოვნურად განელვა და ბუნებრივი სიკვდილისათვის ხელის შეშლა ექიმის ვალდებულებად არ ჩათვალა.

სასუნთქი აპარატის გამორთვის პრობლემის, ტვინის სიკვდილის სიკვდილთან გაიგივებას და სიკვდილის ახალი კონცეფციის შემოღებას მედიკოსებმა ევროპის ქვეყნებში ათი წელი მოანდომეს: 1959 წელს ფრანგმა ნევროლოგებმა პიერ ვერტჰაიმერმა (Pierre Wertheimer) და სხვ., პირველად გამოიყენეს ტერმინი «ნერვული სისტემის სიკვდილი». ამავე წელს, ასევე ფრანგმა მეცნიერებმა, პიერ მოლარეტმა (Pierre Mollaret) და მორის გულონმა (Maurice Goulon) შემოიღეს ტერმინი «Coma dépassé» – ზეზღურბლოვანი კომა; ამ ტერმინით მათ აღწერეს 23 პაციენტის მდგომარეობა, რომლებიც კომაში ჩავარდნიდან ხელოვნური სუნთქვის მიუხედავად, რვა დღის განმავლობაში გულის სიკვდილით გარდაიცვალნენ. 1960 წელს პიერ ვერტჰაიმერმა და მისმა კოლეგებმა ხელოვნური სუნთქვა შეუჩერეს ერთ პაციენტს შემდეგი მიზეზების გამო: რეფლექსების არარსებობა, დამოუკიდებელი სუნთქვის უუნარობა, ეეგ-ზე ტვინის ელექტრონული დუმილი და ანგიოგრაფიულად წარმოდგენილი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის არარსებობა. დასახელებული ნიშნები დღესაც «ტვინის სიკვდილის» კრიტერიუმებია. გერმანიაში ტვინის სიკვდილის წინაპირობები პირველად 1964 წელს ქირურგთა კონგრესზე იქნა მიღებული. 1966 წელს საფრანგეთის მედიცინის ეროვნული აკადემიის და 1968 წლის აპრილში გერმანიის ქირურგთა საზოგადოების კომისიის მიერ ტვინის ფუნქციის უკუუბ-

⁷Oduncu, F. (2001). Der Hirntod, als Todeskriterium, in: Roxin, Schroth. (Hrsg.) Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 2. Aufl. S. 235.

⁸Papst Pius XII, Die Stimme des Papstes, Über moralische Probleme der Wiederbelebung, 24.11.1957. file:///C:/Users/Nutzer/Downloads/extract-43.pdf (11.09.2024).

რუნებელი დაკარგვა სიკვდილის ახალ კრიტერიუმად იქნა მიჩნეული, 1968 წლის აგვისტოში კი ტვინის სიკვდილის კონცეფცია წარმოადგინა მედიკოსების, იურისტების და თეოლოგების სპეციალურმა კომისიამ ჰარვარდის უნივერსიტეტში. ამ კომისიამ მიუთითა, რომ თუკი სასუნთქ აპარატზე შეერთებულ პაციენტს ტვინი უკუუბრუნებლად გაეთიშება, იგი აპარატის გამორთვამდე გარდაცვლილად უნდა გამოცხადდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ექიმი ცოცხალი ადამიანისთვის სასუნთქი აპარატის გამორთვით მკვლელობას განახორციელებდა⁹. ჰარვარდის კომისიის შეხედულება უკუუბრუნებლად ტვინგათიშული უიმედო პაციენტისათვის მედიცინის მუშაკის მიერ აპარატის გამორთვით მკვლელობის შემადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით დასაბუთებასაა მოკლებული. ტვინის უკუუბრუნებელი გათიშვა ადამიანის სიკვდილის პროცესის დასაწყისია და სამედიცინო მოწყობილობების დახმარებით ამ დროს მარტოდენ სიკვდილის პროცესი იწელება დროში. სამედიცინო მოწყობილობის გამორთვა კი აზრდაკარგული სამედიცინო დახმარების შეწყვეტა და კვდომის დაწყებული პროცესისათვის ხელის არშეშლაა, რაც მკვლელობის შემადგენლობას არ შეესაბამება. დღეისათვის აღიარებულია, რომ სამედიცინო დახმარების შეწყვეტის მთავარი კრიტერიუმი სიკვდილის უკუუბრუნებელი პროცესის დაწყება¹⁰. ამ დროს ადამიანის სიცოცხლის შესანარჩუნებლად სამედიცინო ღონისძიებები უძლურია და ექიმი გარანტის მოვალეობისაგან თავისუფლდება.

ტვინის სიკვდილის ამ კონცეფციის შემოღება ჰარვარდის კომისიამ ორი საფუძვლის გამო ჩათვალა საჭიროდ: (1) უკუუბრუნებელ ღრმა კომაში მყოფი, ინტელექტუალური ადამიანების მოვლის ტვირთისაგან ოჯახის და საავადმყოფოს გათავისუფლებისა და, ასევე, მათ მიერ დაკავებული და სხვა პაციენტებისათვის საჭირო ადგილის დასაცვლელად. (2) გადასანერგ ორგანოთა მოსაპოვებლად¹¹. ჰარვარდის ამ კონცეფციით, ბიოლოგიურ სიკვდილთან გაიგივდა ტვინის სიკვდილიც, რომლის დროსაც, ადამიანის გადარჩენის მიზნით, ინტენსიური მედიცინის ღონისძიებები წყდება და გარდაცვლილისაგან ორგა-

⁹Schäfer, K. Korrektes Verständnis für den Hirntod, NJ 5/2018. S. 192.

¹⁰Eser, A. (1985). Medizin und Strafrecht, ZStW, Berlin. (97), S. 33 ff. Henking, T. in: Tsambikakis, M., Rostalski, F. (Hrsg.), Medizinstrafrecht, 1. Aufl. Baden-Baden 2023. §212, Rn. 26; Tröndle, H. (1999). Hirntod, eine rechtliche Beurteilung und das neue Transplantationsgesetz, in: Festschrift für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, Berlin/New York. S. 782.

¹¹Bertels, A. (2002). Hirntod des Menschen – medizinische und ethische Aspekte, Dissertation. S. 16; Klaus, S. Korrektes Verständnis für den Hirntod, NJ 5/2018, S. 192.

ნოს აღება დასაშვებია¹². ამგვარად, საფუძველი დაედო სიკვდილის „ნევროლოგიურ“ გაგებას¹³.

ჰარვარდის სპეციალური კომისიის მიერ წამოყენებულ იქნა წინადადება შეუქცევადი კომას (შემდგომში, ტვინის სიკვდილის) სიკვდილის ახალ სახედ ჩათვლის შესახებ, რომლის ნიშნებად განისაზღვრა: 1. შეგრძნებების და რეაქციის არარსებობა; 2. სპონტანური მოძრაობის და სუნთქვის არარსებობა; 3. რეფლექსების არარსებობა და 4. ტვინის ქერქის ელექტრონული დუმილი¹⁴.

ჰარვარდის უნივერსიტეტის კომისიის მიერ ტვინის სიკვდილის კრიტერიუმების განსაზღვრისას დიდი ტვინი, პატარა ტვინი, ტვინის ღერო და ზურგის ტვინი, ანუ, მთლიანი ცენტრალური ნერვული სისტემა მოიაზრებოდა, შესაბამისად, ტვინის სიკვდილის დასადგენად საჭირო იყო ზურგის ტვინიდან მომავალი რეფლექსების არარსებობის დადგენაც, როგორც ეს ტვინის სიკვდილის წინაპირობების ჩამონათვალშია მითითებული. ეს კრიტერიუმი ამავე წელს იქნა ამოღებული ჰარვარდის ტვინის სიკვდილის კონცეფციიდან და ამგვარად ტვინის სიკვდილის ვიწრო დეფინიცია ჩამოყალიბდა. ამ დროიდან მოყოლებული, ზურგის ტვინის სიკვდილის დადგენა ტვინის სიკვდილის დასადგენად აღარაა საჭირო. პაციენტები, რომლებსაც დაუდგინდათ ტვინის სიკვდილი, ორგანოს ამოღებამდე ან ამოღებისას, შესაძლებელია, ახორციელებდნენ ზურგის ტვინის რეფლექსებს, ჩვიდმეტ მოძრაობას, როგორცაა წამოწევა, მკლავების აწევა, ფეხების გატოკება და სხვ¹⁵. ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ განვითარებულმა ტვინის სიკვდილის ამ კონცეფციამ შემდგომში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა¹⁶ და საფუძველი დაუდო კანონმდებლობებს ორგანოთა გადანერგვის შესახებ.

მაგალითისათვის, გერმანიის ექიმთა ფედერალური პალატის სამეცნიერო საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ტვინის სიკვდილის დადგენის შესახებ,

¹²Bertels, A. (2002). Der Hirntod des Menschen – medizinische und ethische Aspekte, Dissertation. S. 15.

¹³Müller, S. Wie tot sind Hirntote? ApuZ, 20-21/2011, S. 3; Schäfer, K. Korrektes Verständnis für den Hirntod, NJ 5/2018. S. 191.

¹⁴Ad Hoc Committee of the Harvard Medical School, A definition of irreversible coma, in: Journal of the American Medical Association, 205 (1968) 6, S. 337 f., nach Müller, S. Wie tot sind Hirntote? ApuZ, 20-21/2011. S. 3.

¹⁵Fuchs, R. (2017). Tot oder lebendig? Die Hirntod-Falle, Leipzig. S. 64 f.

¹⁶Tröndle, H. (1999). Hirntod, eine rechtliche Beurteilung und das neue Transplantationsgesetz, Festschrift für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, Berlin/New York. S. 780.

ტვინის სიკვდილს სამეცნიერო სამედიცინო გაგებით, სიკვდილს უთანაბრებს და მას განმარტავს, როგორც „დიდი ტვინის, პატარა ტვინის და ტვინის ღეროს ფუნქციონირების შეწყვეტას კონტროლირებადი ვენტილაციით გულის მოქმედების და სისხლის მიმოქცევის ხელოვნურად შენარჩუნებისას“¹⁷.

არსებობს ტვინის სიკვდილის გაცილებით უფრო ვიწრო გაგებაც. დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთში ტვინის სიკვდილის დასადგენად საკმარისია ტვინის ნაწილობრივი სიკვდილის, მარტოდენ ტვინის ღეროს სიკვდილის („brainstem-death“) დადგენა¹⁸, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია სუნთქვისა და გულის ცემისათვის. დიდი ტვინის ფუნქციის შემონახვას ყურადღება არ ენიჭება¹⁹.

ტვინის ნაწილობრივი სიკვდილი, მარტოდენ ცერებრალური სიკვდილი, ანუ კოგნიტიური უნარებისათვის პასუხისმგებელი დიდი ტვინის სიკვდილი, ტვინის სიკვდილად არ ითვლება²⁰. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ სიკვდილის ცნება სამედიცინო მოცემულობა კი არა, არამედ, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, მხოლოდ „ნორმატიული შეთანხმებაა“²¹.

¹⁷Wissenschaftlicher Beirat der Bundesärztekammer: Richtlinien zur Feststellung des Hirntodes, Deutsches Ärzteblatt 1998, <https://www.aerzteblatt.de> (13.09.2024); დღეისათვის გაბატონებულია ეს შეხედულება გერმანულ სისხლის სამართალში. იხ. Schönke, A., Schröder, H., Eser, A., Sternberg-Lieben, D. (2019). Strafrechtsgesetzbuch Kommentar, 30 Aufl. vor §211, Rn. 19.

¹⁸დამაბნეველია წარმოდგენა იმისა, რომ ადამიანი, რომელიც დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთში უკვე მკვდრად ითვლება და შესაძლებელია, რომ დონორი გახდეს, სხვა დანარჩენ ქვეყნებში, მაგ. საქართველოსა და გერმანიაში, ჯერ კიდევ, ცოცხლადაა აღიარებული და, შესაბამისად, მისი დონორობა დაუშვებელია.

¹⁹Bertels, A. (2002). Hirntod des Menschen – medizinische und ethische Aspekte, Dissert. S. 20.

²⁰Bertels, A. (2002). Hirntod des Menschen – medizinische und ethische Aspekte, Dissert. S. 28.

²¹ Schönke, A., Schröder, H., Eser, A., Sternberg-Lieben, D. (1985). Strafrechtsgesetzbuch Kommentar, 30 Aufl. München, 2019. vor §211, Rn. 19; Eser, A. Medizin und Strafrecht, ZStW, Berlin (97). S. 27 ff.

3. სიკვდილის დეფინიცია ქართულ სამართლებრივ სივრცეში

სიკვდილის დეფინიცია მედიცინის ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ საქართველოშიც შეიცვალა. გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში სისხლის სამართლის ქართულ მეცნიერებაში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ კლინიკურ და ფიზიოლოგიურ (ბიოლოგიურ) სიკვდილს და ადამიანის ფიზიოლოგიური სიკვდილის დასადგენად კუმულატიურად გულის მოქმედების შეჩერებასთან ერთად, თავის ტვინის ნერვული ელექტრონული აქტივობის უკუუბრუნებელ შეწყვეტას მოითხოვდნენ²². კლინიკური სიკვდილი ან თავის ტვინის სიკვდილი ცალკე აღებული ადამიანის სიკვდილად არ ითვლებოდა. დღევანდელ სისხლის სამართლის მეცნიერებაშიც სიკვდილის კრიტერიუმად კუმულატიურად მიიჩნევა გულის, ასევე ტვინის შეუქცევადი სიკვდილი, ორგანიზმის, როგორც მთლიანის დაღუპვის შეუქცევადი მდგომარეობა, «როდესაც შეწყვეტილია გულისცემა და სუნთქვა, მსხვილ არტერიებში დაკარგულია პულსი, აღარ არსებობს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქცია»²³. შესაბამისად, სისხლის სამართლის ქართულ მეცნიერებაში გამოთქმული ეს შეხედულებები ადამიანის სიკვდილს ტვინის სიკვდილთან არ აიგივებს. ამასთან, ადამიანის ტვინში მოიაზრება არა მხოლოდ თავის ტვინი (დიდი ტვინი, პატარა ტვინი და ტვინის ღერო), არამედ მთლიანი ცენტრალური ნერვული სისტემა (თავის ტვინთან ერთად ადამიანის ზურგის ტვინიც). შესაბამისად, სიკვდილი სისხლის სამართლის ქართულ მეცნიერებაში ფიზიკურად აღქმად მოვლენადაა გაგებული და არა – „ნორმატიულ შეთანხმებად“²⁴.

სიკვდილის საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის ბრძანებულებაში «ადამიანის თავის ტვინის სიკვდილისა და გულის შეუქცევადი გაჩერების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ». ინდივიდის სიკვდილს ეს ბრძანებულება განმარტავს, როგორც «გულისა და სასუნთქი სისტემის ან თავის ტვინის ყველა სტრუქტურის (ტვინის

²² წერეთელი, თ. (1980). დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, წიგნში: მაყაშვილი/მაჭავარიანი/წერეთელი/შავგულიძე, თბილისი. 6.

²³ თოდუა, ნ. (2023). წიგნში: ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მერვე გამოცემა. 30.

²⁴ Schönke, A., Schröder, H., Eser, A., Sternberg-Lieben, D. (2019). Strafgesetzbuch Kommentar, 30 Aufl. München. vor §211, Rn. 19; Eser, A. (1985). Medizin und Strafrecht, ZStW, Berlin (97), S. 27 ff.

ღეროს ჩათვლით) ფუნქციის შეუქცევად შეწყვეტას»²⁵. ამ ბრძანებულების 24-ე პუნქტი თავის ტვინის სიკვდილს ადამიანის სიკვდილს უთანაბრებს და მას რეანიმაციული ღონისძიებების, მათ შორის, ხელოვნური ვენტილაციის შეწყვეტას, ან გარდაცვლილის ორგანოს დონორად აღიარებას უკავშირებს. ტვინის სიკვდილის აღნიშნული საკანონმდებლო განმარტება ვინროა და ტვინის სიკვდილში ცენტრალური ნერვული სისტემის მხოლოდ ერთი ნაწილი, მარტოდენ თავის ტვინის სიკვდილი (დიდი ტვინი, პატარა ტვინი, ტვინის ღერო) მოიაზრება; ტვინის სიკვდილის დასადგენად თავის ტვინის სიკვდილთან ერთად კუმულაციურად ზურგის ტვინის სიკვდილის დადგენა არაა საჭირო.

ადამიანის სიკვდილს მარტოდენ თავის ტვინის (და არა მთლიანი ცენტრალური ნერვული სისტემის) ფუნქციონირების შეწყვეტას უკავშირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც (სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწ. მე-2 ნინადადება).

თავის ტვინის სიკვდილის გაცილებით ფართო დეფინიციაა მოცემული 2000 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონში «ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ»²⁶ (ამ კანონის მე-3 მუხლის ზ) პუნქტი), სადაც ტვინის სიკვდილი განმარტებულია, როგორც «სპეციალური სამედიცინო საშუალებებით სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის შენარჩუნების ფონზე თავის ტვინისა და ზურგის ტვინის საწყისი სეგმენტების ფუნქციის შეუქცევადი შეწყვეტა». კანონმდებელმა აქ ტვინის სიკვდილად ცენტრალური ნერვული სისტემის დიდი ნაწილის (თავის ტვინთან ერთად ზურგის ტვინის საწყისი სეგმენტების) ფუნქციონირების შეუქცევადი შეწყვეტა ჩათვალა. ეს კანონი ჩაანაცვლა ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს ახალმა კანონმა, რომლის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძალაშია 2025 წლის პირველი იანვრიდან), ტვინის სიკვდილში თავის ტვინის ფუნქციის სრული და შეუქცევადი შეწყვეტა მოიაზრება. ანუ, ახალი კანონი ორგანოთა გადანერგვის შესახებ, ტვინის ვინრო დეფინიციას იზიარებს და ტვინის სიკვდილის დასადგენად ზურგის ტვინის საწყისი სეგმენტების ფუნქციის შეწყვეტას აღარ მოითხოვს. სამაგიეროდ, ტვინის ფართო დეფინიციას ჯერ კიდევ ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის

²⁵ დაწვრილებით თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმებსა და თავის ტვინის სიკვდილის კლინიკური დიაგნოზისა და პარაკლინიკური გამოკვლევის მეთოდების შესახებ იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება «ადამიანის თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმების და თავის ტვინის სიკვდილის კლინიკური დიაგნოზისა და პარაკლინიკური გამოკვლევის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე».

²⁶ ეს კანონი ძალადაკარგულია 2025 წლის პირველი იანვრიდან.

შესახებ საქართველოს კანონის 2024 წლის 21 თებერვლის კონსოლიდირებული ვარიანტის მე-3 მუხლის „ჭ“ პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ტვინის სიკვდილი სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის ტვინთან ერთად ზურგის ტვინის საწყისი სეგმენტების ფუნქცია სრულად და შეუქცევადია შეწყვეტილი. დეფინიციებს შორის ეს განსხვავება, შესაძლოა, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის ტექნიკურ ცდომილებად ჩაითვალოს. ტვინის სიკვდილის დადგენისას სპეციალისტები იხელმძღვანელებენ არა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ტვინის ფართო დეფინიციით, არამედ ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს ახალი კანონის მიერ დადგენილი ტვინის სიკვდილის ვიწრო დეფინიციით, რადგან, სწორედ ეს კანონია სპეციალური ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში.

როგორც ვხედავთ, საქართველოშიც ტვინის სიკვდილის საკანონმდებლო დეფინიცია დროთა განმავლობაში შეიცვალა და კანონმდებელი ტვინის სიკვდილის ფართო განმარტებიდან ტვინის სიკვდილის ვიწრო განმარტებაზე გადავიდა. სიკვდილის აკადემიური გაგება კი გაცილებით უფრო ფართოა და ზუსტად ასახავს სიკვდილის ტრადიციულ კულტურულ და სოციალურ გაგებას, რაც საქართველოშია გაბატონებული.

4. დისკუსია თავის ტვინის სიკვდილის კონცეპტზე

დღეისათვის, როგორც მედიცინასა და მედიცინის სისხლის სამართალში, ასევე ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონმდებლობებში საერთაშორისო მასშტაბით გაბატონებულია „მკვდარი დონორის წესი“ (დონორი დონაციისას გარდაცვლილი უნდა იყოს) და მოსაზრება ტვინის სიკვდილის ადამიანის სიკვდილთან გაიგივების შესახებ²⁷. აღიარებულია, რომ თავის ტვინის სრული და უკუუბრუნებელი სიკვდილისას დასრულდება ადამიანის სიცოცხლეც, რადგან თავის ტვინის უჯრედები შეუქცევლადია განადგურებული, ანუ შეუქცევლადია გათიშული ადამიანის კონტროლის ცენტრალური და მაინტეგრირებული

²⁷ Schönke, A., Schröder, H., Eser, A., Sternberg-Lieben, D. (2019). Strafgesetzbuch Kommentar, 30 Aufl. München. vor §211, Rn. 19.

სისტემა²⁸. ტვინის სიკვდილის დასაბუთებისას სამეცნიერო ლიტერატურაში მოჰყავთ ორი, სოციალური (ცნობიერების) და ბიოლოგიური არგუმენტი²⁹.

ტვინის სიკვდილის სოციალური (ცნობიერების) არგუმენტის მიხედვით, ადამიანი სოციალურად მკვდარია, როდესაც მას უკუუბრუნებლად აქვს დაკარგული ცნობიერება, აღარ შეუძლია აზროვნება და მეტყველება, აღარ აქვს შეგრძნება, რაიმეს განცდის, გადანყვევტილების მიღების, ზნეობრივი მოქმედებისა და სირცხვილის უნარი³⁰. ტვინის სიკვდილით აღარ არსებობს ადამიანი, როგორც პიროვნება, რადგან მისი ტვინის უჯრედები შეუქცევადადაა დაზიანებული და ისინი თავის ფუნქციას უკვე ვერასოდეს ველარ დაიბრუნებენ. შესაბამისად, ამ მოსაზრების მიხედვით, როდესაც სამართლებრივი სიკეთე – პიროვნების სიცოცხლე უკვე გამქრალია, ორგანოების ამოღება დასაშვებია, რადგან სამართალი იცავს ადამიანის სიცოცხლეს და არა ცოცხალ ორგანოებს, რომლებიც ჯერ კიდევ სისხლით მარაგდება³¹.

ტვინის სიკვდილის სოციალური გაგება სიცოცხლის ხარისხობრივი გრადაციის დაუშვებლობის და ადამიანთა თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს ეწინააღმდეგება. კრიტიკოსები სწორად აღნიშნავენ, რომ თუ ტვინის სიკვდილის ამ არგუმენტს დავეყრდნობით, ცნობიერებადაკარგული/ცნობიერების საერთოდ არმქონე ადამიანები, მაგ., მყარ ვეგეტატიურ მდგომარეობაში მყოფი, ან მძიმე დემენციით დაავადებული, ანდა ანანცეფალი ჩვილები გარდაცვლილად უნდა ჩავთვალოთ, რაც, როგორც ეთიკურად, ასევე სამართლებრივად დაუშვებელია. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ლოგიკურად ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობის ტაბუს დარღვევამდე და ადამიანების დონორებად გამოყენების დასაშვებობამდე მიგვიყვანდა³².

გასული საუკუნის 70-იან წლებიდან მოყოლებული, ტვინის სიკვდილის სოციალური არგუმენტის სისუსტის გამო, ტვინის სიკვდილის კონცეფციის მომ-

²⁸ *Oduncu, F.* (2001). Der Hirntod, als Todeskriterium, in: Roxin/Schroth (Hrsg.) Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 2. Aufl. Stuttgart. S. 244.

²⁹ *Manzei-Gorski, A.* (2017). Tod oder sterbend? CNE (Certified Nursing Education) Schwerpunkt Hirntod. S. 150, file:///C:/Users/Nutzer/Downloads/Manzei_2015_Tododersterbend.pdf (18.09.2024).

³⁰ *Oduncu, F.* (2001). Der Hirntod, als Todeskriterium, Roxin/Schroth (Hrsg.) Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 2. Aufl. S. 204.

³¹ *Schroth, U.* (2010). Die postmortale Organ-und Gewebespende, in: Roxin/Schroth (Hrsg.) Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 4. Aufl. S. 450.

³² *Manzei-Gorski, A.* (2017). Tod oder sterbend? CNE (Certified Nursing Education) Schwerpunkt Hirntod, S. 150. file:///C:/Users/Nutzer/Downloads/Manzei_2015_Tododersterbend.pdf (18.09.2024).

ხრეები მას დამატებითი, ბიოლოგიური არგუმენტით ამყარებენ. ისინი მიუთითებენ, რომ ტვინის სიკვდილით ადამიანი კარგავს მაინტეგრირებელ ორგანოს³³. სხეული ტვინის სიკვდილით მთლიანობაში გარდაცვლილია, რადგან უკუუბრუნებლად დაკარგული ცნობიერება, ტკივილის აღქმის უნარი. ტვინის სიკვდილისას, სიკვდილი ვიზუალურად ვერ აღიქმება, მაგრამ ტვინმკვდარი ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემა მხოლოდ სამედიცინო მოწყობილობის დახმარებით ფუნქციონირებს და მათ გარეშე პირი „ძველი გაგებით“ უმაღლეს გარდაიცვლება. ამასთან, ტვინის სიკვდილის მომხრეთა აზრით, მედიცინა ცალსახად ამტკიცებს, რომ ტვინმკვდარი ადამიანი, ისევე, როგორც ნარკოზში მყოფი, ტკივილს ვერ შეიგრძნობს და ტვინის სიკვდილის დიაგნოსტიკა ერთ-ერთი ზუსტია მედიცინაში³⁴. ბიოეთიკოსთა ერთი ნაწილი ერთმანეთისაგან განასხვავებს პიროვნებას და ორგანიზმს. ორგანიზმი კვდება მაშინ, როდესაც კვდება ტვინის ღერო, რადგან იგი პასუხისმგებელია მთელი ორგანიზმის ინტეგრირებული ფუნქციონირებისათვის; პიროვნება კი მკვდარია მაშინ, როდესაც ტვინის ცერებრალური ქერქი (კორტექსი) დაზიანებულია, რომელიც ცნობიერების და მენტალური აქტივობისთვისაა პასუხისმგებელი. ამგვარად, მათი აზრით, პიროვნებისაგან დაცლილი ორგანიზმის დონორად გამოყენება შეიძლება; მისი სიცოცხლის მოსპობა ისევე არაა დასაძრახი, როგორც მცენარისა³⁵.

ტვინის სიკვდილის ბიოლოგიური არგუმენტის საწინააღმდეგოდ კი კრიტიკოსები³⁶ მიუთითებენ, რომ ტვინის სიკვდილის კონცეპტი ორგანოთა მოპოვების გასაადვილებად არის ჩამოყალიბებული³⁷. ტვინმკვდარი ადამიანი ჯერ კიდევ

³³ Schönke, A., Schröder, H., Eser, A., Sternberg-Lieben, D. (2019). Strafgesetzbuch Kommentar, 30 Aufl. München. vor §211, Rn. 19.

³⁴ Schroth, U. (2010). Die postmortale Organ-und Gewebespende, in: Roxin, Schroth. (Hrsg.), Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 4. Aufl. Stuttgart. S. 448 f.

³⁵ McMahan, J. Brain death, cortical death and persistent vegetative state, in: Kuhse/Singer (eds.), A Companion to Bioethics, Oxford 1998, nach Müller, S. Wie tot sind die Hirntote? Alte Frage - neue Antworten, ApuZ, 20-2/2011, S. 4.

³⁶ ტვინის სიკვდილის სიკვდლად გამოცხადების მოწინააღმდეგეებს მიეკუთვნებიან ნობელის პრემიის ლაურეატები, ფილოსოფოსი ჰანს იონასი (Hans Jonas) და ნევროლოგი სერ ჯონ კ. ეკლსი (Sir Jon C. Eccles). იხ. Tröndle, H. (1999). Hirntod, eine rechtliche Beurteilung und das neue Transplantationsgesetz, Festschrift für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, Berlin/New York, S. 783.

³⁷ Tröndle, H. (1999). Hirntod, eine rechtliche Beurteilung und das neue Transplantationsgesetz, Festschrift für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, Berlin/New York. S. 780.

არაა გვამი³⁸. ადამიანის არსი არ უნდა განვაცალკევოთ მისი ორგანიზმისაგან და მხოლოდ მის ტვინში არ უნდა მოვიაზროთ. ტვინი არაა სხეულის ერთადერთი მაინტეგრირებელი ორგანო, სხეულის მართვის ფუნქცია ტვინის სიკვდილისას საბოლოოდ არაა დაკარგული, თუნდაც იმიტომ, რომ „ტვინმკვდარ“ ქალს ფეხმძიმობის პროცესის დამოუკიდებლად მართვა და მშობიარობაც კი შეუძლია³⁹. ადამიანის თავის ტვინს მთელი ორგანიზმის ინტეგრაციის ფუნქცია რომ ეკისრებოდეს, ვენტილაციაზე მყოფი ტვინმკვდარი დედები თვეების განმავლობაში ფეხმძიმობას ვერ დაარეგულირებდნენ, საკეისრო კვეთით ჯანმრთელ ბავშვებს ვერ დაბადებდნენ⁴⁰ და რძეს ვერ წარმოქმნიდნენ⁴¹. ტვინმკვდარი ადამიანი გვამად ვერ აღიქმება, რადგან ტვინის სიკვდილის დადგენის შემდეგ ის ისევე გამოიყურება, როგორც ტვინის სიკვდილის დადგენის წინ: მისი სხეული თბილია და კანი – ვარდისფერი. ტვინმკვდარი ადამიანი ინელებს და გამოჰყოფს ექსკრემენტებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას, ებრძვის ინფექციას (ტემპერატურის მომატებით), მისი ჭრილობები ხორცდება; ტვინმკვდარი ბავშვები იზრდებიან და სქესობრივადაც კი მწიფდებიან⁴². ამასთან, უკანასკნელ პერიოდში დადასტურდა, რომ ტვინის სიკვდილი უმაღლეს არ იწვევს გულის გაჩერებას და ბიოლოგიურ სიკვდილს და ტვინის სიკვდილისა და ბიოლოგიურ სიკვდილის დროში რელატიური თანხვედრა არ საბუთდება. ხელოვნური სუნთქვის შესაძლებლობის შემთხვევაში ადამიანმა, რომლის ტვინსაც ფუნქციები უკუუბრუნებლად აქვს დაკარგული, შესაძლებელია, 14 წელიც კი იცოცხლოს⁴³.

³⁸ Manzei-Gorski, A. (2017). Tod oder sterbend? CNE (Certified Nursing Education) Schwerpunkt Hirntod, S. 148. file:///C:/Users/Nutzer/Downloads/Manzei_2015_Tododersterbend.pdf (18.09.2024).

³⁹ საწინააღმდეგო მოსაზრებით კი, ფეხმძიმობას ამ დროს მართავს არა თავის ტვინი, ადამიანის ცენტრალური მართვის სისტემა, არამედ მარტოდენ პლანცენტა. იხ. Schroth, U. Die postmortale Organ-und Gewebespender, in: Roxin/Schroth (Hrsg.). (2010) Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 4. Aufl. S. 449.

⁴⁰ 2003 წლის შემდეგ ოფიციალურად ცნობილია ტვინმკვდარი დედების მიერ ცოცხალი და ჯანმრთელი ბავშვების დაბადების ათი შემთხვევა. იხ. Müller, S. Wie tot sind Hirntote? Alte Fragen, neue Antworten, APuZ, 20-21/2011, S. 4.

⁴¹ Byrne, P., Coimbra, C., Spaemann, R., Wilosn, M. A. (2005). Der „Hirntod“ ist nicht der Tod! Aufsatz von einer Tagung der Päpstlichen Akademie der Wissenschaften Anfang Februar. S. 4. <https://www.domradio.de.pdf> (14.09.2024).

⁴² Müller, S. Wie tot sind die Hirntote? Alte Frage - neue Antworten, APuZ, 20-21/2011, S. 4.

⁴³ Vgl. Shewmon, A. (2001). The brain and somatic integration, in: Journal of Medicine and Philosophy, 25, 5, p. 457-478, nach Müller, S. Wie tot sind die Hirntote? Alte Frage – neue Antworten, APuZ, 20-21/2011, S. 4.

გარდა ამისა, ტვინის სიკვდილის კონცეპტის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებაც: ადამიანი ტვინის სიკვდილის შემდეგაც შეიგრძნობს ტკივილს⁴⁴, „ტვინმკვდარი“ სხეული ორგანოს ამოღებისას რეაგირებს კვეთაზე, ტემპერატურაზე, იგი ოფლიანობს, მას უბშირდება პულსი, მისი წნევა იწევს და სისხლში ადრენალინის შემცველობა იმატებს (ძლიერი შიშის სიგნალი თავდასაცავად ან გასაქცევად), პაციენტი მოძრაობს კიდეც (ტვინის სიკვდილის მომხრეთა აზრით, არა ტკივილის, არამედ, სპინალური რეფლექსების გამო)⁴⁵, ამიტომაც ზოგჯერ „ტვინმკვდარ“ დონორს ორგანოს ამოღებამდე მომადუნებელ მედიკამენტს და ტკივილდამაყუჩებელს აძლევენ, ორგანოს ამოღებისას რეასაათიანი ოპერაციის დროს კი, ზოგიერთ ქვეყანაში, ნარკოზს⁴⁶. გარდა ამისა, მედიკოსთა ერთი ნაწილი ტვინის სიკვდილის ზუსტი მტკიცების შესაძლებლობასაც უარჰყოფს⁴⁷, გერმანულ მედიაში კი პერიოდულად ქვეყნდება ტვინის სიკვდილის არასწორი დადგენის მაგალითებიც⁴⁸.

ლიტერატურაში ასევე მიუთითებენ, რომ მსოფლიოს მასშტაბით არ არსებობს ტვინის სიკვდილის დადგენის ერთგვაროვანი დიაგნოსტიკური კრიტერიუმები და ტვინის სიკვდილის პრობლემა „გადაუჭრელ პრობლემებს მიეკუთვნება.“ 1968 წლიდან 1978 წლამდე გამოქვეყნებულია ტვინის სიკვდილის 30-მდე კრიტერიუმი, ამასთან, ტვინის სიკვდილის ყოველი ახალი კრიტერიუმი გაცილებით უფრო „ნაკლებად მკაცრია“ წინასთან შედარებით. ექიმთა ერთი ნაწილის აზრით, ამგვარი მეცნიერულად დაუსაბუთებელი კრიტერიუმების აღიარება

⁴⁴ სპეციალისტთა ნაწილის აზრით, ამ დროს მნიშვნელოვანი ნევროლოგიური ფუნქციები ჯერ კიდევ სახეზეა. *Truog, R. D., Miller, F. G. (2008). The Dead Donor Rule and Organ Transplantation, in: The New England Journal of Medicine, 359, 7, S. 674 nach Bergmann, A. Organspende - tödliches Dilemma oder ethische Pflicht? APuZ, 20-21/2011 S. 13.*

⁴⁵ Rethinking the Ethics of Vital Organ Donations, in: Hastings Center Report, (2008). 38, 6, S. 41, nach *Bergmann, A. Organspende - tödliches Dilemma oder ethische Pflicht? APuZ, 20-21/2011, S. 13.*

⁴⁶ ბრიტანელი ექიმები 2005 წლისათვის მოითხოვდნენ ტვინმკვდარი პაციენტებისათვის ორგანოს ამოღებისას ნარკოზის მიცემას, ტკივილით გამოწვეული რეაქციის გამო იხ. *Manzei-Gorski, A. (2017). Tod oder sterbend? CNE Schwerpunkt Hirntod. S. 152; Müller, S. Wie tot sind die Hirntote? Alte Frage - neue Antworten, APuZ, 20-21/2011, S. 6.*

⁴⁷ *Müller, S. Wie tot sind die Hirntote? Alte Frage - neue Antworten, APuZ, 20-21/2011, S. 5.*

⁴⁸ *Ulsenheimer, K., Gaede, K. (2021). Arztstrafrecht in der Praxis, 6. Aufl. S. 524, Fn. 54.*

სიკვდილის კრიტერიუმად ჰიპოკრატეს ფიცის დარღვევაა და ექიმის პროფესიის მაღალ რეპუტაციას ლახავს⁴⁹.

ამ და სხვა მრავალ კრიტიკულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, 1995 წელს გერმანელმა იურისტებმა და მედიკოსებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი დეკლარაცია კონსტიტუციასთან შესაბამისი ტრანსპლანტაციის კანონის შემუშავების და ტვინმკვდარი პაციენტის გვამთან გაიგივების დაუშვებლობის შესახებ⁵⁰, რაც გერმანელმა კანონმდებელმა არ გაიზიარა. მიუხედავად ამისა, ტვინის სიკვდილის კონცეპტის შესახებ დისკუსია დღესაც არ ცხრება. 2015 წელს გერმანიის ეთიკის საბჭოს 26 წევრიდან შეიღმა წევრმა ტვინის სიკვდილი ადამიანის სიკვდილის საკმარის წინაპირობად არ ჩათვალა⁵¹.

2005 წელს რომის პაპის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ტვინის სიკვდილთან დაკავშირებით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე კონფერენციის მონაწილენი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ჰარვარდში ჩამოყალიბებული ტვინის სიკვდილის კრიტერიუმები არასწორია, რადგან ისინი საჭირო სამეცნიერო კვლევებს არ ეყრდნობა⁵².

ტვინის სიკვდილის სიკვდილთან გაიგივების კონცეპტი, რომელიც 1968 წლის შემდეგ აღიარებული იყო მედიცინაში, უარყოფილ იქნა ასევე 2008 წლის დეკემბერში აშშ-ს პრეზიდენტის ბიოეთიკის საბჭოს მიერ შედგენილ საბაზისო დოკუმენტშიც სიკვდილის განსაზღვრის შესახებ. საბჭოს წევრების დასკვნით, ტვინის სიკვდილის სიკვდილად აღიარების მთავარი არგუმენტი იმის შესახებ, რომ ტვინი ადამიანის სხეულის ფუნქციონირებისათვის გადამწყვეტი მაინტეგრირებული ორგანოა, მეცნიერულად არ საბუთდება, რადგან ტვინის სიკვდილსა და ბიოლოგიურ სიკვდილს შორის დროითი და მიზეზობრივი კავშირი არ დგინდება; ამასთან, ინტეგრაცია მართოდენ ტვინის კი არა, არამედ მთე-

⁴⁹ Byrne, P., Coimbra, C., Spaemann, R., Wilosn, M. A. (2005). Der „Hirntod“ ist nicht der Tod! Aufsatz von einer Tagung der Päpstlichen Akademie der Wissenschaften Anfang Februar. S. 2. <https://www.domradio.de. pdf> (14.09.2024).

⁵⁰ Roth, G. (1995). „Hirntod“ bzw. „Hirntodkonzept“, Ausschuss für Gesundheit, 17. Sitzung vom 28. 6. S. 24 f. www.transplantation-information.de (02.05.2024).

⁵¹ Deutscher Ethikrat, Hirntod und Entscheidung zur Organspende, Stellungnahme, (24.2.2015). <https://www.ethikrat.org. pdf> (25.09.2024).

⁵² იხ. Byrne, P., Coimbra, C., Spaemann, R., Wilosn, M. A. Der „Hirntod“ ist nicht der Tod! Aufsatz von einer Tagung der Päpstlichen Akademie der Wissenschaften Anfang Februar 2005, S. 2. <https://www.domradio.de. pdf> (14.09.2024).

ლი სხეულის ემერგენტული თვისებაა⁵³. პრეზიდენტის ბიოეთიკის საბჭომ ტვინის სიკვდილის კონცეპტის გადახალისებასთან დაკავშირებული სამი სხვადასხვა ვარიანტი განიხილა: (1) ტვინის სიკვდილის და სიკვდილის გაიგივების ახალი დასაბუთება; (2) მკვდარი დონორის წესის (Dead-Donor-Rule) გაუქმება; (3) ტვინმკვდარი პაციენტისაგან ორგანოს ამოღებაზე უარის თქმა (რაც გვამური დონაციის აკრძალვას მოითხოვს).

აშშ-ს პრეზიდენტის ბიოეთიკის საბჭოზე შემოთავაზებული პირველი ვარიანტი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მიჯნის გავლების ახალი მცდელობაა. საბჭომ ჩამოაყალიბა არა სიკვდილის, არამედ ცოცხალი ორგანიზმის ახალი, ფილოსოფიური დეფინიცია, რომლის მიხედვითაც, ორგანიზმის სიცოცხლის აუცილებელი კრიტერიუმი თვითგადარჩენისათვის შრომაა გარემოსთან ურთიერთქმედებაში, რაც სამ ფუნდამენტურ უნარს მოიცავს: (1) ღიაობა სამყაროს მიმართ; (2) სამყაროზე ზემოქმედების უნარი; (3) საჭიროების შეგრძნება, რაც ორგანიზმს უბიძგებს იმოქმედოს, რათა მიიღოს ის, რაც მას სჭირდება და რასაც ის ხელმისაწვდომად მიიჩნევს⁵⁴.

სიცოცხლის ფილოსოფიურ დეფინიციასა და ტვინის სიკვდილის, როგორც ადამიანის პიროვნების სიკვდილის სოციალური (ცნობიერების) არგუმენტით დასაბუთებას შორის შინაარსობრივი განსხვავება თითქმის არ შეიმჩნევა, რადგან ცნობიერებადაკარგული ადამიანი ამ სამივე ჩამოთვლილ თვისებას მოკლებულია. აშშ-ს პრეზიდენტის ბიოეთიკის საბჭო არსებითად ტვინის სიკვდილის ძველ შინაარსს იმეორებს და მას მხოლოდ განსხვავებული სიტყვიერი სამოსით მოსავს. ამ დეფინიციის სანინალმდეგოდ იგივე არგუმენტის გამოყენება შეიძლება, რომლითაც სიკვდილის სოციალურ (ცნობიერების) არგუმენტს აკრიტიკებენ: ამ დეფინიციით მკვდრად უნდა ჩაითვალოს და შესაძლო დონორად უნდა იქნას აღიარებული ყველა ის დაავადებული ადამიანი, რომელსაც საკუთარი მოთხოვნილების არც შეგრძნება აქვს და არც მისი დაკმაყოფილების უნარი. სიცოცხლის ახალი, ფილოსოფიური დეფინიცია, რომელიც ბიოლოგიურისაგან განსხვავდება, მკვლელობის აკრძალვასა და ტრან-

⁵³ Controversies in the Determination of Death, A White Paper by the President's Council on Bioethics, December 2008, p. 40, <https://bioethicsarchive.georgetown.edu> (25.09.2024).

⁵⁴ Controversies in the Determination of Death, A White Paper by the President's Council on Bioethics, December 2008, p. 61, <https://bioethicsarchive.georgetown.edu/pcbe/reports/death/> (25.09.2024).

სპლანტაციის მედიცინის მოთხოვნების დაკმაყოფილების „ურთიერთმორიგების“ სუსტი მცდელობა⁵⁵.

პრეზიდენტის ბიოეთიკის საბჭოზე შემოთავაზებული მეორე ვარიანტი „გარდაცვლილი დონორის წესზე“ (Dead-Donor-Rule) უარის თქმაა, ანუ, იმ აღიარებული წესის გაუქმება, რომ გვამური დონაცია მხოლოდ გარდაცვლილი დონორის სხეულიდან ამოღებული ორგანოებით ხორციელდება. ამ ვარიანტის ავტორები ტვინის სიკვდილის სიკვდილთან გათანაბრებას იურიდიულ ფიქციად აღიარებენ. ისინი მიუთითებენ, რომ ტვინმკვდარი ადამიანი არაა მკვდარი და ტვინის სიკვდილის კრიტერიუმი მედიცინის მუშაკების მიერ თავის მოცუებაა ორგანოთა გადანერგვის საჭიროებიდან გამომდინარე⁵⁶. ამასთან, ისინი უარს არ ამბობენ პოსტმორტალურ დონაციაზე და შემოაქვთ ახალი ტერმინი „Justified Killing“, „გამართლებული მკვლელობა“⁵⁷. ამ შეხედულებით, ორგანოს ამოღება მომაკვდავი პაციენტისაგან დასაშვებია და გადანერგვის მიზნით ჩატარებული ექსპლანტაცია მკვლელობის აკრძალვას არ ეწინააღმდეგება.

5. „გარდაცვლილი დონორის წესზე“ უარის თქმის იდეის საკონსტიტუციო და სისხლისსამართლებრივი პრობლემები და შუალედური დასკვნა

„გარდაცვლილი დონორის წესზე“ უარის თქმა საკონსტიტუციოსამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ პრობლემებს წარმოშობს. საკონსტიტუციოსამართლებრივად მიუღებელია პაციენტთა დახარისხება ცნობიერების მქონე და, შესაბამისად, სიცოცხლის ღირს და ცნობიერებადაკარგულ და, შესაბამისად, სიცოცხლის უღირს პაციენტებად. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას პაციენტის სიცოცხლე, დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენი დროა დარჩენილი მის ფიზიოლოგიურ გარდაცვალებამდე.

„სახელმწიფოს საქმე არაა გადაწყვეტა იმისა, როდის მთავრდება ადამიანის სიცოცხლე, ტვინმკვდარი უკვე მკვდარია თუ, ჯერ კიდევ, მომაკვდავი. ... სახელმწიფოს კონსტიტუცია არ აძლევს უფლებას, შეაფასოს ადამიანის სიცოც-

⁵⁵ Müller, S. (20-21/2011). Wie tot sind die Hirntote? Alte Frage - neue Antworten, APuZ, S. 7.

⁵⁶ Bergmann, A. (20-21/2011). Organspende - tödliches Dilemma oder ethische Pflicht? APuZ, S. 15.

⁵⁷ Bergmann, A. (20-21/2011). Organspende - tödliches Dilemma oder ethische Pflicht? APuZ, S. 13.

ხლე და ამ შეფასების შედეგის მიხედვით ერთის ძირითადი უფლება მეორისას შესწიროს მსხვერპლად. პირიქით, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას, დაიცვას პიროვნება მით უფრო ინტენსიურად, რაც უფრო ნაკლებია დროის მონაკვეთი მისი სიკვდილის მომენტამდე, რადგან (ამ დროს) პაციენტი თავდაცვა უკვე აღარ შეუძლია⁵⁸.

„გარდაცვლილი დონორის წესზე“ უარის თქმა და „Justified Killing“ – „გამართლებული მკვლელობა“ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლს, სიცოცხლის უფლებას, ასევე სისხლის სამართლის ძირეულ ამოცანას, დაიცვას ადამიანის სიცოცხლე, დამოუკიდებლად მისი ხანგრძლივობისა.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში ცნობიერების არმქონე, მომაკვდავი ადამიანისაგან ორგანოთა ამოღებით მისი სიკვდილის გამოწვევა ორგანოს საჭიროების მქონე მძიმე ავადმყოფის სიცოცხლის გადასარჩენად ვერ გამართლდება უკიდურესი აუცილებლობით (სსკ 30-ე მუხლი), რადგან მომაკვდავის და მძიმე ავადმყოფის სიცოცხლეთა შეწონასწორებისას მძიმე ავადმყოფის სიცოცხლე მომაკვდავის სიცოცხლეს ვერ გადასწონის.

ექსპლანტაციისას პაციენტის ბიოლოგიური სიკვდილის მართლწინააღმდეგობას ვერ გამოვრიცხავთ ასევე დონაციასთან დაკავშირებით პაციენტის მიერ სიცოცხლეში განცხადებული თანხმობითაც (ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი), რადგან იგი მედიცინის სისხლის სამართალში აღიარებული ინფორმირებული თანხმობის მოთხოვნების დაცვით არაა განცხადებული. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ნებისმიერი სამედიცინო მომსახურების გაწევას წინ უნდა უძღვოდეს ინფორმირებული თანხმობა. პაციენტის უფლებების შესახებ კანონის მე-4 მუხლით, ინფორმირებული თანხმობის წინაპირობაა პაციენტისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება სამედიცინო ჩარევაზე. გვამურ დონაციასთან დაკავშირებით პაციენტის მიერ სიცოცხლეში განცხადებულ თანხმობას კი წინ არ უძღვის ექიმ-სპეციალისტის მიერ პაციენტის სრული ინფორმირება ტვინის სიკვდილის არსზე, ტვინის სიკვდილის დიაგნოზის დასმისათვის საჭირო კლინიკურ გამოკვლევებზე (განსაკუთრებით კი –

⁵⁸ ამონარიდი გერმანიის ბუნდესტაგში ორგანოთა გადანერგვის და ტვინის სიკვდილის შესახებ გამართული დებატებიდან, Prof. Dr. jur. Gallwas, H-U. Stellungnahme zur Anhörung des Gesundheitsausschusses im Deutschen Bundestag am 28. Juni 1995, Protokoll Nr. 17, S. 8 f. nach Fuchs, R. (2017). Tot oder lebendig? Die Hirntod-Falle, Leipzig. S. 66.

აპნოეს ტესტზე, რომელმაც დიაგნოზის დასმისას ტვინის სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს და ტრიგემინული მიდამოს ძლიერ მტკივნეულ გამაღიზიანებელზე რეაქციის შემონმება⁵⁹ და ორგანოს პოტენციური დონორის მართვის (ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი) პირობებზე. შესაბამისად, პირის მიერ წინასწარ გაცემული თანხმობა, გვამურ დონაციასთან დაკავშირებით, ნამდვილი არაა, მაგრამ იგი ორგანოთა გადანერგვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მომაკვდავი პირის მიმართ ჩატარებული სამედიცინო ჩარევების საფუძველია.

ტვინის სიკვდილის სიკვდილთან გათანაბრების უარყოფითა და ტვინმკვდარი პაციენტის მომაკვდავად აღიარებით პაციენტის მიერ სიცოცხლეში განცხადებული თანხმობა გვამურ დონაციასთან დაკავშირებით (ორგანოთა გადანერგვის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 ნაწ.), თუნდაც იგი ინფორმირებული თანხმობის ყველა წინაპირობას აკმაყოფილებდეს, წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართალში აღიარებულ დებულებასთან, რომლის მიხედვით, ადამიანის სიცოცხლე არაა განკარგავადი სამართლებრივი სიკეთე⁶⁰.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მედიცინის მუშაკთა დასახელებული ქმედებანი *de lege lata* სისხლისსამართლებრივად მნიშვნელობას მოკლებულია,

⁵⁹ ამონარიდი გერმანიის ბუნდესტაგში ორგანოთა გადანერგვის და ტვინის სიკვდილის შესახებ გამართული დებატებიდან, Prof. Dr. jur. Gallwas, H-U. Stellungnahme zur Anhörung des Gesundheitsausschusses im Deutschen Bundestag am 28. Juni 1995, Protokoll Nr. 17, S. 8 f. nach Fuchs, R. (2017). Tot oder lebendig? Die Hirntod-Falle, Leipzig. S. 66.

⁶⁰ სწორი შეხედულებით, აღიარება იმისა, რომ ზეზღურბლოვან კომაში მყოფი (ტვინმკვდარი ადამიანი) მკვდარი კი არა, არამედ მომაკვდავია, დამოუკიდებლად მისი თანხმობისა, უცილობლად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ გადანერგვის მიზნით ორგანოთა ამოღებით მედიცინის მუშაკები მკვლელობას ახორციელებენ. იხ. Schönke, A., Schröder, H., Eser, A., Sternberg-Lieben, D. (2019). Strafgesetzbuch Kommentar, 30 Aufl., München. vor §211, Rn. 19. მოსაზრება იმის შესახებ, რომ, მართალია, ტვინმკვდარი ადამიანი ჯერ კიდევ არაა მკვდარი, მაგრამ ორგანოს ამოსაღებად საკმარისია პოტენციური დონორის წინასწარ გამოხატული თანხმობა (ანუ თანხმობის მკაცრი მოდელი გაამართლებს ორგანოს ამოღებას მომაკვდავისაგან), ეწინააღმდეგება ადამიანის სიცოცხლის განუკარგავადობის კანონმდებლობით განმტკიცებულ იდეას, Tröndle, H. (1999). Hirntod, eine rechtliche Beurteilung und das neue Transplantationsgesetz, Festschrift für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, Berlin/New York, S. 782.

რადგან ისინი, მართალია, წინააღმდეგობრივია, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საქმიანობენ⁶¹.

შუალედური დასკვნა: შესაბამისად, აშშ პრეზიდენტის ბიოეთიკის საბჭოზე შემოთავაზებული სამი ვარიანტიდან რჩება მხოლოდ მესამე ვარიანტი, რომელიც ტვინმკვდარი პაციენტისაგან ორგანოს ამოღებაზე უარის თქმას ითვალისწინებს და გვამური დონაციის აკრძალვას მოითხოვს.

6. პოსტმორტალური დონაციის ერთი სოციალ-ფსიქოლოგიური პრობლემისათვის

ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც პოსტმორტალური დონაცია, ასე თუ ისე, დამკვიდრებული პრაქტიკაა, სიკვდილი ინდივიდუალური მოვლენაა და არა სოციალური⁶². მომაკვდავი ავადმყოფის მოვლისას ოჯახის, მეზობლების და მეგობრების როლი მინიმუმამდეა დაყვანილი. პაციენტს გარდაცვალებისათვის საავადმყოფოში ან ჰოსპისში ათავსებენ და ახლობლები და მეგობრები შეძლებისდაგვარად ზრუნავენ მასზე. ტვინის სიკვდილის დადგენის და ორგანოს ამოღების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სამედიცინო აპარატურაზე მიერთებულ პაციენტს, რომელიც მძინარე ადამიანისაგან არაფრით განსხვავდება და, რომელსაც საზოგადოებაში არსებული ტრადიციული შეხედულებით, არავითარი საერთო არ აქვს გვამთან, ახლობელი ეთხოვება, როგორც გარდაცვლილს.

მომაკვდავთან გამოთხოვება საქართველოში, დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ინსტიტუციონალიზებულ ჩარჩოში არაა მოქცეული. ქართულ სოციალურ სინამდვილეში ახლობლების და მეგობრების მიერ მომაკვდავის ოჯახში მოვლის და სიცოცხლის ბოლო წუთამდე მასთან გამოთხოვების ტრადიცია ვერ იგუებს აღნიშნული დონაციის განხორციელებისათვის საჭირო სამედიცინო მოთხოვნებს.

⁶¹ გერმანიაში დონორთა რიცხვი ყოველწლიურად იკლებს. 2010 წლისთვის დარეგისტრირებული იყო 1. 296 პოტენციური დონორი, 2017 წლისთვის კი დონორთა რიცხვი 797-ზე დავიდა. დონორთა ოდენობის კლების მიზეზად უპირველესად ექიმების მიერ გადასანერგი ორგანოების მომლოდინეთა სიის მანიპულირებას, ე.წ. „ტრანსპლანტაციის სკანდალს“ მიიჩნევენ. *ჰილგენდორფი, ე.* 116.

⁶² *Manzei-Gorski, A. (2017). Tod oder sterbend? CNE (Certified Nursing Education) Schwerpunkt Hirntod. S. 148, file:///C:/Users/Nutzer/Downloads/Manzei_2015_Tododersterbend.pdf (18.09.2024).*

7. დასკვნა

პოსტმორტალური დონაციის იდეა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა წინააღმდეგობრივია, რადგან გადანერგვა შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალი ორგანოსი და ცოცხალი ორგანო გვამიდან ვერ ამოიკვეთება. გვამური ტრანსპლანტაციის მედიცინა ეყრდნობა ოქსიმორონულ ტერმინებს: „გვამური დონაცია“, „პოსტმორტალური დონაცია“ და „გარდაცვლილი დონორი“, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს როგორც საზოგადოება, ასევე სოლიდარულად განწყობილი პოტენციური დონორიც. ტერმინში „გვამი“ ტრადიციული შეხედულების მიხედვით, ბიოლოგიურად გარდაცვლილი ადამიანი მოიაზრება გვამის ყველა დამახასიათებელი თვისებით და არა, ჯერ კიდევ, სიკვდილის პროცესში მყოფი გონდაკარგული ადამიანი. მტკიცება იმისა, რომ სიკვდილის კლასიკური გაგების „რენიმაცია“ კენტი ორგანოების გადანერგვას შეუძლებელს გახდის, არაა საკმარისი სიცოცხლის ბოლო მომენტში მომაკვდავის ობიექტივაციისა და არც ადამიანის სიცოცხლის დასრულების ტაბუს დარღვევის დამაჯერებელი არგუმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა

- თოდუა, ნ. (2023). წიგნში: ლექვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მე-8 გამოცემა.
- წერეთელი, თ. (1980). წიგნში: მაყაშვილი/მაჭავარიანი/წერეთელი/შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ.
- ჰილგენდორფი, ე. (2020). შესავალი მედიცინის სისხლის სამართალში, მე-2 გამოცემა.

უცხოენოვანი ლიტერატურა

- Bergmann, A. (20-21/2011). Organspende – tödliches Dilemma oder ethische Pflicht? ApuZ.
- Bertels, A. (2002). Hirntod des Menschen – medizinische und ethische Aspekte, Dissertation.
- Byrne, P., Coimbra, C., Spaemann, R., Wilosn, M. A. Der „Hirntod“ ist nicht der Tod! Aufsatz von einer Tagung der Päpstlichen Akademie der Wissenschaften Anfang Februar 2005. <https://www.domradio.de>.

- Deutscher Ethikrat, (24.2.2015). Hirntod und Entscheidung zur Organspende, Stellungnahme, <https://www.ethikrat.org>.
- Controversies in the Determination of Death, A White Paper by the President's Council on Bioethics, December 2008. <https://bioethicsarchive.georgetown.edu>.
- Eser, A. (1985). Medizin und Strafrecht, ZStW, Berlin (97).
- Fuchs, R. (2017). Tot oder lebendig? Die Hirntod-Falle, Leipzig.
- Henking, T. (2023). in: Michael Tsambikakis/Frauke Rostalski (Hrsg.), Medizinstrafrecht, 1. Aufl. Baden-Baden.
- Manzei-Gorski, A. (2017). Tod oder sterbend? CNE (Certified Nursing Education) Schwerpunkt Hirntod.
- Müller, S. (20-21/2011). Wie tot sind Hirntote? Alte Frage - neue Antworten, ApuZ.
- Nagel, E., Alber, K., Bayerl, B. (20-21/2011). Transplantationsmedizin zwischen Fortschritt und Organknappheit. Geschichte und aktuelle Fragen der Organspende, ApuZ.
- Oduncu, F. (2001). Der Hirntod, als Todeskriterium, in: Roxin/Schroth (Hrsg.,) Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 2. Aufl. Stuttgart.
- Papst Pius XII, (24.11.1957). Die Stimme des Papstes, Über moralische Probleme der Wiederbelebung.
- Parzeller, M. "Sterben Und Tod – Sind Wesentliche Bereiche Am Ende Des Lebens Nicht Normiert Oder undefinierbar?" Kritische Vierteljahresschrift Für Gesetzgebung Und Rechtswissenschaft (KritV).
- Roth, G. "Hirntod" bzw. "Hirntodkonzept", Ausschuss für Gesundheit, 17. Sitzung vom 28.6.1995. www.transplantation-information.de.
- Schäfer, K. Korrektes Verständnis für den Hirntod, NJ 5/2018.
- Schönke, A., Schröder, H., Eser, A., Sternberg-Lieben, D. (2019). Strafgesetzbuch Kommentar, 30 Aufl., München.
- Schroth, U. (2010). Die postmortale Organ-und Gewebespende, in: Roxin/Schroth (Hrsg.,) Medizinstrafrecht, In Spannungsfeld von Medizin, Ethik und Strafrecht, 4. Aufl. Stuttgart.
- Tröndle, H. (1999). Hirntod, eine rechtliche Beurteilung und das neue Transplantationsgesetz, Festschrift für Hans Joachim Hirsch zum 70. Geburtstag, Berlin/New York.
- Ulsenheimer, K., Karsten, Gaede K. (2021). *Arztstrafrecht in der Praxis*, 6. Aufl. Heidelberg.
- Wissenschaftlicher Beirat der Bundesärztekammer: Richtlinien zur Feststellung des Hirntodes, Deutsches Ärzteblatt 1998, <https://www.aerzteblatt.de>.

ნორმატიული აქტები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, (1999).

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, (2000).

საქართველოს კანონი ორგანოთა გადანერგვის შესახებ, (2000).

საქართველოს კანონი ორგანოთა გადანერგვის შესახებ, (2023).

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება «ადამიანის თავის ტვინის სიკვდილის კრიტერიუმების და თავის ტვინის სიკვდილის კლინიკური დიაგნოზისა და პარაკლინიკური გამოკვლევის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე».

ON CERTAIN LEGAL ISSUES OF CADAVERIC DONATION

KETEVAN MTSCHEDLISHVILI-HEDRICH

Visiting Lecturer, Professor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, University of Jena

ketevan.mtchedlishvili@tsu.ge

Abstract. The purpose of this article is to provide a concise overview of the essential precondition for cadaveric donation, namely, human death, and to analyse the international debate on the equivalence of brain death and death. The article also addresses incompatibility of rejecting the “Dead Donor Rule” with Georgian criminal law, as well as the risks of loss of trust in the doctor and weakening the protection of human life that may result from rejecting this rule for the purposes of organ transplantation.

Keywords: *cadaver donation, brain death, dead donor rule*

HATE SPEECH IN SOZIALEN MEDIEN – TÄTERSCHAFT UND TEILNAHME BEI STRAFBAREN BELEIDIGUNG IM INTERNET

BERND HEINRICH

Universität Tübingen, Deutschland,
heinrich@jura.uni-tuebingen.de

Abstract. Der vorliegende Beitrag widmet sich dem Phänomen der Hassrede (Hate Speech). Dabei wird zuerst versucht, das Phänomen zu beschreiben und zu bestimmen, was man unter einer „Hassrede“ versteht. Anschließend wird aufgelistet, nach welchen Strafvorschriften des deutschen Rechts sich die Täter einer Hassrede strafbar machen können. Da die Hassreden meist im Internet und hier oft in den sozialen Netzwerken stattfinden, wird im Anschluss untersucht, wie sich derjenige, der Hasskommentare, die andere verfasst haben, „teilt“ oder (kommentiert oder unkommentiert) weiterleitet, strafbar macht. Insbesondere wird dabei eine Beihilfestrafbarkeit geprüft, wobei man hier vor dem Problem steht, dass ein Äußerungsdelikt regelmäßig schon mit dem Einstellen eines Textes ins Netz vollendet ist und die Möglichkeit einer sukzessiven Beihilfe nach Vollendung der Tat höchst umstritten ist.

Stichworte: Hassrede, Beleidigung, sukzessive Beihilfe

I. EINLEITUNG

Der vorliegende Beitrag soll sich dem „modernen“ Thema des „Hate Speech“, genauer gesagt der Strafbarkeit der „Hassrede“ widmen, welches in jüngster Zeit einige Bedeutung erlangt hat und auch noch weitere Bedeutung erlangen wird¹. Auslöser und

¹ Hierzu *Ceffinato, T.* (2020). Hate Speech zwischen Ehrverletzungsdelikten und Meinungsfreiheit, Juristische Schulung (JuS), 495; *Reinbacher, T.* Die „Weiterverbreitung“ von

Antrieb ist das Internet, über welches Hassnachrichten in vorher nicht gekanntem Ausmaß verbreitet werden können, sowohl hinsichtlich einzelner Personen (wobei hierunter auch einzelne Politiker fallen können) als auch gegenüber Personengruppen (aus jüngster Vergangenheit ist hier in Bezug auf Deutschland insbesondere die antisemitische Hetze zu nennen).

Nach einer kurzen Beschreibung, welche Phänomene sich unter dem Begriff der Hasskriminalität verbergen und wie der Begriff selbst umschrieben werden kann, soll dargestellt werden, welche Reaktionsmöglichkeiten das deutsche Strafrecht auf die Verbreitung solcher Hassreden besitzt. In einem kurzen Abschnitt wird darüber hinaus aber auch auf zivilrechtliche Reaktionsmöglichkeiten eingegangen. Im Anschluss soll dann auf die speziellen Probleme im Zusammenhang mit der Täterschaft und Teilnahme eingegangen werden, die sich insbesondere dann stellen, wenn jemand fremde Hasskommentare im Internet weiterverbreitet oder „liked“.

Nicht Gegenstand des vorliegenden Beitrags sind dagegen die Möglichkeiten, gegen die Internetmediäre, das heißt gegen die Betreiber der sozialen Netzwerke an sich vorzugehen². Hier gibt es im deutschen und europäischen Recht inzwischen vielfältige Möglichkeiten, die großen Plattformen zu verpflichten, bestimmte Beiträge, die von ihrem Inhalt her gegen Strafnormen verstoßen, zu löschen bzw. zu verhindern, dass diese überhaupt veröffentlicht werden. In Bezug auf Deutschland sind als einschlägigen Rechtsvorschriften unter anderem der Medienstaatsvertrag (MStV) in der Fassung des Fünften Staatsvertrags zur Änderung medienrechtlicher Staatsverträge (Fünfter Medienänderungsstaatsvertrag), in Kraft getreten am 1. Oktober 2024 und das

Hate Speech in sozialen Medien – Fragen der Beteiligung an einer gemäß § 185 StGB strafbaren Beleidigung, Juristenzeitung (JZ). 2020, 558.

² Hierzu Galetzka, Chr., Kretschmer, M. (2016). Rassismus und Terrorismus im Netz. Strafrechtliche Verantwortlichkeit der Betreiber von sozialen Netzwerken, Zeitschrift für IT-Recht und Recht der Digitalisierung (MMR), 518; Handel, T. (2017). Hate Speech – Gilt deutsches Strafrecht gegenüber ausländischen Anbietern sozialer Netzwerke?, Zeitschrift für IT-Recht und Recht der Digitalisierung (MMR), 227; Volkmann, V. (2018). Hate Speech durch Social Bots. Strafrechtliche Zurechnung von Volksverhetzungen gem. § 130 Absatz 1 StGB, Zeitschrift für IT-Recht und Recht der Digitalisierung (MMR), 58; vgl. auch Zieschang, F. (2020). Zur strafrechtlichen Verantwortlichkeit eines Host-Providers für rechtswidrige Inhalte, Goldammer's Archiv für Strafrecht (GA), 57.

Digitale Dienste Gesetz³ zu nennen. Aus europäischer Sicht ist insbesondere auf das Gesetz über digitale Dienste (Digital Services Act) vom 16.11.2022⁴ hinzuweisen.

II. BEGRIFFSBESTIMMUNG: HATE SPEECH

- Kommentierung des Kriegswaffenkontrollgesetzes im Münchener Kommentar für Strafrecht, 1. Aufl. Band 5, Nebenstrafrecht (2007), 2. Aufl. Band 8, Nebenstrafrecht (2013), 3. Aufl. Band 8 Nebenstrafrecht (2018), 4. Aufl. Band 9, Nebenstrafrecht (2022).
- Kommentierung des Sprengstoffgesetzes im Münchener Kommentar für Strafrecht, 1. Aufl. Band 5, Nebenstrafrecht (2007), 2. Aufl. Band 8, Nebenstrafrecht (2013), 3. Aufl. Band 8 Nebenstrafrecht (2018), 4. Aufl. Band 9, Nebenstrafrecht (2022).
- Kommentierung des Vereinsgesetzes im Münchener Kommentar für Strafrecht, 1. Aufl. Band 5, Nebenstrafrecht (2007), 2. Aufl. Band 6, Nebenstrafrecht (2013), 3. Aufl. Band 6 (2018), 4. Aufl. Band 7, Nebenstrafrecht (2022).
- Kommentierung des Urheberrechtsgesetzes im Münchener Kommentar für Strafrecht, 1. Aufl. Band 6, Nebenstrafrecht (2010), 2. Auflage Band 7, Nebenstrafrecht (2015), 3. Aufl. Band 7 Nebenstrafrecht (2019).
- Kommentierung der §§ 1, 2, 3, 51-59 des Waffengesetzes sowie des Kriegswaffenkontrollgesetzes in: Steindorf/Heinrich/Papsthart, Waffenrecht, 9.

Aufl. (2010), 10. Aufl. 2015 (Titel von nun an nur noch „Steindorf“); 11. Aufl. 2022.

Kommentierung der §§ 48-71 der Strafprozessordnung in: Nomos Kommentar zur Strafprozessordnung (erscheint demnächst).

BEITRÄGE IN SAMMELBÄNDEN

Beitrag Medienstrafrecht, in: Wandtke, Medienrecht. Praxishandbuch, 1. Auflage (2008), 2. Auflage 2011 (Band 5), 3. Auflage. (2014). (Band 4).

Beitrag „Kriegswaffenrecht“, in: Momsen/Grützner, Wirtschaftsstrafrecht – Handbuch für die Unternehmens- und Anwaltspraxis, 1. Aufl. 2013, 2. Aufl. (2020).

Beitrag „Pressestrafrecht“, in: Rotsch, Handbuch Criminal Compliance, 1. Aufl. (2014).

Beitrag „Erpressung und räuberische Erpressung“, in: Hilgendorf/Kudlich/ Valerius, Handbuch des Strafrechts, Band 5, 1. Aufl. (2020), § 32.

Beitrag „Amtsträgerbegriff“, in: Hilgendorf/Kudlich/Valerius, Handbuch des Strafrechts, Band 5, 1. Aufl. (2020), § 49.

Beitrag „Sonstige Amtsdelikte“, in: Hilgendorf/Kudlich/Valerius, Handbuch des Strafrechts, Band 5, 1. Aufl. (2020), § 51.

Beitrag „Schutz des geistigen Eigentums“, in: Hilgendorf/Kudlich/Valerius, Handbuch des Strafrechts, Band 6, 1. Aufl. (2022), § 51.

Sponsoring durch Wirtschaftsunternehmen – (strafrechtliche) Zulässigkeit und Grenzen, in: Rotsch, Criminal Compliance – Status quo und Status futurus, (2021), S. 111 (zusammen mit Udo E. Stauß).

Waffen- und Sprengstoffrecht, in: Dietrich/Fahrner/Gazeas/von Heintschel-Heinegg, Handbuch Sicherheits- und Staatsschutzrecht, (2022).

Die Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts zum Strafrecht, in: Robert Chr. van Ooyten, M., Möllers, H.W. Handbuch Bundesverfassungsgericht im politischen System, 3. Aufl. (2025). (erscheint demnächst).

AUFSÄTZE IN ZEITSCHRIFTEN (ALLEINAUTOR)

Die Entgegennahme von raubkopierter Software als Hehlerei?, JZ. (1994).

Die strafbare Beteiligung des Angeklagten an falschen Zeugenaussagen, JuS. (1995).

Die gerichtliche Nachprüfbarkeit von Entscheidungen der Staatsanwaltschaft im Zusammenhang mit der Anklageerhebung, NSTZ. (1996).

Die Nachteile im Rahmen von Strafverfolgungsmaßnahmen, NSTZ. (1996).

Die Arbeitsleistung als betrugsrelevanter Vermögensbestandteil, GA. (1997).

- Der Umfang der Ausübung des Hausrechts in einer Wohnung bei mehreren Berechtigten im Rahmen des § 123 StGB, JR. (1997).
- Mißbrauch gescannter Unterschriften als Urkundenfälschung, CR. (1997), 622.
- Zur Notwendigkeit der Einschränkung des Tatbestands der Geiselnahme, NStZ. (1997).
- Bismarcks Zorn – Inhalt und Bedeutung eines vergessenen Tatbestandes, ZStW 110. (1998).
- Die Abgrenzung von untauglichem, grob unverständlichem und abergläubischem Versuch, JURA. (1998).
- Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelikt, GA. (1999), 72.
- Rügepflichten in der Hauptverhandlung und Disponibilität strafverfahrensrechtlicher Vorschriften. Dargestellt anhand der Geltendmachung von Beweisverwertungsverböten, ZStW 112. (2000).
- Rechtsstaatliche Mindestgarantien im Strafverfahren, JURA. (2003).
- Grundzüge und aktuelle Probleme des deutschen Ausländerstrafrechts, ZAR 2003.
- Rechtsprechungsüberblick zu den Bestechungsdelikten, §§ 331-335 StGB (1998-2003), Teil 1, NStZ. (2005).
- Rechtsprechungsüberblick zu den Bestechungsdelikten, §§ 331-335 StGB (1998-2003), Teil 2, NStZ. (2005), 256.
- Verwaltungsakzessorietät des Ausländerstrafrechts und Schleuserkriminalität, ZAR. (2005), 309.
- Aktuelle Probleme des Internetstrafrechts, Humboldt-Forum Recht (HFR) Heft 11/2006 (Internet-Zeitschrift, abrufbar unter: www.humboldt-forum-recht.de).
- Die Grenzen des Strafrechts bei der Gefahrprävention – Brauchen oder haben wir ein "Feindstrafrecht"?, ZStW 121 (2009), 91.
- Zu lange unterwegs – Zur Strafbarkeit wegen verspäteter Rückgabe eines fremden Kraftfahrzeugs (§§ 248b, 242, 246 StGB), Ad Legendum (Ausbildungszeitschrift aus Münsters Juridicum). (2010), 172.
- Der Verstoß gegen ein vereinsrechtliches Betätigungsverbot durch öffentliche Erklärung der eigenen Mitgliedschaft, NStZ. (2010), 429.
- Die strafrechtliche Verantwortlichkeit von Pressemitarbeitern bei der unbefugten Herstellung und Verbreitung fotografischer Darstellungen von Personen, ZIS. (2011), 416.
- Die zusammengesetzte Urkunde, JA. (2011), 423.
- Entstehungsgründe und dogmatische Einordnung der Entschuldigungsgründe, Ad Legendum (Ausbildungszeitschrift aus Münsters Juridicum). (2015), 176.

Zur Notwendigkeit der Unterscheidung von Amtsträgern und Mandatsträgern bei der Gestaltung der strafrechtlichen Korruptionstatbestände, in: Rotsch (Hrsg.). Zehn Jahre ZIS – Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, (2018 = ZIS 2016).

Die Entwicklung des Begriffs des Amtsträgers, wistra (2016).

Zum heutigen Zustand der Kriminalpolitik in Deutschland, KriPoZ. (2017), 4.

Die Zivilrechtsakzessorietät des Urheberstrafts und ihre Ausnahmen, GRUR-Prax. (2017).

Über die Entbehrlichkeit der Tatbestände der §§ 103, 353a StGB, ZStW 129 (2017).

Zu den Anforderungen an eine strafbare Beihilfe zu Massentötungen durch KZ-Aufseher, JURA. (2017).

Die Strafbarkeit der unterlassenen Hilfeleistung, Ad Legendum (Ausbildungszeitschrift aus Münsters Juridicum). (2018).

AUFSÄTZE IN ZEITSCHRIFTEN (MITAUTOR)

Die Strafbarkeit der Ausstrahlung jugendgefährdender Fernsehsendungen, NJW 1996, 491 = JMS-Report Heft 3/1997, (zusammen mit Herrn Daniel Beisel).

Die Strafbarkeit der Ausstrahlung pornographischer Sendungen in codierter Form durch das Fernsehen, JR 1996, (zusammen mit Herrn Daniel Beisel).

Die Zulässigkeit der Indizierung von Internet-Angeboten und ihre strafrechtliche Bedeutung, CR. (1997), (zusammen mit Herrn Daniel Beisel).

Objektiver Zurechnung und „spezifischer Gefährdungsbezug“ bei den erfolgsqualifizierten Delikten, JURA. (2005), (zusammen mit Herrn Tobias Reinbacher).

Die Strafbarkeit des Strafverteidigers wegen Geldwäsche durch Annahme des Honorars nach südafrikanischem und deutschem Recht, ZStW 126 (2014), (zusammen mit Prof. Dr. Lovell Fernandez, Kapstadt/Südafrika).

Perfection on the trends in Juvenile Justice Systems. On the basis of comparison of German, Georgian and U.S. juvenile law, ZIS. (2014), (zusammen mit Prof. Dr. Irine Kherkheulidze, Tbilisi/Georgien).

Die action libera in causa, Ad Legendum (Ausbildungszeitschrift aus Münsters Juridicum). (2016), 146 (zusammen mit Philipp Wissmann).

Die Verständigung im Strafprozess – Ein Grundlagenbeitrag zur Zulässigkeit von Absprachen im Strafprozess, IurRatio (2017), (zusammen mit Tamara Rapo).

Die Verwirklichungsstufen einer Straftat im deutschen und georgischen Strafrecht, (Teil I), Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift (DGStZ; zweisprachige

- Onlinezeitschrift, abrufbar unter <http://www.dgstz.de>), (2017), 49 (zusammen mit Ketewan Mtschedlishwili-Hädrich).
- Die Verwirklichungsstufen einer Straftat im deutschen und georgischen Strafrecht, (Teil II), Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift (DGStZ; zweisprachige Onlinezeitschrift, abrufbar unter <http://www.dgstz.de>), (2018), 1 (zusammen mit Ketewan Mtschedlishwili-Hädrich).
- Grundzüge des deutschen Betäubungsmittelstrafrechts und seine Entkriminalisierungstendenzen, JA (2019), 321 (zusammen mit Nicolas van Bergen).
- Der Nötigungsnotstand im Spannungsfeld zwischen Rechtswidrigkeit und Schuld, Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift (DGStZ; zweisprachige Onlinezeitschrift, abrufbar unter <http://www.dgstz.de>), (2023).
- Unrecht und Schuld im deutschen Strafrecht, Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift (DGStZ; zweisprachige Onlinezeitschrift, abrufbar unter <http://www.dgstz.de>), (2024).
- Aktuelle Probleme aus dem Bereich des Waffen- und Kriegswaffenrechts (erscheint demnächst in der Zeitschrift für das gesamte Sicherheitsrecht).

BEITRÄGE IN TAGUNGSBÄNDEN

- Irrtumskonstellationen im Urheberstrafrecht, in: *Bosch., Bung., Klippel.*, (2011). (Hrsg.), Geistiges Eigentum und Strafrecht.
- Die Grenzen des Strafrechts bei der Gefahrprävention – Diskussion um ein neues Feindstrafrecht, (2016). in: Ünver (Hrsg.), Rechtsbrücke/Hukuk Köprüsü Nr. 11, Forschungszentrum für Deutsches Recht, Özyeğin Universität.
- Die Strafbarkeit des Journalisten im Rahmen des investigativen Journalismus, in: *Hilgendorf, Ünver.* (Hrsg.), (2010). Das Strafrecht im deutsch-türkischen Rechtsvergleich. Beiträge zu Rechtsvergleichung, Band III, Istanbul.
- Sicherungsmaßnahmen im deutschen Strafrecht, in: Hilgendorf/Ünver (Hrsg.), Das Strafrecht im deutsch-türkischen Rechtsvergleich. Beiträge zu Rechtsvergleichung, Band IV (erscheint demnächst).
- Verabredung und Aufforderung zur Begehung von Straftaten über das Internet – Brauchen wir einen europäischen Rahmen zur Bekämpfung von Vorfeldkriminalität, in: *Hilgendorf, Ünver.* (Hrsg.), Das Strafrecht im deutsch-türkischen Rechtsvergleich. Beiträge zur Rechtsvergleichung, Band V (erscheint demnächst).
- Strafrechtliche Probleme im Zusammenhang mit dem Verbot des Führens von Anscheinswaffen und bestimmten tragbaren Gegenständen, § 42a WaffG, in:

- Gade, Stoppa*, Waffenrecht im Wandel. Sorgfalts- und Erlaubnispflichten – verbote – Straf- und Verwaltungsprozess, (2015).
- Einführung in das Betrugsstrafrecht, in: Jishkariani/Waßmer, Die Europäisierung des georgischen Wirtschaftsstrafrechts, Tbilisi (2017).
- Grundzüge des deutschen Betäubungsmittelstrafrechts, in: Comparative Analysis of Drug-trafficking. Trends and the Issues of Legislative Improvement in the Sphere of Drug-related Crimes, Tbilisi (2018).
- Zivilrechtsakzessorietät des Urheberstrafrechts de lege lata und de lege ferenda, in: Urheberrecht im Wandel der Zeit, Symposium aus Anlass des 70. Geburtstags von Norbert P. Flechsig, (2018).
- Mögliche Strafbarkeitsrisiken beim autonomen Fahren (in deutscher und türkischer Sprache), in: Rechtsbrücke/Hukuk Köprüsü Nr. 16, Forschungszentrum für Deutsches Recht, Özyeğin Universität, (2019).
- Historical development of leniency programs in Germany, in: Eisele (Hrsg.), Past and Future, transitional Justice versus traditional Criminal Justice? Way of Dealing with Past Conflicts and Past Autocracies, (2020).
- Die strafrechtliche Relevanz sachfremder Erwägungen für die Triage-Entscheidung, in: Hilgendorf/Hoven/Rostalski, Triage in der (Strafrechts) Wissenschaft, (2021).
- Überblick über die strafrechtlichen Sanktionen, in: Strafrechtliche Sanktionen und Strafzumessung, Tbilisi (2021).
- Besonders schwere Fälle und minder schwere Fälle als Strafzumessungsregeln, in: Strafrechtliche Sanktionen und Strafzumessung, Tbilisi (2021).
- Überblick über das deutsche Kriegswaffenrecht, in: Rechtsbrücke/Hukuk Köprüsü Nr. 16, Forschungszentrum für Deutsches Recht, Özyeğin Universität, Nr. 22, (2022).
- Die strafrechtliche Behandlung der „Triage“ im deutschen Recht, in: Rechtsbrücke/Hukuk Köprüsü Nr. 16, Forschungszentrum für Deutsches Recht, Özyeğin Universität, Nr. 23, (2022).

AUFSÄTZE IN FESTSCHRIFTEN (ALLEINAUTOR)

- Die Problematik der Modifikation von Vorschriften des Strafgesetzbuches durch Nebengesetze. Dargestellt am Beispiel des Gesetzes zur Bekämpfung internationaler Bestechung (IntBestG) sowie des EU-Bestechungsgesetzes, jeweils vom 10. September 1998, Gedächtnisschrift für Rolf Keller, (2002).
- Handlung und Erfolg bei Distanzdelikten, Festschrift für Ulrich Weber zum 70. Geburtstag, 2004.

- Künftige Entwicklungen des Medienstrafrechts im Bereich des investigativen Journalismus oder: Dürfen Journalisten mehr?, in: Festschrift zum 200-jährigen Bestehen der Juristischen Fakultät der Humboldt-Universität, (2010).
- Das vorsätzliche „Dazwischentreten“ des Täters in seine eigene Tat, Festschrift für Klaus Geppert, (2011).
- Der Irrtum über normative Tatbestandsmerkmale, Festschrift für Claus Roxin zum 80. Geburtstag, Band 1. (2011).
- Die Veranlassung fremder Straftaten über das Medium des Internet, Festschrift für Wolfgang Heinz zum 70. Geburtstag, (2012).
- Aufnahme der Strafvorschriften des Urheberstrafrechts ins StGB?, Festschrift für Artur-Axel Wandtke zum 70. Geburtstag (2013).
- Verwirklichungsstufen der Straftat, in: Strafrechtswissenschaft in einem zusammenwachsenden Europa, Festschrift der deutsch-georgischen Strafrechtslehrertagung in Tbilisi 2011, (2013).
- Durchsuchung und Beschlagnahme in Presseunternehmen, Festschrift für Feridun Yenisey, (2014).
- Diebstahl oder (Computer-)Betrug an Selbstbedienungskassen, Festschrift für Werner Beulke zum 70. Geburtstag, (2015).
- Ulrich Weber und das Urheberstrafrecht, In memoriam Ulrich Weber, (2016).
- Handlung und Erfolg bei Distanzdelikten, Festschrift für Guram Nachkebia zum 75. Geburtstag, Tbilisi (2016).
- Europäische Einflüsse auf das deutsche Korruptionsstrafrecht, Festschrift für August Nacke zum 70. Geburtstag am 19. Juni 2016, Plovdiv (2016).
- Die Reichweite des Zeugnisverweigerungsrechts von Pressemitarbeitern in Fällen der Aufdeckung der Identität des Informanten, Festschrift für Rudolf Rengier zum 70. Geburtstag, (2018).
- Die Strafbarkeit der Teilnahme am Suizid – eine rechtshistorische Analyse, in: Gedächtnisschrift für Herbert Tröndle, (2019).
- Korruptionsstrafbarkeit und politische Eliten – Wo liegt die Grenze zwischen strafbarer Korruption und strafloser Vetternwirtschaft?, in: Festschrift für Ketewan Mtschedlishwili-Hädrich zum 60. Geburtstag, (2021).
- Der „Fall Daschner“ im Spannungsfeld von Strafrecht und Polizeirecht, in: Lemke/van Ooyen, Grundrechte – Menschenrechte – Polizei, Festschrift für Martin H. W. Möllers, (2022).

Die Auswirkungen der Straffreistellung des Art. 31 der Genfer Flüchtlingskonvention auf die Schleuserstrafbarkeit, in: Jeßberger/Vormbaum/ Burghardt, Strafrecht und Systemunrecht, Festschrift für Gerhard Werle zum 70. Geburtstag, (2022).

Politisch motivierte Tötungen, in: Festschrift für Wolfgang Mitsch (erscheint demnächst).

ÜBUNGSKLAUSUREN UND HAUSARBEITEN

Übungsklausur Strafrecht (für Fortgeschrittene): Einkaufsfreuden, JURA 1997.

Übungsklausur Strafrecht (für Fortgeschrittene): Der neue Radiowecker, JURA (1999).

Hausarbeit Strafrecht (für Anfänger): Venezianisches Finale, JA 2007. (zusammen mit Herrn Tobias Reinbacher).

Hausarbeit Strafrecht (für Fortgeschrittene): Mensch oder Maschine, StudZR 2015, 214 (zusammen mit Frau Priska Veith).

Hausarbeit Strafrecht (für Fortgeschrittene): Unkonventionelle Einkäufe im Supermarkt „Preisbrecher“, StudZR 2017, 87 (zusammen mit Frau Giulia Dobrita).

Nachlässiger Surfer und reinlicher Camper, Ad Legendum (2020).

ANMERKUNGEN

Anmerkung zum Urteil des Kammergerichts vom 16. März 1999, NStZ 2000.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 31. Mai 2001, JR 2002.

Anmerkung zum Beschluss des BGH vom 5. März 2002, NStZ 2003.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 3. September 2002, JR 2003.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 19. Februar 2003, NStZ 2004.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 27. November 2009, JZ 2010.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 27. November 2009, famos 4/2010.

Anmerkung zum Beschluss des BGH vom 10. Juni 2015, JZ 2016.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 10. Juni 2015, DGStZ (Deutsch-georgische Strafrechtszeitschrift) 2016.

Anmerkung zum Beschluss des BGH vom 10. März 2016, JR 2017.

Anmerkung zum Beschluss des BGH vom 2. Mai 2019, NStZ 2019.

Anmerkung zum Beschluss des BGH vom 10. Dezember 2019, NStZ 2020.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 24. Juni 2020, NStZ-RR 2021.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 12. Mai 2021, NStZ 2021.

Anmerkung zum Urteil des BGH vom 24. Februar 2022, Abwägung zwischen. Persönlichkeitsrecht und Kunstfreiheit bei einer „Tribute-Show“, GRUR Prax 2022.

Anmerkung zum Beschluss des BGH vom 18. November 2021, Erforderlichkeit der Notwehr und Heimtücke bei Tötung eines arglosen Angreifers, ZfL 2022.

BUCHBESPRECHUNGEN, BERICHTE, SONSTIGES

Besprechung von Andreas Hoyer, Die strafrechtliche Verantwortlichkeit innerhalb von Weisungsverhältnissen, JZ 1999.

Tagungsbericht, Strafrechtslehrtagung Halle/Saale 1999, JZ 1999.

Glosse: Zitierweisen im Dschungel des Namensrechts, JZ 2001.

Besprechung von Ulrich Hildebrand, Die Strafvorschriften des Urheberrechts, UFITA 2002.

Besprechung von Klaus Malek, Straftaten im Internet, UFITA 2006/II.

Besprechung von Christa Pfister, Hacking in der Schweiz, UFITA 2009/III.

Besprechung von Christian Laustetter, Grenzen des Glücksspielstrafrechts, UFITA 2012/III.

Stellungnahme „Neuregelung der Abgeordnetenbestechung“, Protokoll der 96. Sitzung des Rechtsausschusses des Deutschen Bundestages, 17. Wahlperiode (2012).

Besprechung von Joachim Kretschmer, Ausländerstrafrecht, GA 2014.

Besprechung von Schäufele, Maximilian, Zur Strafbarkeit des Raubkopierens im Internet, UFITA 2014/II.

Besprechung von Herzog, Annelies: Öffentlichkeits- und Medienarbeit des Strafverteidigers (Litigation-PR), UFITA 2015/I.

Besprechung von Albach, Gregor: Zur Verhältnismäßigkeit der Strafbarkeit privater Urheberrechtsverletzungen im Internet, UFITA 2016/II.

Besprechung vom Pierre Hauck: Heimliche Strafverfolgung und Schutz der Privatheit, ZStW 129 (2017).

Besprechung von Bernhard Böxler: Markenstrafrecht. Geschichte – Akzessorietät – Legitimation – Perspektiven, GA 2017.

Geleitwort: Ist das Recht oder kann das weg?, StudZR 2018, Heft 1.

Besprechung von Hoven, Elisa: Auslandsbestechung. Eine rechtsdogmatische und rechtstatsächliche Untersuchung, ZStW 131 (2019).

Besprechung von Elena Quist: Der Schutz von Persönlichkeitsrechten im Strafrecht des geistigen Eigentums, GA 2021.

Besprechung von Anette Schwab: Die Beendigung der Bestechungsdelikte, GA 2021.

Selbstverteidigung gegen Schmerzgriffe (Notwehrbefugnisse bei rechtswidrigen Polizeieinsätzen), Verfassungsblog vom 2. Juli 2024.

Besprechung von He Liu: Rekonstruktion des Verbotsirrtums: Die einheitlich Irrtumslehre. Studien zum Strafrecht, GA 2024, Heft 8).

Besprechung von Artur-Axel Wandtke und Saskia Ostendorff: Urheberrecht, 9. Aufl. 2023 (erscheint demnächst in der Zeitschrift für Urheber- und Medienrecht).

FREMDSPRACHIGE AUFSÄTZE IN AUSLÄNDISCHEN FACHZEITSCHRIFTEN/SAMMELBÄNDEN

Grundzüge und aktuelle Probleme des deutschen Ausländerstrafrechts (in koreanischer Sprache), in: Deutsch-Koreanische Tagung 2003, Schriften der Hanyang-Universität Seoul, Korea, 2003.

Tehlikeliğin Önlenmesinde Ceza Hukukunun Sinirleri, in: Hilgendorf/Ünver: Alman-Türk Karsilastirmali Ceza Hukuku, Cilt II (erscheint demnächst).

The Criminal Responsibility of Editors and Newspaper Publishers for the Creation and Distribution of Photographs. in: Systemas – Revista de Ciências Jurídicas e Econômicas, Vol. 1, Nr. 2 (2009), S. 8 (Brasilianische Internet-Zeitschrift, abrufbar unter: www.revistasystemas.com.br).

Arastirmaci Gazetecilik Alaninda Gazetecinin Cezalandirilabilirliđi – veya Gazeteciler Daha Fazlasini Yapaya Izinli Midirler?, in: Hilgendorf/Ünver: Alman-Türk Karsilastirmali Ceza Hukuku, Cilt III, Istanbul 2010.

Europäische Einflüsse auf das deutsche Korruptionsstrafrecht (in: georgischer Sprache), in: Turava, European Criminal Law, Tbilisi 2010.

Rasgos fundamentales y problemas actuales del derecho penal de extranjería en Alemania, in: López Aguilar/Rodríguez-Drincourt (Hrsg.) Perspectivas y fronteras de los derechos de los extranjeros, 2011.

Aktuelle Probleme des Internetstrafrechts (in deutscher und chinesischer Sprache), in: Taipei University Law Review, Band 91, September 2014.

Alman Ceza Hukukunda Terör ile Mücadelenin Yolları, in: Nuhođlu/Sieber/Tellenbach, Alman ve Türk Ceza Hukukunun Güncel Sorunları – Aktuelle Probleme im deutschen und türkischen Strafrecht, Series of the Max-Planck-Institute for Foreign and International Criminal Law and Bahçeşehir University Joint Research Group, Volume T3, Ankara 2016.

Der Erfolgsort beim abstrakten Gefährdungsdelik (in georgischer Sprache), Festschrift für Otar Gamkrelidze zum 80. Geburtstag, Tbilisi 2016.

- Das vorsätzliche Dazwischentreten des Täters in seine eigene Tat – ein Problem der objektiven Zurechnung (in chinesischer Sprache), in: The Taiwan Law Review, November 2016, Nr. 258.
- Die staatlich veranlasste unzulässige Tatprovokation in der Rechtsprechung des Bundesgerichtshofes, des Bundesverfassungsgerichtes und des Europäischen Gerichtshofes für Menschenrechte (in chinesischer Sprache), in: The Taiwan Law Review, Dezember 2016, Nr. 259.
- Die Strafbarkeit der Korruption unter dem Blickwinkel des Rechtsstaatsprinzips – Eine deutsche Perspektive (in chinesischer Sprache), in: The Taiwan Law Review, Januar 2017, Nr. 260.
- Political Decision-Making and the Phenomenon of Elite Corruption, in: Zimmermann: Criminal Liability of Political Decisions-Makers, 2017.
- Punibilità per corruzione ed Élite Política, Diritto Penale Contemporaneo 2018.
- Die Falllösungstechnik in der juristischen Ausbildung in Deutschland (in deutscher und türkischer Sprache), in: Rechtsbrücke/Hukuk Köprüsü Nr. 17, Forschungszentrum für Deutsches Recht, Özyeğin Universität, 2019.
- Zum heutigen Zustand der Kriminalpolitik in Deutschland (in ukrainischer Sprache), in: The Bulletin of The Criminological Association of Ukraine, Nr. 2 (23) 2020. ff. Originaltitel: Гайнріх Б., До питання сучасного стану кримінально-правової політики у Федеративній Республіці Німеччині. Вісник Кримінологічної асоціації України: зб. наук. праць. № 2 (23). 2020.
- Der Europarat, die Europäische Menschenrechtskonvention und der Europäische Gerichtshof für Menschenrechte (in georgischer Sprache), in: Tumanishvili/Jishkariani/Schramm, Das georgische Strafverfahrensrecht unter dem Einfluss des europäischen und internationalen Rechts, Tbilisi. 2019.
- Europäische Vorgaben für grenzüberschreitende Korruptionsbekämpfung (in georgischer Sprache), in: Tumanishvili/Jishkariani/Schramm, Das georgische Strafverfahrensrecht unter dem Einfluss des europäischen und internationalen Rechts, Tbilisi. 2019.
- Аксіологія кримінальної правотворчості та національна безпека: національні інтереси у ціннісно-нормативній системі кримінального закону (Axiologie des Strafrechts und der nationalen Sicherheit: Nationale Interessen im wertnormativen System des Strafrechts), in: Кримінально-правова правотворчість: визначення та значення (Strafrechtliche Gesetzgebung: Definition und Bedeutung), Odessa. 2021.

The Issue of “Triage” in German Criminal Law in: Завдання кримінального права в умовах надзвичайного стану : матеріали Міжнародної науково-практичної конференції, Odessa. 2022.

Hate Speech in sozialen Medien – Täterschaft und Teilnahme bei strafbaren Beleidigungen im Internet (erscheint demnächst in georgischer und deutscher Sprache in der Zeitschrift des georgischen Justizministeriums).

MITHERAUSGEBER

Festschrift für Ulrich Weber zum 70. Geburtstag, 2004.

Strafrechtswissenschaft in einem zusammenwachsenden Europa, Festschrift der deutsch-georgischen Strafrechtslehrertagung in Tbilisi 2011, 2013.

Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift (DGStZ), zweisprachige Onlinezeitschrift, abrufbar unter <http://www.dgstz.de>.

Kriminalpolitische Zeitschrift (KriPoz), Onlinezeitschrift, abrufbar unter <http://kripoz.de/>.

სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში – ამსრულებლობა და თანამონაწილეობა ინტერნეტში განხორციელებული დასჯადი შეურაცხყოფის დროს

ბერნდ ჰაინრიხი

ტიუბინგენის უნივერსიტეტი, გერმანია,
heinrich@jura.uni-tuebingen.de

რეზიუმე. ეს სტატია ეხება სიძულვილის ენის ფენომენს (*Hate Speech*). თავდაპირველად იგი ცდილობს აღწეროს ფენომენი და განსაზღვროს, თუ რას ნიშნავს „სიძულვილის ენა“. შემდეგ ნაწილში ჩამოთვლილია გერმანული სისხლის სამართლის დებულებები, რომელთა მიხედვითაც სიძულვილის ენის გამომყენებელი პირები შეიძლება დაექვემდებარონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ვინაიდან სიძულვილის ენა უმეტესად ინტერნეტში და ხშირად სოციალურ ქსელებშიც გვხვდება, ბოლო ნაწილში განხილულია, ჩადის თუ არა სისხლის სამართლის დანაშაულს ის პირი, რომელიც „აზიარებს“ (კომენტარით ან კომენტარის გარეშე) ან გაავრცელებს სხვების მიერ დაწერილ სიძულვილის შემცველ კომენტარებს. კერძოდ, განიხილება დახმარების დასჯადობის შესაძლებლობა, სადაც პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაული, რომელიც კრძალავს გამოხატვის კონკრეტულ შინაარსს, როგორც წესი, უკვე დამთავრებულია ტექსტის ონლაინ განთავსებისას და დანაშაულის დამთავრების შემდეგ სუქცესიური დახმარების შესაძლებლობა ძალიან საკამათოა.

საკვანძო სიტყვები: სიძულვილის ენა, შეურაცხყოფა, სუქცესიური დახმარება

ციფრული მმართველობის სამართლებრივ-ტექნოლოგიური ასპექტები (ესტონეთის მაგალითი)*

გიორგი ხატიძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტი
george.khatidze@ciu.edu.ge

ზვიალ ბაბისონია

სამართლის დოქტორი, პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
zgabisonia@gmail.com

ნინო ჯოლია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტი, დოქტორნატი
nino.jolia@ciu.edu.ge

რეზიუმე. ნაშრომში განხილულია ციფრული მმართველობის დანერგვის და განვითარების სამართლებრივი საშუალებები და ტექნოლოგიური მექანიზმები ესტონეთის გამოცდილების მაგალითზე, ასევე ციფრული მმართველობის არსი, საერთაშორისო ინსტრუმენტები და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და საქმიანობა ციფრული მმართველობის მიმართულებით. რეალური და სრულყოფილი ციფრული მმართველობისთვის საჭიროა არსებობდეს ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობა და ინტერაქტიულობა. მონაცემთა გაცვლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს პერსონალური მონაცემების და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე. ციფრული მმართველობის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით, ესტონეთში მოქმედებს არაერთი აქტი, თუმცა, ზოგადი პრაქტიკა ნაკლებად ითვალისწინებს სპეციალური კანონების

* ნაშრომი მომზადებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის“ გამარჯვებული პროექტის (საქართველოში ციფრული მმართველობის დანერგვის სამართლებრივ-ტექნოლოგიური გამოწვევები (ესტონეთის გამოცდილების მაგალითზე) ფარგლებში.

მიღებას და გაცილებით მეტად არის ორიენტირებული არსებულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაზე, რათა მოხდეს ციფრული სერვისების ინტეგრირება, ციფრული პირადობისა და ხელმოწერების სამართლებრივი მოწესრიგება და მონაცემების დაცვა.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მმართველობა, ტექნოლოგიები, ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობა, ინტერაქტიულობა, მონაცემთა გაცვლა, კიბერუსაფრთხოება

1. შესავალი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ტექნოლოგიების განვითარებამ მანამდე არნახულ სიმაღლეებს მიაღწია. ტექნოლოგიურმა პროგრესმა თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ჩვენი დროის, ენერგიის, ფინანსური თუ სხვა რესურსის დაზოგვით, შესაძლებელი გახდა, სწრაფად და ეფექტიანად უამრავი საქმიანობის წარმართვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ამ ყველაფერმა გაამარტივა ჩვენი ცხოვრება. ტექნოლოგიები, საზოგადოებრივი ურთიერთობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ტექნოლოგიების განვითარებამ ხელი შეუწყო მის დანერგვას სამთავრობო სექტორში, სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციების განხორციელების მიზნით, რაც ციფრული ტრანსფორმაციისკენ შეუქცევად გადასვლაზე მიუთითებს. ციფრული მმართველობის განვითარებამ საშუალება მისცა ქვეყნებს სრულად ავტომატიზებული სერვისები მიაწოდონ მოქალაქეებს.

ცხადია, ციფრული მმართველობის უზრუნველყოფას შესაბამისი ტექნოლოგიური და სამართლებრივი საშუალებები ესაჭიროება, სადაც მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია როგორც საერთაშორისო ინსტრუმენტებს, ისე ადგილობრივ კანონმდებლობას და სამართლებრივ მექანიზმებს. მრავალმა ქვეყანამ, ციფრული მმართველობის მხრივ, მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია. მათგან, ესტონეთი ერთ-ერთი ლიდერია, რომლის პრაქტიკული და სამართლებრივ-ტექნოლოგიური ასპექტების შესწავლა, საერთაშორისო გამოცდილებასთან ერთად, მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის.

2. ციფრული მმართველობის არსი

ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა ციფრული მმართველობის განვითარება. ციფრული მმართველობა ნიშნავს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას სახელმწიფო სერვისების განსახორციელებლად მოქალაქეებისთვის, საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის¹. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ციფრული მმართველობა გულისხმობს საჯარო მმართველობის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებას².

ციფრული მმართველობის მნიშვნელობისა და მისი დადებითი მახასიათებლებიდან, შეიძლება რამდენიმე ძირითადი საკითხის გამოყოფა. ციფრული მმართველობა ზრდის მოქალაქეებისთვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობას; ამცირებს ფინანსურ დანახარჯებს; ითვალისწინებს სერვისების ავომატიზაციას, რაც ასევე უზრუნველყოფს ინდივიდებისთვის მათ ადვილად ხელმისაწვდომობას; აძლიერებს დემოკრატიას მმართველობის ყველა დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფის გზით; ზრდის ხელისუფლების გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას მოქალაქეთა მიმართ; უზრუნველყოფს საჯარო და კერძო სექტორს შორის მოქნილ, მარტივ და ეფექტიან ურთიერთობას³. მკვლევართა მოსაზრებით, ციფრული მმართველობა გარდაქმნის სახელმწიფო ადმინისტრაციებს „ჭკვიან მთავრობებად“ (Smart Governments), რაც აძლიერებს სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინკლუზიურობას და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხს⁴.

ციფრულ მმართველობაში საკვანძო ადგილი უკავია მმართველობის ელემენტს. მმართველობა კი, სახელმწიფოს ფუნქციებიდან გამომდინარე, გულისხმობს ხელისუფლების მიერ სხვადასხვა უფლებამოსილების, მათ შორის, პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ეკონომიკური უფლებამოსილების განხორ-

¹ Council of Europe, E-Governance, <https://www.coe.int>.

² საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“, <https://matsne.gov.ge>.

³ Yadav, R., Rani, J. (2022). E-Governance: Concept, Strategy and its Implication, *Journal of American Science*, 18 (6), <https://www.jofamericanscience.org>. pdf. 62.

⁴ Aplene, A., Smuts, H. “An e-Government Implementation Framework: A Developing Country Case Study”, <https://www.researchgate.net>.

ციელებას საზოგადოებრივი ურთიერთობების მართვისთვის⁵. მაშასადამე, ციფრული მმართველობა წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციების განხორციელებას. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ამ ტექნოლოგიების გარეშეც განახორციელებს თავის უფლებამოსილებას. თუმცა, ციფრული მმართველობის ერთგვარი „ხიბლი“ სწორედ ის არის, რომ სახელმწიფო, გაცილებით „ეფექტიანად“, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ახდენს საკუთარი უფლებამოსილებების რეალიზებას. აქედან გამომდინარე, ციფრული მმართველობის არსში შესაძლებელია რამდენიმე ელემენტის გამოკვეთა. პირველი – ტექნოლოგიები, მეორე – მმართველობითი ფუნქციები და მესამე – დადებითი ეფექტი ინდივიდებისთვის, ასევე საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის. დადებით ეფექტში იგულისხმება მრავალი რამ, მაგალითად, ნაკლები ფინანსური დანახარჯი, ნაკლები ბიუროკრატია, მეტი გამჭვირვალობა, ნაკლები ადამიანური რესურსი, მინიმალური დრო და სხვა. ციფრული მმართველობის მიზანიც სწორედ ეს არის – სახელმწიფომ გაცილებით ეფექტიანად განახორციელოს საკუთარი მმართველობითი ფუნქციები.

ციფრული მმართველობა დღეს გაცილებით ფართო კონტექსტში უნდა დავინახოთ, ვიდრე ეს იყო მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე. დღეისთვის, ციფრული მმართველობა აქტუალურია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში მრავალი მიმართულებით და ეს ტენდენცია სულ უფრო მზარდია. მაგალითად, ციფრული მმართველობა არჩევნებში, კერძო ბიზნეს და ეკონომიკურ საქმიანობაში, საბანკო და საფინანსო სფეროში, საჯარო სამსახურში, სამართალდამცავ სფეროში, განათლებაში, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სხვა. თითოეულ სფეროში ციფრული მმართველობის განვითარება, თავის მხრივ, სხვა დადებით ეფექტებსაც იწვევს. მაგალითად, ციფრული მმართველობის დანერგვა არჩევნებსა და საარჩევნო პროცესში ხელს უწყობს დემოკრატიის მაჩვენებლების ზრდას. ასევე, ციფრული მმართველობის განვითარება საჯარო სამსახურში, განაპირობებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას.

ცხადია, ციფრული მმართველობა, მისი მიზნების, საჭიროების, შემადგენელი ელემენტების, მასშტაბების და განვითარების მაჩვენებლების გათვალისწინე-

⁵ ხატიძე, გ. (2022). საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებები, 24; ასევე, იხილეთ: United Nations Economic Commission for Europe. (2004). Governance in Public Private Partnerships for Infrastructure Development, 3-4, <https://www.unece.org.pdf>.

ბით სპეციფიკური საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოშობას განაპირობებს. საზოგადოებრივი ურთიერთობებისას ადამიანებს შორის, მათი საქმიანობის პროცესში, მყარდება შესაბამისი კავშირი⁶. ციფრული მმართველობისას, ასეთი კავშირი სპეციფიკურია, რამეთუ გამოიყენება ტექნოლოგიები. შესაბამისად, ციფრულ მმართველობას, ისე როგორც სხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებს, შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება ესაჭიროება. სამართალი ხომ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს⁷. სამართლებრივი რეგულირების საჭიროება წარმოიშობა იმიტომ, რომ ციფრული მმართველობა, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობები, თავისი შინაარსით, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს აყალიბებს და იქ, სადაც იკვეთება აღნიშნული უფლებები და მოვალეობები, შესაბამისად, დგება საკითხი სამართლებრივი რეგულირების საჭიროების შესახებ⁸.

მაშასადამე, წარმატებულ ციფრულ მმართველობას, სხვა საკითხებთან ერთად, ესაჭიროება სამართლებრივი მექანიზმები, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ და, ასევე, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიები⁹. სამართლებრივი მექანიზმები საჭიროა ციფრული მმართველობის როგორც შემუშავების, ისე დანერგვის და იმპლემენტაციის დროს¹⁰. აღსანიშნავია ისიც, რომ იმპლემენტაციის ეტაპზე, შესაძლოა, სჭირო გახდეს ახალი კანონმდებლობის მიღება ან არსებულში დამატებითი ცვლილებების შეტანა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება¹¹. გარკვეული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ციფრული მმართველობის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისას, მთავრობებმა მოახდინეს სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერების შემცირებაც, რათა მომხდარიყო მოქალაქეებსა და ბიზნესზე დაკისრებული ადმინისტრაციული ტვირთის შემსუბუქება¹².

⁶ თუმანიშვილი, გ. გ. (2010). შესავალი საქართველოს კერძო სამართალში. 22.

⁷ ხუბუა, გ. (2015). სამართლის თეორია. 57.

⁸ ხატიძე, გ. (2022). საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებები. 66-67.

⁹ Elia, J. (2023). A Study of the Impact of E-Governance on the Economy, Trends, and Perspective, Munich Personal RePEc Archive (MPRA), <https://mpra.ub.uni-muenchen.de>. pdf.

¹⁰ OECD, Background Paper: Implementing E-Government in OECD Countries: Experiences and Challenges, <https://www.oecd.org>. pdf.

¹¹ Aplene, A., Smuts, H. An e-Government Implementation Framework: A Developing Country Case Study, <https://www.researchgate.net>.

¹² OECD, Background Paper: Implementing E-Government in OECD Countries: Experiences and Challenges, <https://www.oecd.org>. pdf.

სამართლებრივი მექანიზმების შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ციფრული მმართველობის უზრუნველყოფას ესაჭიროება როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო ინსტრუმენტები. საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები ქმნის საფუძველს, საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისა და ციფრული სერვისების უზრუნველყოფისთვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით¹³.

3. ციფრული მმართველობის განვითარების საერთაშორისო ასპექტები

ციფრული მმართველობის განვითარების კონტექსტში, მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ საერთაშორისო გამოცდილებაზე. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ციფრული მმართველობის დანერგვასა და განვითარებაში, შესაბამისი სტანდარტების დანერგვასა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობაში. მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, მუდმივი ძალისხმევაა საჭირო ახალი გამოწვევების გადასაჭრელად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ციფრული მმართველობის სამართლებრივი ჩარჩო იყოს ძლიერი, ინკლუზიური და ადაპტირებადი მომავალი ტექნოლოგიური წინსვლისთვის. ციფრული მმართველობის დასანერგად, შესაძლებელია რამდენიმე მექანიზმის გამოყოფა, რომელთა შორისაა მონაცემების ერთიანი ბაზების შექმნა და პორტალების ფუნქციონირება, საინფორმაციო-ტექნოლოგიური პლატფორმები, პლატფორმების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა და ინტერნეტ ქსელის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

ერთ-ერთი ასეთი მექანიზმია „ღია მთავრობის“ კონცეფცია, რომელიც ჯერ კიდევ 2011 წელს მიიღეს 8 სახელმწიფოს პარტნიორობით. დღეის მდგომარეობით, ამ ფორმატში გაერთიანებულია 60-მდე ქვეყანა. დეკლარაციით განსაზღვრულია პარტნიორობაში ჩართვის მინიმალური კრიტერიუმები, კერძოდ, ბიუჯეტის გამჭვირვალობა, ოფიციალურ ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომა, მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო მართვის ამოცანების შესრულებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „რეკომენდაცია ციფრული მმართველობის სტრატეგიების შესახებ“, რომელიც, თავდა-

¹³ Yunyk, I. (2022). Building Legal Mechanisms for Electronic Governance Development, 40 Cuestiones Politicas 73, 172-191, <https://www.researchgate.net>.

პირველად, გამოქვეყნდა 2014 წელს, განახლდა 2019 წელს და წარმოადგენს ციფრული მმართველობის მნიშვნელოვან სამართლებრივ ჩარჩოს. აღნიშნული რეკომენდაცია ქვეყნებისთვის სახელმძღვანელო პრინციპების კრებულია, რომელიც ეხმარება მათ, შეიმუშაონ და განახორციელონ ეფექტიანი ციფრული მმართველობის სტრატეგიები, გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიების ტრანსფორმაციული ძალა მმართველობის შედეგების, ინოვაციების ხელშეწყობისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად¹⁴.

ციფრული მმართველობის განხილვისას, ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირში მოქმედი სამართლებრივი აქტები და მათი ინოვაციური მიდგომები, რომლებიც ძირითადად ეფუძნება სხვადასხვა სფეროში არსებულ გამოწვევებს ტექნოლოგიური მიმართულებით. ევროკავშირის (EU), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ერთობლივი ინიციატივა „SIGMA“-ს მიერ შემუშავებულია საჯარო მმართველობის პრინციპები, რომელიც წარმოადგენს ციფრული მმართველობის ჩარჩო დოკუმენტს. პრინციპების მიზანია კარგი საჯარო მმართველობის ფასეულობებისა და სტანდარტების რეგულირება, რომლებმაც მიმართულება უნდა მისცეს, ევროკავშირის გაფართოების კანდიდატი და სამეზობლო პარტნიორი ქვეყნების მმართველობებს, როგორც რეფორმების განხორციელების, ისე საჯარო მმართველობაში არსებული ხარვეზების გამოსწორების პროცესში¹⁵. ევროკავშირის კიდევ ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ ჩარჩოს წარმოადგენს მონაცემთა მმართველობის აქტი (The Data Governance Act (DGA)), რომელიც მიზნად ისახავს ციფრული მმართველობის გაძლიერებას, განსაკუთრებით, სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. ელექტრონული სერვისების მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს „eIDAS“-ის რეგულაცია ((EU) No. 910/2014), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირში ელექტრონული იდენტიფიკაციისა და ნდობის სერვისების ჩარჩოს ჩამოყალიბების ძირითად დოკუმენტს. 2019 წლის 20 ივნისს ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დირექტივა (EU) 2019/1024, რომელიც ფოკუსირებულია ღია მონაცემებსა და საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახლა გამოყენებაზე ევროკავშირში. დირექტივა მიზნად ისახავს ხელმისაწვდომობის გაზრდასა და საჯარო სექტორის მონაცემების ხელახალი გამოყენების წახალისებას, რითაც ხელს უწყობს ინოვაციასა და ეკონომიკურ ზრდას სხვადასხვა სექტორში. ევროკავშირის სამარ-

¹⁴ OECD Recommendation on Digital Government Strategies, <https://www.oecd.org/gov>.

¹⁵ OECD. (2023). საჯარო მმართველობის პრინციპები, OECD, პარიზი, <https://www.sigmaxweb.org>.

თლებრივი აქტებიდან მნიშვნელოვანი დოკუმენტია ხელოვნური ინტელექტის აქტი (AI Act), რომელიც ევროპარლამენტმა მიიღო 2024 წლის 13 მარტს, თუმცა მასზე მუშაობა ჯერ კიდევ 2021 წლიდან დაიწყო. ხელოვნური ინტელექტის აქტი ადგენს რეგულაციებსა და ჩარჩოებს, რომლებიც არეგულირებს ხელოვნური ინტელექტის (AI) ტექნოლოგიების განვითარებას, დანერგვას და გამოყენებას ევროკავშირში.

აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და, ზოგადად, ციფრული მმართველობის განვითარების მხრივ¹⁶. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული სამთავრობო პრაქტიკის შემუშავების, გავრცელების და ხელშეწყობის შედეგად, ციფრული მმართველობა და ციფრული მთავრობის კონცეფცია, რომელმაც, თავდაპირველად, ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებში მოიკიდა ფეხი, დღეს სულ უფრო მასშტაბური ხდება¹⁷.

საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს. მათი ხელშეწყობით ხორციელდება ციფრული მმართველობის პრაქტიკის სახელმძღვანელო პრინციპების და სტანდარტების დადგენა, მათ შორისაა თავსებადობის სტანდარტების, მონაცემთა უსაფრთხოების, პროტოკოლების და ციფრული მმართველობის საუკეთესო პრაქტიკა. საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ტექნიკურ მხარდაჭერას ქვეყნებისთვის ციფრული მმართველობის დანერგვის პროცესში, რაც ასევე მოიცავს სასწავლო და ტრენინგ პროგრამებს, სემინარებს, ცოდნის გაზიარების პლატფორმებს; ახორციელებენ განვითარებად ქვეყნებში ციფრული მმართველობის პროექტების დაფინანსებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მისი უწყებების, კერძოდ კი, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის (United Nations Department of Economic and Social Affairs) საქმიანობით, ხელს უწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მდგრადი განვითარებისა და ციფრული მმართველობისთვის¹⁸. მსოფლიო ბანკის საქმიანობა მოიცავს ქვეყნების მხარდაჭერას ინსტიტუციური შესაძლებლობების შესაქმნელად ციფრუ-

¹⁶ Ventrone, O. (2009). International Organizations, E-Government and Development, 1. <https://www.researchgate.net>.

¹⁷ იქვე.

¹⁸ United Nations Department for Economic and Social Affairs, <https://www.un.org>.

ლი მთავრობის და სერვისების დანერგვისა და განვითარებისთვის¹⁹. აღნიშნული, ასევე მოიცავს დაფინანსების უზრუნველყოფას, ტექნიკურ მხარდაჭერას და ცოდნის გაზიარების პლატფორმებს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ეხმარება მის წევრ ქვეყნებს, ეფექტიანი ციფრული მმართველობის სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებაში²⁰.

საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა საკმაოდ კომპლექსურია. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს რიგი გამოწვევებიც ციფრული მმართველობის განვითარების და იმპლემენტაციის გზაზე. აღნიშნული გამოწვევები გაცილებით ხელშესახებია განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, ე.წ. „ციფრული ფრაგმენტაცია“ (Digital Divide). განვითარებად ქვეყნებში ხშირად სახეზეა მნიშვნელოვანი განსხვავება ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. ციფრული ფრაგმენტაცია გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც მოქალაქეთა გარკვეულ რაოდენობას აქვს წვდომა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, ხოლო გარკვეულ რაოდენობას არა. აღნიშნული, ასევე გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გარკვეული ქვეყნები, რეგიონები ან/და ქალაქები იმყოფებიან დიფერენცირებულ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, სახეზეა ინტერნეტ ინფრასტრუქტურაზე წვდომის დისბალანსი²¹. ციფრული ფრაგმენტაციის, ერთგვარი „ციფრული უფსკრულის“ გადალახვა აუცილებელია ციფრული მმართველობის სერვისებზე წვდომის უზრუნველსაყოფად, რაც მოითხოვს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. აღნიშნულ ღონისძიებებში შესაძლებელია მოვიაზროთ, მათ შორის: საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული თანამშრომლობა; საკანონმდებლო ბაზისა და რეგულაციების ჰარმონიზაცია; ურთიერთდაკავშირებული და თავსებადი ციფრული სერვისების მინიმალური პაკეტის უზრუნველყოფა;

¹⁹ The World Bank, e-Government, (2015), <https://www.worldbank.org>.

²⁰ OECD Recommendation on Digital Government Strategies, <https://www.oecd.org>; ასევე, იხილეთ: OECD, Implementing E-Government in OECD Countries: Experiences and Challenges, Background Paper, <https://www.oecd.org>. pdf; ასევე, იხილეთ: OECD, Public Governance and Territorial Development Directorate, Recommendation of the Council on Digital Government Strategies, (2014), <https://www.oecd.org>. pdf.

²¹ Stoiciu, A. (2001). The Role of e-Governance in Bridging the Digital Divide, <https://www.un.org>.

მობილური კომუნიკაციის, როგორც ინფრასტრუქტურის გამოყენება ციფრული სერვისების გავრცელებისა და მისით სარგებლობისთვის²².

კიდევ ერთი გამოწვევა ციფრული მმართველობის დანერგვისას გახლავთ მონაცემების უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა (Data Security and Privacy). ამ მიმართულებით, სირთულეები შესაძლოა არსებობდეს როგორც ტექნიკური, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით. ტექნიკურ ინფრასტრუქტურასთან ერთად, აუცილებელია, ქვეყნებს გააჩნდეთ მყარი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემების დაცვას, მათ კონფიდენციალურობას, ციფრული მმართველობის სისტემების უსაფრთხოებას და მათ დაცვას კიბერ საფრთხეებისგან. რიგ მკვლევართა მოსაზრებით, მონაცემთა უსაფრთხოების სამი მიმართულება არსებობს. ესენია: კონფიდენციალურობა, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის დაცვას გამჟღავნებისა და არავტორიზებული წვდომისგან; მთლიანობა, რომელშიც იგულისხმება ინფორმაციის დაცვა არავტორიზებული მოდიფიცირებისგან; და ხელმისაწვდომობა, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მისი საჭიროებისას²³.

რამდენადაც ზემოთ ტექნიკური და სამართლებრივი მექანიზმები ვახსენეთ, აქვე დავამატებთ, რომ ამ მექანიზმების გარდა, მნიშვნელოვანია სახელმწიფოებს გააჩნდეთ ეროვნული ციფრული მმართველობის, გნებავთ ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია წარმოადგენს ერთგვარ „ჩარჩო“ გზამკვლევს გადაწყვეტილებების მიღებისას, ხელს უწყობს ეროვნული მიზნების პრიორიტეტიზებას და რესურსების მიმართვას სასურველი შედეგისკენ²⁴. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ეხმარება სხვადასხვა მხარეს ურთიერთჩართულობაში, თანამშრომლობასა და კოორდინაციაში.²⁵ რიგი ორგანიზაციები გამოყოფენ იმ მახასიათებლებს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს ასეთ სტრატეგიაში. აღნიშნულ მახასიათებლთა შორისაა, თანმიმდევრულობა (უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისობა შიდა და საერთაშორისო პოლიტიკასთან და ძირითად სტრატეგიასთან); ყოვლისმომცველობა

²² იქვე.

²³ Singh, Sh. (2011). E-Governance: Information Security Issues, International Conference on Computer Science and Information Technology, 120. <https://www.researchgate.net>.

²⁴ National Digital Transformation Strategy – Mapping the Digital Journey. (2023). <https://digitalregulation.org>.

²⁵ იქვე.

(ითვალისწინებს მრავალ სექტორს); ინკლუზიურობა, ადამიანზე ორიენტირებულობა (ავსებს ყველა ხარვეზს, იქნება ეს ასაკი, სქესი, სოციალური ჯგუფი, რეგიონებში არსებული გამოწვევები და უზრუნველყოფს ციფრული ტექნოლოგიებით ყველას ხელმისაწვდომობას); თანამშრომლობითობა (უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას – სახელისუფლებო, არასამთავრობო, სამოქალაქო საზოგადოება, და ხელს უწყობს საერთო ხედვებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას და შეჯერებას)²⁶.

4. ციფრული მმართველობა ესტონეთში

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ტექნოლოგიების სამთავრობო სექტორში დანერგვა მნიშვნელოვნად გააქტიურდა, რაც ციფრული ტრანსფორმაციისკენ შეუქცევად გადასვლაზე მიუთითებს. თითოეული განვითარებული ქვეყნის ციფრული მმართველობის დონე და მასშტაბი განისაზღვრება მისი განვითარების სპეციფიკური ეროვნული კონტექსტის, შესაძლებლობების, სტრატეგიისა და პროგრამების საფუძველზე²⁷.

ესტონეთი ითვლება ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყნად დიגיტალიზაციის თვალსაზრისით²⁸. აღნიშნული მიმართულებით, გაეროს 2024 წლის ციფრული მმართველობის კვლევის მიხედვით, ესტონეთი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყნების სამეულში მოხვდა²⁹. 2021 წელს, ესტონეთის ეკონომიკურ საქმეთა და კომუნიკაციების სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა „ესტონეთის ციფრული დღის წესრიგი 2030“, რომელიც ითვალისწინებს ესტონეთის ეკონომიკის, სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ხედვას და სამოქმედო გეგმას³⁰. აღნიშნული დოკუმენტი, ასევე,

²⁶ იქვე.

²⁷ United Nations E-Government Survey 2022, 2022. 8. <https://publicadministration.un.org>.

²⁸ Morgan, B., Stokhorst, B. (2023). e-Governance in Estonia, Fragomen, <https://www.fragomen.com>.

²⁹ UN, Department of Economic and Social Affairs, E-Government Survey 2024, Accelerating Digital Transformation for Sustainable development, <https://publicadministration.un.org>.

³⁰ Estonian Digital Agenda 2030, Republic of Estonia, Ministry of Economic Affairs and Communications, <https://www.mkm.ee.pdf>; ასევე, იხილეთ: Krasavina, A. (2023). Estonia - Estonian Digital Agenda 2030, <https://digital-skills-jobs.europa.eu>.

„განათლების სტრატეგია 2021-2035“³¹ და „ესტონეთის კვლევისა და განვითარების, ინოვაციებისა და მენარმეობის სტრატეგია 2021-2025“³² ერთობლიობაში წარმოადგენს ესტონეთის ციფრული ათწლეულის სტრატეგიული საგზაო რუკის საფუძველს³³. საგზაო რუკა შედგება ოთხი თავისგან და შეეხება ციფრულ უნარებს, ციფრულ ინფრასტრუქტურას, ბიზნესის გაციფრულებას და საჯარო მომსახურების გაციფრულებას³⁴. ესტონეთის ხანგრძლივ გამოცდილებას ციფრული მმართველობის მხრივ, ის გარემოებაც ადასტურებს, რომ 2000 წლიდან ესტონეთის მთავრობის დოკუმენტბრუნვა ელექტრონულია და წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავე ციფრული მმართველობის მოდელს³⁵. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად განვითარებული, ე.წ. „მდიდარი“ და „სტაბილური“ სახელმწიფოები, ხშირად, შესაძლოა არც თუ ისე წარმატებულნი იყვნენ ციფრული მმართველობის თვალსაზრისით და რიგი სახელმწიფოები ციფრული მმართველობის მაჩვენებლებით, უსწრებდნენ ეკონომიკური განვითარების კუთხით მათზე წინ მყოფ ქვეყნებს³⁶. ესტონეთი, რომელიც ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ჩამორჩება რიგ ევროპულ სახელმწიფოებს, ციფრული მმართველობის მხრივ ერთ-ერთი ლიდერია არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მსოფლიოში³⁷. ესტონური საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კომპანიების დახმარებით, მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა

³¹ Education Strategy 2021-2035, Republic of Estonia, Ministry of Education and Research, <https://www.hm.ee.pdf>; ასევე, იხილეთ: *Krasavina, A. (2024). Estonia – National Digital Decade Strategic Roadmap.* <https://digital-skills-jobs.europa.eu>.

³² Estonian Research and Development, Innovation and Entrepreneurship Strategy 2021-2035, Republic of Estonia, Ministry of education and Research; Ministry of Economic Affairs and Communications, <https://www.hm.ee.pdf>; ასევე, იხილეთ: *Krasavina, A. (2024). Estonia - National Digital Decade Strategic Roadmap.* <https://digital-skills-jobs.europa.eu>.

³³ European Digital Decade Strategic Roadmap, <https://mkm.ee.pdf>.

³⁴ *Krasavina, A. (2024). Estonia – National Digital Decade Strategic Roadmap.* <https://digital-skills-jobs.europa.eu>.

³⁵ *Siikut, S. (2020). How 20 years of digital transformation made Estonia a model for dealing with international crises, Emerging Europe,* <https://emerging-europe.com>.

³⁶ *Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, Revista Catalana de Dret Públic (58).* 3.

³⁷ Estonia is at the top of the United Nations e-government ranking, October 2024, <https://e-estonia.com>.

ციფრული მმართველობის განსავითარებლად³⁸. ესტონეთმა მიაღწია წარმატებას ციფრულ მმართველობასა და დიגיტალიზაციაში და ახდენს მუდმივ განვითარებას ამ მხრივ. აღნიშნული დასტურდება სხვადასხვა გარემოებებით და ფაქტებით. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, ციფრული მმართველობის განვითარებას ესტონეთში სამთავრობო, პოლიტიკური მხარდაჭერა და ხელშეწყობა აქვს. ესტონეთში ერთ სულ მოსახლეზე, დაახლოებით, ათჯერ მეტი სტარტაპია, ვიდრე საშუალოდ, ევროპის სხვა ქვეყნებში. უამრავი პროექტი ციფრულ მმართველობაში კერძო სექტორის ჩართულობით, მათ შორის, საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფორმით განხორციელდა³⁹. აღნიშნული გარემოებები ციფრული მმართველობის განვითარების მიზნით ესტონეთის მთავრობის პოლიტიკური ნების არსებობაზე მიუთითებს, რამაც, სხვა გარემოებებთან ერთად ციფრული მმართველობის წარმატებული განვითარება განაპირობა. ციფრული მმართველობის განვითარებაში, პოლიტიკური ნების საჭიროებაზე მიუთითებენ მკვლევრები სხვა ქვეყნების მაგალითზეც⁴⁰.

ზოგადად, ციფრულ მმართველობაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ინდივიდუალურად მოქმედი ციფრული ტექნოლოგიების არსებობა და მათი გამოყენება არ არის საკმარისი ქვეყანაში სრულყოფილი ციფრული მმართველობის განვითარებისთვის⁴¹. მაგალითად, სახელმწიფო უწყებების ვებგვერდების შექმნა და იქ შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, მოძიება ან ატვირთვა და სხვა მსგავსი ოპერაციების განხორციელება⁴². რეალური და სრულყოფილი ციფრული მმართველობისთვის საჭიროა არსებობდეს ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობა (Interoperability) და ინტერაქტიულობა (Interactivity)⁴³. თავსებადობა და ინტერაქტიულობა, თავის მხრივ, წარმოადგენს ციფრული მმართველობის ძირითად შემადგენელ ელემენტებს.

³⁸ იქვე.

³⁹ იქვე. ასევე, იხილეთ: Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic* (58). 4.

⁴⁰ Defitri, S. Y. (2022). The Role of Political Will in Enhancing E-Government: An Empirical Case in Indonesia, *Problems and Perspectives in Management*, (20), 1. ასევე, იხილეთ: გაბისონია, ზ. (2023). ციფრული მმართველობა და სამართლის ტექნოლოგიები იუსტიციის სისტემაში, *ჟურნალი „იუსტიცია“*, 1 (4), 48.

⁴¹ Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic* (58). 4.

⁴² იქვე.

⁴³ იქვე. ასევე, იხილეთ: Making E-Government Work, The Hague Academy for Local Governance, <https://thehagueacademy.com>.

მენტებს⁴⁴. შესაბამისად, ციფრული მმართველობის განვითარებისა და დანერგვისთვის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე უწყვეტი წვდომისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობის უზრუნველყოფას სხვადასხვა სახელმწიფოების სისტემაში, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს შორის. აღნიშნული თავსებადობის მიღწევა სხვადასხვა ტექნოლოგიური პლატფორმების და სტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა, თავის მხრივ, ციფრული მმართველობისთვის⁴⁵. თავსებადობა ეს არის ინსტიტუციების შესაძლებლობა, მოახდინონ ინტერაქცია ერთმანეთთან შესაბამისი მონაცემების, სისტემების და პროცესების მეშვეობით⁴⁶. აღნიშნული ითვალისწინებს ინფორმაციის გაზიარებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შორის, მონაცემთა გაცვლით⁴⁷. იგი გულისხმობს პროგრამული სისტემების, მოწყობილობების, აპლიკაციების და ელექტრონული მმართველობის უზრუნველყოფისთვის საჭირო სხვადასხვა საშუალებების კოორდინირებულ ურთიერთკავშირს და ურთიერთკომუნიცირებას⁴⁸. ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობას შეიძლება ურთიერთდაკავშირებული ქსელების, სისტემების და მონაცემების ურთიერთ-ოპერირებადობა ან ურთიერთ-ფუნქციონირებადობაც ვუწოდოთ.

მონაცემთა გაცვლა, პრაქტიკული თვალსაზრისით, საკმაოდ კომპლექსური პროცესია, რომელიც ხორციელდება ავტომატიზებულ რეჟიმში, მასში მონაწილეობენ სახელისუფლებო უწყებები და სააგენტოები, კერძო ორგანიზაციები, და ასევე, მონაცემთა გაცვლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს პერსონალური მონაცემების და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე⁴⁹. ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობის უზრუნველსაყოფად ესტონეთში მოქმედებს სისტემა, სახელწოდებით „X-road“, რომელიც წარმოადგენს ინტერფეისს, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა მონაცემთა ბაზები დაკავშირე-

⁴⁴ Metcalf, K. N. (2022). e-Governance and Good Administration: Examples from Estonia, *European Review of Digital Administration & Law* – Erdal (3), 1. 75.

⁴⁵ Theresa, A. Pardo., Taewoo Nam., G. Brian Burke. (2011). E-Government Interoperability: Interaction of Policy, Management, and Technology Dimensions, *Social Science Computer Review*, 30 (1), 7-23. 9-10, <https://www.researchgate.net>.

⁴⁶ Kruger, B. Interoperability – the key enabler of e-government, European Commission, Interoperable Europe, <https://joinup.ec.europa.eu>.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸ Interoperability, TechTarget, App Architecture, <https://www.techtarget.com>.

⁴⁹ UNDP, E-Government Interoperability Guide, 2007, 6. <https://www.unapcict.org>.

ბულია ერთმანეთთან⁵⁰. აღნიშნული სისტემა შესაძლებლობას აძლევს კონკრეტულ ორგანიზაციას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეს წვდომა სხვა ორგანიზაციის ბაზაში დაცულ მონაცემებზე, მაშინ, როდესაც მათ ბაზაში არ ინახება აღნიშნული ინფორმაცია⁵¹. შესაბამისად, მოქალაქეები მათ მონაცემებს წარადგენენ მხოლოდ ერთხელ, რომელიც ინტეგრირდება რომელიმე ორგანიზაციის ბაზაში და შემდგომ, საჭიროებისამებრ, აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ სხვა ორგანიზაციებს. ესტონეთში მოქმედებს „საჯარო ინფორმაციის აქტი“, რომელიც მნიშვნელოვანწილად არგუულირებს ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობის პროცესს⁵² და რომლის მიხედვით, დაუშვებელია, მოქალაქეებს მოეთხოვოთ, ერთზე მეტჯერ, მათი მონაცემების წარდგენა⁵³. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს როგორც მონაცემთა დაცულობას, ისე მონაცემთა სიზუსტეს და ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს, „X-road“ სისტემის მეშვეობით, მიიღოს ინფორმაცია მესამე პირების მიერ მისი მონაცემების ხელმისაწვდომობის შესახებ⁵⁴. საჯარო ინფორმაციის აქტი ითვალისწინებს თავსებადობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან დებულებებს, როგორებიცაა დუბლირებული მონაცემების შეგროვების აკრძალვა, მონაცემთა ბაზების კონცეფცია, კოორდინაცია საინფორმაციო ტექნოლოგიურ პროცესებთან⁵⁵.

გარდა ზემოაღნიშნული აქტისა, ესტონეთის „ადმინისტრაციული საპროცესო აქტი“ ითვალისწინებს აღნიშნული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების

⁵⁰ X-Road – interoperability services, <https://e-estonia.com>. ასევე, იხილეთ: The new frontier: X-Road launching towards data space, <https://e-estonia.com>.

⁵¹ Metcalf, K. N. (2019) How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic* (58). 6.

⁵² Public Information Act, 2000, Riigikogu, <https://www.riigiteataja.ee>. ასევე, იხილეთ: Regulation of the Government of the Republic of 23 September 2016 concerning the Data Exchange Layer, <https://www.riigiteataja.ee>.

⁵³ იქვე. ასევე, იხილეთ: Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic* (58). 6.

⁵⁴ Nortal. X-Road: Estonia's digital backbone, 2022. <https://nortal.com>.

⁵⁵ Digital Government Factsheet 2019, Estonia, <https://interoperable-europe.ec.europa.eu.pdf>.

მოთხოვნებს⁵⁶. მოქალაქეთა მონაცემებზე წვდომისას, პირს, ორგანიზაციის თანამშრომელს, რომელსაც სურს აღნიშნულ მონაცემებზე დაშვება, ვალდებულია, მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, რაც, ამავედროულად, შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეს, გადაამოწმოს, თუ ვინ მოახდინა წვდომა მის პერსონალურ მონაცემებზე და რა სახის ინფორმაციაზე განხორციელდა წვდომა⁵⁷.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობასთან ერთად, ინტერაქტიულობა წარმოადგენს ციფრული მმართველობის ძირითად შემადგენელ ელემენტს. ინტერაქტიულობა გულისხმობს შესაბამისი ტრანზაქციების, ოპერაციების და მოქმედებების განხორციელებას ელექტრონულად, ე.წ. ონლაინ რეჟიმში იმ მონაცემებზე წვდომას, რომელიც არ არის საჯარო⁵⁸. აღნიშნულისთვის კი მოითხოვება ციფრული იდენტიფიცირება⁵⁹, რაც უკავშირდება ციფრულ ხელმოწერას. ციფრული ხელმოწერა გულისხმობს, ზოგადად, ინფორმაციის დანაწილებას ციფრულ ფორმატში, შესაბამისი კოდებით, რაც შემდგომ იძლევა მისი წაკითხვის შესაძლებლობას⁶⁰.

ესტონეთში, საჯარო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოქალაქეებზე ორიენტირებული ციფრული სერვისების განხორციელებას ყველა სფეროში, რომელიც ხელმისაწვდომია ერთი ვებპორტალიდან და ყველა სერვისისთვის ერთნაირად, რაც ამარტივებს მათ გამოყენებას⁶¹. წვდომა აღნიშნულ ვებპორტალზე ხდება ელექტრონული პირადობის მოწმობით (ე.წ. e-ID), რომელიც ამავედროულად მოქალაქეებს შესაძლებლობას აძლევს, განახორციელონ ისეთი მოქმედებები, როგორებიცაა გადასახადების გადახდა, არჩევნებში ხმის მიცემა, ხელშეკრულებების ხელმოწერა, სხვადასხვა საქონლის შეძენა, ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისი ინფორმაციის მიღება

⁵⁶ Administrative Procedure Act, 2001, Riigikogu, Estonia, <https://www.riigiteataja.ee>. ასევე, იხილეთ: Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic*, (58). 6.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ Metcalf, K. N. (2022). e-Governance and Good Administration: Examples from Estonia, *European Review of Digital Administration & Law – Erdal*, (3), 1. 75.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia. *Revista Catalana de Dret Públic*, (58). 5.

⁶¹ Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic*, (58). 5.

და სხვა ოპერაციების შესრულება⁶². ასევე არსებობს სხვა ციფრული საშუალებებიც, როგორიცაა ID ბარათი (ID Card), მობილური ID სმარტფონებზე (Mobile ID) ან სმარტ ID აპლიკაცია (Smart ID Application)⁶³, ციფრული საფულე (Digital Wallet)⁶⁴. 2014 წლიდან ესტონეთმა ციფრული მმართველობა გაცილებით ფართო და ინკლუზიური გახადა და დაწერა ე.წ. ციფრული რეზიდენტობის (e-Residency) პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ ინდივიდს, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა და ფიზიკური მდებარეობისა, წვდომა ჰქონდეს ესტონეთის ციფრულ სერვისებზე, მონაწილეობა მიიღოს ციფრულ ეკონომიკაში, შეასრულოს ციფრული ხელმოწერა და დაარეგისტროს კომპანიები ნებისმიერი ადგილიდან, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია საინვესტიციო და სამენარმეო საქმიანობის განსახორციელებლად⁶⁵.

როგორც უკვე მივუთითეთ, გარდა ტექნოლოგიური საკითხებისა, ციფრულ მმართველობას შესაბამისი სამართლებრივი მოწესრიგება ესაჭიროება. ამ მხრივაც საინტერესოა ესტონეთის გამოცდილება, სადაც ციფრული მმართველობის შესაბამისი სამართლებრივი მოწესრიგების მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს სამართლის ერთიანი, უნიფიცირებული სფერო⁶⁶. არსებული პრაქტიკა ნაკლებად ითვალისწინებს სპეციალური კანონების მიღებას და გაცილებით მეტად არის ორიენტირებული არსებულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაზე, რათა მოხდეს ციფრული სერვისების ინტეგრირება, ციფრული პირადობისა და ხელმოწერების სამართლებრივი მოწესრიგება და მონაცემების დაცვა⁶⁷.

ციფრული მმართველობა პირდაპირ კავშირშია მოქალაქეთა მონაცემებთან. შესაბამისად, აუცილებელია, არსებობდეს ნდობის ელემენტი. მოქალაქეებს ჰქონდეთ რეალური აღქმა, რომ მათი მონაცემები დაცულია⁶⁸. რა თქმა უნდა, ნდობის ელემენტი, როგორც განცალკევებით მდგომი, არ წარმოადგენს იურიდიულ

⁶² e-Identity, <https://e-estonia.com>.

⁶³ იქვე.

⁶⁴ Borak, M. (2024). A digital wallet is the first step: How Estonia built its digital state, Biometric. <https://www.biometricupdate.com>.

⁶⁵ your digital id, your company, your freedoms, <https://www.e-resident.gov.ee>.

⁶⁶ Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic*, (58). 7.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ იქვე.

კატეგორიას; თუმცა, სამართლებრივი საშუალებები და შესაბამისი ინსტრუმენტები უმნიშვნელოვანესია ასეთი ნდობის ფორმირებისა და სრულყოფილი ციფრული მმართველობის განვითარებისთვის⁶⁹. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტს წარმოადგენს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაცია (GDPR)⁷⁰, სადაც აღნიშნულია, რომ „პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, ფიზიკურ პირთა დაცვა ფუნდამენტური უფლებაა [...] პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, ფიზიკურ პირთა დაცვის პრინციპები და ნესები უნდა ითვალისწინებდეს ამ პირთა ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ, მათი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას, განურჩევლად მათი ეროვნებისა თუ ადგილსამყოფელისა“⁷¹.

ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობა, რომელიც მონაცემთა გაცვლას ითვალისწინებს, საკმაოდ კომპლექსური პროცესია, რომელზეც, როგორც უკვე აღინიშნა, პერსონალური მონაცემების დაცვასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს კიბერუსაფრთხოების საკითხებზე. რიგი მკვლევრები, მდგრადი ციფრული სისტემების უზრუნველყოფის მიზნით, მიუთითებენ ეროვნულ დონეზე კიბერუსაფრთხოების სამართლებრივი საშუალებების განვითარების საჭიროებაზე⁷². მკვლევართა აღნიშნული მოსაზრება, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია მრავალი განვითარებადი ქვეყნისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. ეროვნულ დონეზე კიბერუსაფრთხოების სპეციალური კანონი გამიზნულია კრიტიკული ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების და მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისთვის⁷³. ზოგადად, სპეციალურ კანონებს, სახელმწიფოს მხრიდან, ერთგვარი მარეგულირებლის, შესაბამისი პოლიტიკის გატარების ფუნქცია გააჩნიათ და იმ შემთხვევაშიც კი,

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with Regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), <https://eur-lex.europa.eu>.

⁷¹ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია), <https://pdps.ge.pdf>.

⁷² Neeme, E. Building a resilient digital future: A strategic blueprint for tomorrow's security, e-Governance Academy Yearbook 2023/2024, Unlocking digital success, 31-32, <https://ega.ee.pdf>.

⁷³ იქვე.

როდესაც კიბერუსაფრთხოების საკითხებზე არაერთი სახელმწიფო უწყება მუშაობს, შესაძლოა, ასეთმა სპეციალურმა კანონმა სამართლებრივი თვალსაზრისით და არა მხოლოდ, ერთგვარი მაკოორდინირებლის ფუნქციაც შეასრულოს.

ესტონეთში 2018 წელს მიღებულ იქნა კიბერუსაფრთხოების აქტი⁷⁴, რომლის მიზანია ციფრული სისტემების გაძლიერება, რომლებიც გამოიყენება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სერვისების მიწოდებისთვის⁷⁵. აქტი ითვალისწინებს შესაბამის მოთხოვნებს, რაც აუცილებელია საზოგადოების, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ქსელებისა და საინფორმაციო სისტემების ფუნქციონირებისთვის, ასევე, კიბერინციდენტების პრევენციის და მათი გადამწყვეტის, მათზე ზედამხედველობის და პასუხისმგებლობის საკითხებს⁷⁶.

5. დასკვნა

ციფრული მმართველობის დანერგვას და მის განვითარებას ესაჭიროება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე არსებული სამართლებრივი საშუალებები და ტექნოლოგიური მექანიზმები. მნიშვნელოვანია მონაცემების ერთიანი ბაზების შექმნა და პორტალების ფუნქციონირება, საინფორმაციო-ტექნოლოგიური პლატფორმები, პლატფორმების ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ნორმატიულსამართლებრივი ბაზა და ინტერნეტ ქსელის საყოველთაო ხელმისაწვდომობა. საერთაშორისო ინსტრუმენტებთან ერთად, ღირებული დატვირთვა გააჩნია თავად საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას, რომელთა ჩართულობით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული სამთავრობო პრაქტიკის შემუშავების, გავრცელების და ხელშეწყობის შედეგად, ციფრული მმართველობა და ციფრული მთავრობის კონცეფცია სულ უფრო მასშტაბური ხდება⁷⁷. საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა საკმაოდ კომპლექსურია და, ამავდროულად, რიგი გამოწვევებიც ახლავს, როგორებიცაა „ციფრული ფრაგმენტაცია“ (Digital Divide), მონაცემების უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა (Data Security

⁷⁴ Cybersecurity Act, 2018, Riigikogu, Estonia, <https://www.riigiteataja.ee>.

⁷⁵ Digital Government Factsheet 2019, Estonia, <https://interoperable-europe.ec.europa.eu.pdf>.

⁷⁶ იქვე.

⁷⁷ Ventrone, O. (2009). International Organizations, E-Government and Development, 1. <https://www.researchgate.net>.

and Privacy). ასევე, მნიშვნელოვანია ეროვნულ დონეზე არსებული ციფრული მმართველობის, ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიის არსებობა.

ციფრული მმართველობის განვითარების თვალსაზრისით, ესტონეთი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. მისი გამოცდილება ცხადყოფს, რომ რეალური და სრულყოფილი ციფრული მმართველობისთვის საჭიროა, არსებობდეს ელექტრონული მმართველობის სისტემების თავსებადობა (Interoperability) და ინტერაქტიულობა (Interactivity)⁷⁸. თავსებადობა და ინტერაქტიულობა, თავის მხრივ, წარმოადგენს ციფრული მმართველობის ძირითად შემადგენელ ელემენტებს⁷⁹. მონაცემთა გაცვლისას ყურადღება უნდა გამახვილდეს პერსონალური მონაცემების და კიბერუსაფრთხოების საკითხებზე⁸⁰. ციფრული მმართველობის სამართლებრივი მოწესრიგების მიზნით, ესტონეთში მოქმედებს არაერთი აქტი, თუმცა, ზოგადი პრაქტიკა ნაკლებად ითვალისწინებს სპეციალური კანონების მიღებას და გაცილებით მეტად არის ორიენტირებული არსებულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებაზე, რათა მოხდეს ციფრული სერვისების ინტეგრირება, ციფრული პირადობისა და ხელმოწერების სამართლებრივი მოწესრიგება და მონაცემების დაცვა⁸¹.

⁷⁸ Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic*, (58). 4. ასევე, იხილეთ: Making E-Government Work, The Hague Academy for Local Governance, <https://thehagueacademy.com>.

⁷⁹ Metcalf, K. N. e-Governance and Good Administration: Examples from Estonia, 2022, *European Review of Digital Administration & Law – Erdal*, (3), 1. 75.

⁸⁰ *E-Government Interoperability Guide*, UNDP, 2007. 6, <https://www.unapcict.org>. pdf.

⁸¹ Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic*, (58). 7.

გამოყენებული ლიტერატურა

- გაბისონია, ზ. (2023). ციფრული მმართველობა და სამართლის ტექნოლოგიები იუსტიციის სისტემაში, *ჟურნალი იუსტიცია*, 1 (4).
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია).
- თუმანიშვილი, გ.გ. (2021). შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბილისი.
- საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ.
- ხატიძე, გ. (2022). საჯარო-კერძო პარტნიორობის უზრუნველყოფის სამართლებრივი საშუალებები, თბილისი.
- ხუბუა, გ. (2015). სამართლის თეორია, მერიდიანი, თბილისი.
- Administrative Procedure Act, 2001, Riigikogu, Estonia, <https://www.riigiteataja.ee>.
- Stoiciu, A. (2011). The Role of e-Governance in Bridging the Digital Divide, <https://www.un.org/en>.
- Krasavina, A. (2023). Estonia – Estonian Digital Agenda 2030, <https://digital-skills-jobs.europa.eu>.
- Krasavina, A. (2024). Estonia – National Digital Decade Strategic Roadmap, <https://digital-skills-jobs.europa.eu>.
- Aplene, A., Smuts, H. An e-Government Implementation Framework: A Developing Country Case Study, <https://www.researchgate.net>.
- Kruger, B. Interoperability – the key enabler of e-government, European Commission, Interoperable Europe, <https://joinup.ec.europa.eu>.
- Morgan, B., Stokhorst, B. (2023). e-Governance in Estonia, Fragomen, <https://www.fragomen.com>.
- Council of Europe, E-Governance, <https://www.coe.int>.
- Cybersecurity Act, 2018, Riigikogu, Estonia, <https://www.riigiteataja.ee>.
- Digital Government Factsheet 2019, Estonia, <https://interoperable-europe.ec.europa.eu>.
- Education Strategy 2021-2035, Republic of Estonia, Ministry of Education and Research, <https://www.hm.ee>.

- Neeme, E. Building a resilient digital future: A strategic blueprint for tomorrow's security, e-Governance Academy Yearbook 2023/2024, Unlocking digital success, <https://ega.ee>.
- Estonian Digital Agenda 2030, Republic of Estonia, Ministry of Economic Affairs and Communications, <https://www.mkm.ee>.
- Estonian Research and Development, Innovation and Entrepreneurship Strategy 2021-2035, Republic of Estonia, Ministry of education and Research; *Ministry of Economic Affairs and Communications*, <https://www.hm.ee>.
- Estonia is at the top of the United Nations e-government ranking, October 2024, <https://e-estonia.com>.
- European Digital Decade Strategic Roadmap, <https://mkm.ee>. e-Identity, <https://e-estonia.com>.
- Yunyk, I. (2022). Building Legal Mechanisms for Electronic Governance Development, 40 *Cuestiones Politicas*, 73. 172-191.
- Interoperability, TechTarget, App Architecture, <https://www.techtarget.com>.
- Elia, J. (2023). A Study of the Impact of E-Governance on the Economy, Trends, and Perspective, Munich Personal RePEc Archive (MPRA), <https://mpra.ub.uni-muenchen.de>.
- Metcalf, K. N. (2019). How to Build E-Governance in a Digital Society: The Case of Estonia, *Revista Catalana de Dret Públic*, (58).
- Metcalf, K. N. (2022). e-Governance and Good Administration: Examples from Estonia, *European Review of Digital Administration & Law – Erdal*, (3), 1.
- Making E-Government Work, *The Hague Academy for Local Governance*, <https://thehagueacademy.com>.
- Borak, M. (2024). A digital wallet is the first step: How Estonia built its digital state, *Biometric*, <https://www.biometricupdate.com>.
- National Digital Transformation Strategy – *Mapping the Digital Journey*, 2023, <https://digitalregulation.org>.
- Nortal, X-Road: Estonia's digital backbone, 2022, <https://nortal.com>.
- OECD, Background Paper: Implementing E-Government in OECD Countries: Experiences and Challenges, <https://www.oecd.org>.
- OECD, Implementing E-Government in OECD Countries: Experiences and Challenges, Background Paper, <https://www.oecd.org>.

- OECD. (2014). Public Governance and Territorial Development Directorate, Recommendation of the Council on Digital Government Strategies, <https://www.oecd.org>.
- OECD Recommendation on Digital Government Strategies, <https://www.oecd.org>.
- OECD. (2023). საჯარო მმართველობის პრინციპები, OECD, პარიზი, <https://www.sigmaxweb.org>.
- Oreste Ventrone. (2009). International Organizations, E-Government and Development, <https://www.researchgate.net>.
- Public Information Act, 2000, Riigikogu, <https://www.riigiteataja.ee>.
- Yadav, R. Rani, J. (2022). E-Governance: Concept, Strategy and its Implication, *Journal of American Science*, 18 (6).
- Regulation of the Government of the Republic of 23 September 2016 concerning the Data Exchange Layer, <https://www.riigiteataja.ee>.
- Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the Protection of Natural Persons with Regard to the Processing of Personal Data and on the Free Movement of Such Data, and Repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), <https://eur-lex.europa.eu>.
- Singh, Sh. (2011). E-Governance: Information Security Issues, *International Conference on Computer Science and Information Technology*, <https://www.researchgate.net>.
- Siikut, S. (2020). *How 20 years of digital transformation made Estonia a model for dealing with international crises*, Emerging Europe, <https://emerging-europe.com>.
- Defitri, S. Y. (2022). The Role of Political Will in Enhancing E-Government: An Empirical Case in Indonesia, *Problems and Perspectives in Management*, (20), 1.
- The World Bank, e-Government, 2015, <https://www.worldbank.org>.
- The new frontier: X-Road launching towards data space, <https://e-estonia.com>.
- Pardo, T. A., Taewoo Nam & G. Brian Burke (2011). E-Government Interoperability: Interaction of Policy, Management, and Technology Dimensions, *Social Science Computer Review*, 30 (1).
- United Nations Economic Commission for Europe. 2004. Governance in Public Private Partnerships for Infrastructure Development, <https://www.unece.org>.
- United Nations Department for Economic and Social Affairs, <https://www.un.org>.

United Nations E-Government Survey 2022, 2022,
<https://publicadministration.un.org>.

UN, Department of Economic and Social Affairs, E-Government Survey 2024,
Accelerating Digital Transformation for Sustainable development,
<https://publicadministration.un.org>.

UNDP. (2007). E-Government Interoperability Guide, <https://www.unapcict.org>.

X-Road – interoperability services, <https://e-estonia.com>. your digital id, your
company, your freedoms, <https://www.e-resident.gov.ee>.

LEGAL AND TECHNOLOGICAL ASPECTS OF DIGITAL GOVERNANCE

(THE EXAMPLE OF ESTONIA)

GEORGE KHATIDZE

Doctor of Law, Professor

Faculty of Law, Caucasus International University

george.khatidze@ciu.edu.ge

ZVIAD GABISONIA

Doctor of Law, Professor

Caucasus International University

zgabisonia@gmail.com

NINO JOLIA

PhD Candidate, Faculty of Law

Caucasus International University

nino.jolia@ciu.edu.ge

Abstract. The article discusses the legal instruments and technological mechanisms for the implementation and advancement of digital governance, using the example of the Estonian experience, as well as the essence of digital governance, the relevant international instruments, and the role and activities of international organizations in the field of digital governance. For real and comprehensive digital governance requires the compatibility and interactivity of electronic governance systems. When exchanging data, particular attention should be paid to personal data and cybersecurity issues. In Estonia several acts regulate digital governance, however, the general practice is less concerned with adopting special laws, instead focuses on introducing appropriate amendments to existing legislation. This approach facilitates the integration of digital services, legal regulation of digital identities and signatures, and data protection.

Keywords: *digital governance, technologies, electronic governance systems compatibility, interactivity, data exchange, cybersecurity*

ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრების დაცვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფარგლებში

გურამ ღვინჯილია

სამართლის დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
guramgvinjilia@gmail.com

რევაზ ბერულავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტი
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი
უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი
r.berulava@constcourt.ge

რეზიუმე. კულტურული საკუთრების დაცვა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ სფეროს წარმოადგენს, თუმცა თანამედროვე კიბერომის და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქამ წარმოშვა ახალი სამართლებრივი გამოწვევები. ნაშრომში განხილულია, ვრცელდება თუ არა მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოები, უპირველესად 1954 წლის ჰააგის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ და მისი დამატებითი ოქმები სამ კატეგორიაზე: ფიზიკურ, გაციფრებულ და ციფრულად შექმნილ კულტურულ მემკვიდრეობაზე/საკუთრებაზე. ისტორიულ-იურიდიული ანალიზი აჩვენებს, რომ კულტურული საკუთრება ომის დროს მუდმივად წარმოადგენდა განზრახ განადგურებისა და ქურდობის ობიექტს, რის საპასუხოდაც საერთაშორისო სამართალი ეტაპობრივად განვითარდა ლიბერის კოდექსიდან ჰააგისა და ჟენევის კონვენციებამდე. ციფრული გარდაქმნის პროცესმა მნიშვნელოვნად გაზარდა კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობა, მაგრამ ამავედროულად წარმოშვა კიბერსაფრთხეების, მანიპულაციისა და მონაცემთა განადგურების მაღალი რისკი. სტატია ამტკიცებს, მიუხედავად იმისა, რომ 1954 წლის ჰააგის კონვენცია არ შეიცავს ცნებებს

„ციფრული“ და „გაციფრებული“ საკუთრება, მისი ევოლუციური განმარტებით, შესაძლებელია ამ აქტივების განიხილვა, როგორც არქივებისა და კულტურული მემკვიდრეობის საცავების ანალოგი, რითაც მათზე გავრცელდება მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის რეჟიმი. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება სახელმწიფოების პრაქტიკას, იუნესკოს ინიციატივებს და საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც, კულტურული მემკვიდრეობა კაცობრიობის საერთო ფასეულობას წარმოადგენს.

დასკვნის სახით, ნაშრომი ასახავს, რომ ციფრული და გაციფრებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად იქცა. არსებული ხელშეკრულებები ქმნის ძირითად საფუძველს, თუმცა ეფექტიანი დაცვა მოითხოვს როგორც მოქმედი ნორმების ინტერპრეტაციას და სახელმწიფო პრაქტიკის განვითარებას, ასევე ახალი, უნივერსალური და სავალდებულო სამართლებრივი სტანდარტების ფორმირებას, რათა კაცობრიობის კულტურული იდენტობის დაცვა უზრუნველყოფილი იყოს ციფრული ეპოქის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო კიბეროპერაციები, ციფრული კულტურული საკუთრება, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

შესავალი

კულტურული საკუთრების¹ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა არაბალია ქვეყნების ისტორიისთვის. აღნიშნულის დასტურად არაერთი მაგალითი თუ ისტორიული მოვლენა გამოდგება. საქართველოს ისტორიაშიც არსებობს მსგავსი მაგალითი, როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა საფრანგეთში უჩუმრად წაღებული ეროვნული საგანძური გადაარჩინა დაკარგვას და განადგურებას. უახლეს ისტორიაში მსგავსი შემთხვევა, დაახლოებით, 10 წლის წინ მოხდა, როდესაც ტერორისტულმა ორგანიზაცია „ისლამურმა სახელმწიფომ“, სირიაში გაიტაცა, აწამა და ბოლოს სიცოცხლეს გამოასალმა პალმირას ისტორიული ძეგლის კურატორი, ხალედ ალ-ასადი. თუმცა, ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა ტერორისტებს და არ გაუზიარა სირიაში არსებული ანტიკვარიატის საიდუმლო სამა-

¹ კულტურული საკუთრება – მოძრავი ან უძრავი ქონება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხალხების კულტურული მემკვიდრეობისთვის (ძეგლები, ნაგებობები, არქივები, მუზეუმები და სხვა) – Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. (1954). Art. 1.

ლავები². უახლოეს მომავალში დაცვა დაჭირდება არა მხოლოდ ფიზიკურად არსებულ კულტურულ საკუთრებას და მემკვიდრეობას, არამედ მათ გაციფრებულ ვერსიებს და ახლადშექმნილ ციფრულ კულტურულ საკუთრებას. ასეთ დროს ისმის კითხვა, არსებობს თუ არა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებს და აწესრიგებს თანამედროვე პროგრესის შედეგად შექმნილ ახალ მიმართულებას, რასაც ციფრული კულტურული საკუთრება და გაციფრებული კულტურული საკუთრება ჰქვია? უფრო კონკრეტულად, იცავს თუ არა ციფრულ/გაციფრებულ კულტურულ საკუთრებას დღესდღეობით არსებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სამხედრო კონფლიქტებისას? აღნიშნული, განსაკუთრებით, საინტერესოა თანამედროვე სამყაროში ბოლო პერიოდში გახშირებული სამხედრო კონფლიქტების ფონზე.

საერთაშორისო საზოგადოებაში არსებობს კონსენსუსი, რომ დღესდღეობით არსებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გამოიყენება კიბერსივრცეშიც, როგორც სახელმწიფოების, ასევე, არასახელმწიფო აქტორების წინააღმდეგ³. მაგრამ საზოგადოება ჯერ არ შეთანხმებულა, თუ რა ფორმით ხდება არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გამოყენება.

კულტურული საკუთრება დაცულია როგორც ხელშეკრულებაზე დაფუძნებული, ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით. შეიარაღებული კონფლიქტისას კულტურული საკუთრების განადგურება, დაზიანება, ქურდობა, ვანდალიზმი და არასათანადო მოპყრობა წარმოადგენს ომის დანაშაულს⁴. თუმცა, ინტერნეტის და ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ სრულიად შეცვალა კულტურული საკუთრების ტრადიციული ფორმები, ისეთები, როგორიცაა ძეგლები, წმინდა ადგილები და არქეოლოგიური გათხრები. ამასთან, შეიქმნა ციფრული კულტურული საკუთრების ახალი ფორმა, რომელიც ხშირად მოხსენიებულია, როგორც „ციფრულად შობილი კულტურული მემკვიდრეობა“⁵. აღნიშნული ტერმინი გულისხმობს ისეთ კულტურულ საკუთრებას/მემკვიდრეობას, რომელიც მისი პირველყოფილი სახით იმთავითვე შეიქმნა როგორც ციფრული პროდუქტი. შესაბამისად, ციფრული ფორმით შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა დგას ორმაგი საფრთხის წინაშე, როგორც კონვენციური მეთოდების გა-

² Hubbard, B. (2015). Syrian Expert Who Shielded Palmyra Antiquities Meets a Grisly Death at ISIS' Hands, N.Y. TIMES. მისაწვდომია: <https://www.nytimes.com>. (ნანახია: 03.08.2025).

³ Solis, G. D. (2014). Cyber Warfare. Military Law Review. 32.

⁴ O'keefe, R. (2010). Protection of Cultural Property Under International Criminal Law. Melbourne Journal of International Law. 339.

⁵ UNESCO. (2003). Charter on the Preservation of Digital Heritage. Note 3.

მოყენებით, ფიზიკური თავდასხმა და ზიანის მიყენება, ასევე, საფრთხის შემცველი კიბეროპერაციებით.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უნდა იცავდეს სამი კატეგორიის კულტურულ საკუთრებას/მემკვიდრეობას: რეალურ სამყაროში არსებული კულტურული საკუთრება, გაციფრებული კულტურული საკუთრება და ციფრული კულტურული საკუთრება⁶. წარმოდგენილი სტატია მკითხველს სთავაზობს უკვე არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების ახლებურ განმარტებას და ხაზს უსვამს, რომ ეს ნორმები ვრცელდება როგორც კულტურულ საკუთრებაზე, ასევე, ციფრულ და გაციფრებულ კულტურულ საკუთრებაზეც⁷. უპრიანი იქნება, თუ საერთაშორისო სამართალი ციფრულ და გაციფრებულ კულტურულ საკუთრებას მოეპყრობა ისე, როგორც არქივებს და საცავებს. აღნიშნული მიდგომა ზემოხსენებულ კულტურული საკუთრების ფორმებს მოაქცევს ხელშეკრულებებით დაცული განმარტების ქვეშ და მიანიჭებს შესაბამის დაცვას შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას. თანამედროვე სახელმწიფოები სწრაფი ტემპებით ცდილობენ კულტურული საკუთრების გაციფრულებას, რათა დაიცვან ეს უკანასკნელი კლიმატის ცვლილებისგან, ტერორიზმიდან, ფიზიკური განადგურებისგან და ა.შ.⁸ კულტურული საკუთრების გაციფრებასთან ერთად კი მეტ მნიშვნელობას იძენს მისი დაცვის ტექნოლოგიური ასპექტები.

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში, ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრების დაცვის საკითხს. ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება ომების დროს კულტურული საკუთრების დაცვის ისტორიას და მის სამართლებრივ განვითარებას. მეორე ნაწილი განიხილავს ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრების/მემკვიდრეობის განვითარებას და მათ მიმართ არსებულ თანამედროვე საფრთხეებს. მესამე ნაწილი მიზნად ისახავს ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრების ახლებურ სამართლებრივ გადააზრებას და მათზე უკვე არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გავრცელების შესაძლებლობის განხილვას. ასევე, ყურადღებას ამახვილეს კონფლიქტში მონაწილე მხარეების ვალდე-

⁶ O'keefe, R. (2010). Protection of Cultural Property Under International Criminal Law. *Melbourne Journal of International Law*. 358.

⁷ Alexander, A. (2015). A Short History of International Humanitarian Law, *European Journal of International Law*. 109.

⁸ Silberman, N. (2014). From Cultural Property to Cultural Data: The Multiple Dimensions of „Ownership“ in a Global Digital Age. *International Law Journal*. Cultural Prop. 376.

ბულებებზე კულტურული საკუთრების/მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით, იქნება ეს მათი ფიზიკური ხელშეუხებლობა თუ უსაფრთხოება კიბერსივრცეში.

1. კულტურული საკუთრების ადგილი საერთაშორისო ჰუმანიტარული კონფლიქტის სამართალში

1.1. კულტურული საკუთრების დაცვის ისტორიული განვითარება

კულტურული საკუთრების/მემკვიდრეობის განადგურება ანტიკური და შუასაუკუნოვანი კონფლიქტების განუყოფელი ნაწილი იყო⁹. ამას აღნიშნავდა, ჯერ კიდევ, თუკიდიდე „პელოპონესის ომებში“ და ქსენოფონტე¹⁰. რომაელების ტრიუმფი, გამარჯვებასთან ერთად დაპყრობილი ხალხების ხელოვნების ნიმუშების მოპარვასაც მოიცავდა¹¹. ანალოგიურად გრძელდებოდა შუა საუკუნეებშიც, როდესაც 1258 წელს ბაღდადის აღების შემდეგ, მონღოლებმა გაძარცვეს ქალაქის ყველა ბიბლიოთეკა და იმ დროისთვის არსებული წიგნები და ხელნაწერები მდინარე ტიგრში გადაყარეს¹². კონსტანტინოპოლის დაცემისას, გადანევს სასახლეები, ისტორიული საგანძური ალაფად წაიღეს რიგითმა მეომრებმა და გადანევს ბიბლიოთეკები, რომლებიც ინახავდა კლასიკური და ადრეული ქრისტიანული ეპოქის ლიტერატურულ ნაშრომებს¹³.

გაბატონებული მიდგომის გარდა, არსებობდა განსხვავებული მოსაზრებაც, რომ დაპყრობილი ტერიტორიის კულტურული მემკვიდრეობის განადგურება არაფრის მომტანი იყო დამპყრობლისთვის და ფუჭად აზიანებდნენ არქიტექტურულ ძეგლებს, ტაძრებს, ნახატებს, ნაწერებს და ა.შ. ამის ერთ-ერთი პირველი მაგალითია ფრიდრიხ ბარბაროსას მიერ 1158 წელს გამოცემული ედიქტი, რომე-

⁹ *Thucydides*. (2008). *History of the Peloponnesian War* 566–67 (Richard Crawley trans. Floating Press). (Fourth century BCE).

¹⁰ *Xenophon. Cyropaedia* (F.M. Stawell ed., Henry Graham Dakyns trans., Project Gutenberg 2009) (370 BCE). 73.

¹¹ *Ong, R.* (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 254.

¹² *Raven, J.* (2004). Introduction: The Resonances of Loss, in *Lost Libraries: The Destruction of great book Collections since Antiquity* (James Raven ed.). 11.

¹³ *Smith, G. B.* (1959). Islam and Christendom. in *History of the World*. (2nd ed., *W.N. Weech* ed.,). 339.

ლიც კრძალავდა ომიანობის დროს ეკლესიების ძარცვას¹⁴. აღნიშნული საკითხი-სადმი მიდგომა შეიცვალა განმანათლებელთა ეპოქაში და გაჩნდნენ ადამიანები, ვინც ცდილობდა, სამართლებრივი გზებით დაეცვა კულტურული მემკვიდრეობა. ფრანგი იურისტი ემერ დე ვატელის აზრით, კულტურული საკუთრების/მემკვიდრეობის განადგურება ზიანს აყენებდა არა მხოლოდ მის ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, არამედ მთელ კაცობრიობას. ასევე ამტკიცებდა, რომ კულტურული საკუთრების/მემკვიდრეობის (ძეგლები, ტაძრები, აკლდამები, ქანდაკებები, ნახატები და ა.შ.) განადგურება არ შეიძლება იყოს არცერთი სამხედრო დაპირისპირების თვითმიზანი და ომის კანონიერი ობიექტი. შესაბამისად, მსგავსი ტიპის აქტები დაგმობილია ერების კანონებით¹⁵. ანალოგიურ პოზიციას იზიარებდა და ამყარებდა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჰუგო გროციუსი, რომელიც მიიჩნევდა, რომ მეომარი მხარე ვალდებული იყო, მტრის სამოქალაქო და კულტურულ საკუთრებას სიფრთხილით მოეპყრობოდა და საჭიროების გარეშე, უმიზეზოდ არ გაენადგურებინა¹⁶.

ინდუსტრიალიზაციასთან ერთად ვითარდებოდა საერთაშორისო სამართალი კულტურული საკუთრების დაცვის სფეროშიც. 1863 წელს შექმნილ ლიბერის კოდექსში, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომის დროს გამოიცა, დაცულია შემდეგი კულტურული საკუთრებანი: კლასიკური ხელოვნების ნიმუშები, ბიბლიოთეკები, სამეცნიერო კოლექციები, ძვირფასი სამეცნიერო ინსტრუმენტები, მაგალითად, ასტრონომიული ტელესკოპები და ა.შ.¹⁷ თუმცა ლიბერის კოდექსი, რა თქმა უნდა, შეზღუდული იყო, მაგალითად, იგი უშვებდა კულტურული მემკვიდრეობის დაუფლებას, თუ მხარე არ დააზიანებდა აღნიშნულ ნივთს¹⁸. მიუხედავად იმისა, რომ ლიბერის კოდექსი არ იყო სამართლებრივი დოკუმენტი, მან მაინც განუზომლად დიდი წვლილი შეიტანა ომის კანონების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ევროპის სახელმწიფოებმა (საფრანგეთი, გერმანია, გაერთიან-

¹⁴ Toman, T. (1996). The Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 4.

¹⁵ Vattel, E. D. (1797). The Law of Nations. G.G. & J. Robinson. London. 370.

¹⁶ Grotius, H. (2014). The Rights of the War and Peace. (A.C. Campbell trans., Project Gutenberg). 367. მისაწვდომია: <https://www.gutenberg.org>. ნანახია: 14.09.2025.

¹⁷ War Dept. General Orders No. 100: The Lieber Code. Instructions for the Government of Armies of the United States in the Field. 1863. Art. 35. მისაწვდომია: <https://avalon.law.yale.edu>. ნანახია: 14.09.2025.

¹⁸ იქვე. Art. 36.

ნებული სამეფო) სწორედ ლიბერის კოდექსის გავლენით მიიღეს მსგავსი შინა-არსის დოკუმენტები¹⁹.

1874 წელს შეიქმნა ბრიუსელის დეკლარაცია, რომელიც არ იყო მბოჭავი ძალის დოკუმენტი, მაგრამ, როგორც დრომ აჩვენა, წარმოადგენდა შემდგომში მიღებული ჰააგის კონვენციების საფუძველს. აღნიშნულ დოკუმენტში პირველად იქნა ნახსენები კულტურული საკუთრების დაზიანების ან განადგურებისთვის სასჯელის დაწესების საკითხი. და ეს უკანასკნელი, უშუალოდ კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ავალდებულებდა, პასუხისმგებლობაში მიეცათ თავიანთი მოქალაქეები, ვინც განზრახ დააზიანებდა კულტურულ საკუთრებას²⁰.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, 1907 წლის ჰააგის კონვენციის 56-ე მუხლი აწესრიგებს, ოკუპაციის პირობებში, ოკუპანტი მხარის ვალდებულებას, დაიცვას რელიგიური, საგანმანათლებლო, მეცნიერული, სახელოვნებო და საქველმოქმედო დაწესებულებები და, მათ შორის, კულტურული საკუთრება/მემკვიდრეობა²¹. გარდა ზოგადი მოწესრიგებისა, კონვენციის 27-ე მუხლი ადგენს ოკუპანტი მხარის მიერ კულტურული საკუთრების დაცვის ვალდებულებას და პასუხისმგებლობას აკისრებს მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში²². თუმცა მეორე მსოფლიო ომში გამოჩნდა, რომ 1907 წლის ჰააგის კონვენცია ვერ უზრუნველყოფდა კულტურული საკუთრების დაცვას. განსაკუთრებით, ხშირი იყო ნაცისტური გერმანიის წარმომადგენლების მიერ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ნიმუშების გატაცების შემთხვევები. სწორედ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, ნათელი გახდა, რომ საჭირო იყო ახალი, უფრო ზუსტი და უშუალოდ კულტურულ საკუთრებაზე ორიენტირებული სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა. შედეგად, ჩამოყალიბდა 1954 წლის ჰააგის კონვენცია „შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ“, შემდგომში მოხსენიებული, როგორც ჰააგის კონვენცია.

¹⁹ Toman, J. (1996). The Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 7.

²⁰ იქვე. 9.

²¹ Convention Respecting the Laws and Customs of War on Land. 1907. Art. 56.

²² იქვე. Art. 27.

12. ჰააგის კონვენცია და დამატებითი ოქმები (ახალი რეგულაცია კულტურული საკუთრების დაცვაში)

1954 წლის ჰააგის კონვენცია წარმოადგენს ძირითად ხელშეკრულებას, რომელიც იცავს კულტურულ საკუთრებას შეიარაღებულ კონფლიქტებში. ხელშეკრულება კულტურულ საკუთრებას განმარტავს, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და ხალხებისთვის დიდი მნიშვნელობის მქონე მოძრავ და უძრავ საკუთრებას²³. ამავე ხელშეკრულების პირველი მუხლი განმარტავს კულტურულ საკუთრებას და გვაძლევს ჩამონათვალს, რა ითვლება კულტურულ საკუთრებად 1954 წლისთვის. ასეთებია: არქიტექტურული, ხელოვნების, ისტორიული და რელიგიური ძეგლები, ხელოვნების ნიმუშები, მანუსკრიპტები, ნიგნები, ისტორიული თუ არქეოლოგიური ინტერესის ობიექტები და ნივთები, შენობები, რომლებიც გამოიყენება, როგორც ბიბლიოთეკები, არქივები ან მოძრავი კულტურული საკუთრების საცავები თუ სამალავები²⁴. კონვენციის მე-4 მუხლი მებრძოლებს აკისრებს ვალდებულებას, პატივი სცენ კულტურულ საკუთრებას და თავი შეიკავონ ისეთი მოქმედებებისგან, რაც დააზიანებს ან გაანადგურებს კულტურულ მემკვიდრეობას. დაგმოილია ვანდალიზმი, ქურდობა და არასათანადო მოპყრობაც²⁵. კულტურული საკუთრების დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ჩარჩოს ამყარებს ფენევის 1949 წლის კონვენციების დამატებითი ორი ოქმი, სადაც კულტურული საკუთრება დაცულია, როგორც საერთაშორისო, ისე არასაერთაშორისო კონფლიქტში²⁶. ზემოხსენებული ხელშეკრულებების გარდა, კულტურულ საკუთრებას იცავს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. მეომარი მხარისთვის კულტურული საკუთრების ხელყოფა დაშვებულია მხოლოდ სამხედრო აუცილებლობიდან გამომდინარე²⁷, მაგალითად, თუ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე თავს აფარებს და საომარი დანიშნულებით იყენებს რომელიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

კულტურული საკუთრების დამცველ საერთაშორისო დოკუმენტებს კრიტიკოსიც ბევრი ჰყავს, რადგან საკმაო მაგალითი არსებობს, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობისას, განზრახ თუ უნებლიედ, განადგურდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. უახლოესი ისტორიიდან შეიძლება გამოიყოს რამდენი-

²³ Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. *supra* note 48.

²⁴ იქვე. Art. 1.

²⁵ იქვე. Art. 4.

²⁶ Additional Protocol I, *supra* note 57, at 27; Additional Protocol II, *supra* note 57.

²⁷ Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. Art. 39.

მე მაგალითი, როგორიცაა იუგოსლავიის დაშლის შემდგომ მომხდარი კონფლიქტი, თალიბანის მიერ ბამიანის ბუდას ქანდაკების განადგურება, ერაყის ეროვნული მუზეუმის გაძარცვა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ და ა.შ.²⁸ გაჩნდა მოსაზრებები, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩო ვერ ახერხებს კულტურული საკუთრების სრულფასოვან დაცვას. აღნიშნულთან მიმართებით, სანუგეშოა, რომ მომხდარი ფაქტების და დანაშაულებრივი ქმედებების დაგმოვის გარდა, საერთაშორისო ტრიბუნალებს დაკისრებული აქვთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კულტურულ საკუთრებაზე თავდასხმის გამო²⁹.

2. კულტურული საკუთრება კიბერსივრცეში

2.1. ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრება

ტექნოლოგიურმა განვითარებამ, როგორც სხვა ყველა მიმართულებით, რევოლუცია მოახდინა კულტურული მემკვიდრეობის სფეროშიც. კულტურული საკუთრების გაციფრებამ გაზარდა მათი სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენება. ასევე, უფრო ხელმისაწვდომი გახდა ფართო საზოგადოებისთვის. ამავე მიმართულებით, გამოსარჩევია ისეთი პროექტები, როგორიცაა CyArk, რომელიც მუშაობს ისტორიული ძეგლების 3D მოდელების შექმნაზე და ხელმისაწვდომს ხდის მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან³⁰. დღეს უკვე შესაძლებელია არამატერიალური კულტურული ძეგლების დაცვა, ისეთის, როგორიცაა ეროვნული ცეკვა, მაგალითად, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში დატულია იაპონური ეროვნული ცეკვები³¹.

გაციფრებული კულტურული საკუთრებისგან განსხვავებით, ციფრული კულტურული საკუთრება, იმთავითვე, იქმნება ციფრული ფორმით და რჩება ასეთად. კულტურული მემკვიდრეობის ციფრულ ფორმას ჯერ კიდევ 2003 წელს ახსენებს UNESCO და იზიარებს 1954 წლის ჰააგის კონვენციის ხედვას³². ციფრუ-

²⁸ Ong, R. (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 261.

²⁹ *Prosecutor v. Ahmad Al Fagi Al Mahdi*. ICC. 2016.

³⁰ *Mission Statement, CYARK*, მისაწვდომია: <https://www.cyark.org>. ნანახია: 29.08.2025.

³¹ Ong, R. (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 263.

³² იქვე. 264.

ლი კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო თანამედროვე მაგალითი შეიძლება იყოს პლატფორმა იუთუბი (youtube), სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, საკუთარი ვიდეოს განთავსება, მათ შორის, აქ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ვიდეოები, იქნება ეს კულტურულ მემკვიდრეობად შერაცხული რომელიმე ერის სიმღერა თუ ცეკვა, ისტორიული მონუმენტები თუ სხვა³³. შესაბამისად, იუთუბი, როგორც პლატფორმა, თავადაც ატარებს მნიშვნელობას კულტურული მემკვიდრეობის ჩრილში და მისი განადგურება/ნაშლა გამოიწვევს მსოფლიო საზოგადოების არსებითი ნაწილისთვის წვდომის შეზღუდვას მთელი რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან.

3. თანამედროვე კიბერსივრცე

კიბერსივრცე თავის თავში გულისხმობს დამოუკიდებელ ქსელებს, ინფორმაციული ტექნოლოგიის ინფრასტრუქტურებს, ინტერნეტს, ტელეკომუნიკაციის ქსელებს, კომპიუტერულ სისტემებს, პროცესორებს და კონტროლერებს³⁴. ამასთან, კიბერსივრცეს, საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებენ როგორც სახელმწიფოები, ასევე არასახელმწიფო აქტორები. კიბერომი გულისხმობს შეიარაღებულ კონფლიქტში პოლიტიკური თუ სამხედრო მიზნების მიღწევას ციფრული საშუალებების გამოყენებით³⁵. ერთ-ერთი მაგალითია ირანის ბირთვული ცენტრიფუგების წინააღმდეგ გამოყენებული Stuxnet-ის ვირუსი³⁶. მატერიალური კულტურული საკუთრება ნათლად არის დაცული კიბერშეტევებისგან. 1907 წლის ჰააგის რეგულაციები და 1954 წლის ჰააგის კონვენცია იცავს მათ, მხარეების და ომის მეთოდების განურჩევლად³⁷. შესაბამისად, კიბერშეტევის შედეგად, ნებისმიერი ტიპის მატერიალური, კულტურული საკუთრების/მემკვიდრეობის

³³ იქვე. 266.

³⁴ U.S. Department of Commerce. National Institute of Standards and Technology. Information Security. Glossary. Appendix B. p. 3. მისაწვდომია: <chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://nvlpubs.nist.gov.pdf>. ნანახია: 29.08.2025.

³⁵ Tallinn Manual 2.0 on the International Law Applicable to Cyber Operations. Cambridge University Press. 2017. *Supra* note 4, at 375.

³⁶ ღვინჯილია, გ. (2022). კიბეროპერაციები და ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალი. 4.

³⁷ Convention Respecting the Laws and Customs of War on Land. 1907. *supra* note 43; Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. *supra* note 48.

დაზიანება დაარღვევს ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოს. ომის წარმოების ფორმების ცვლილების მიუხედავად, კულტურული საკუთრების/მემკვიდრეობის დაცვის ნორმები კვლავ აგრძელებს მოქმედებას.

3.1. კულტურული საკუთრების დაცვა თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტის სამართლის მიხედვით

მატერიალური, კულტურული საკუთრებისგან განსხვავებით, შედარებით რთული საკითხია ციფრულ და გაციფრებულ კულტურულ საკუთრებაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედება. სახელმწიფოები ზრდიან თავიანთ კიბერ შესაძლებლობებს და, შესაბამისად, სახელმწიფოთა მიერ ორგანიზებული კიბერშეტევებიც უფრო და უფრო ხშირია³⁸. 2005-2019 წლების შუალედში განხორცილდა, დაახლოებით, 480 კიბერშეტევა და ეს რიცხვი ყოველწლიურად იზრდება³⁹. სახელმწიფოთა სამხედრო და სამოქალაქო ინტერნეტ ინფრასტრუქტურა გადაჯაჭვულია და ერთმანეთის გარეშე ვერ ფუნქციონირებს. შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტი არსებით საფრთხეს წარმოადგენს ორივე ტიპის კიბერ ინფრასტრუქტურის მიმართ, მათ შორის ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრების მიმართაც. ვინაიდან მეომარი მხარისთვის ხშირად რთულია იყოს დარწმუნებული სამიზნის ბუნებაში, რისკის თავიდან არიდების მიზნით, ანადგურებენ ნებისმიერი ტიპის სამიზნეებს⁴⁰.

არაერთი მიზეზი არსებობს, რატომ შეიძლება დაესხას თავს კულტურულ საკუთრებას სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორი. ამის მარტივი მაგალითი შეიძლება იყოს ეთნიკური წმენდის კამპანიები და იდენტიფიკაციის დაკავშირებული ომები⁴¹. კულტურულ საკუთრებაზე თავდასხმა შესაძლოა განხორციელდეს ტაქტიკური თუ ეკონომიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით⁴². კონფლიქ-

³⁸ *Council on Foreign Affairs*. Understanding the Proliferation of Cyber Capabilities. მისწავდომია: <https://www.cfr.org>. ნანახია: 29.08.2025.

³⁹ *Council on Foreign Affairs*. Cyber Operations Tracker. მისწავდომია: <https://www.cfr.org>. ნანახია: 29.08.2025.

⁴⁰ *Ong, R.* (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 269.

⁴¹ *Brosche, J.* (2017). Heritage Under Attack: Motives for Targeting Cultural Property During Armed Attack. *Int' L J.* 248.

⁴² იქვე. 249.

ტში მხარეები კულტურულ საკუთრებას ეპყრობიან ისე, როგორც ნებისმიერ შენობასა თუ ობიექტს და მის ბუნებას, როგორც წესი, არ იღებენ მხედველობაში. კულტურული საკუთრების ერთ-ერთი ფორმაა კინოფილმი. 2014 წელს Sony Pictures გახდა კიბერშეტევის მსხვერპლი. დაზიანდა როგორც კინოფილმის ფაილები, ასევე კომპანიის მონაცემთა ბაზა და ათასობით თანამშრომლის პირადი ინფორმაცია დროებით გასაჯაროვდა. აღნიშნული კიბერშეტევის ორგანიზატორი იყო ჩრდილოეთ კორეა, რადგან ფილმი „ინტერვიუ“ წარმოადგენდა კომედიურ შარჟს, სწორედ ჩრდილოეთ კორეის მმართველზე კიმ ჯონგ-უნზე⁴³.

ტრადიციული კულტურული დანესებულებები დროდადრო ციფრულდება. უკანასკნელ 20 წელიწადში მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების აბსოლუტური უმრავლესობა გაციფრულდა, მათ შორის, ვატიკანის მუზეუმი, ორსეის მუზეუმი, ლონდონის ეროვნული გალერეა, ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმი, რაიკსმუზეუმი ნიდერლანდებში და ა.შ.⁴⁴ ზემოაღნიშნულ მუზეუმებზე კიბერშეტევა და გაციფრებული ხელოვნების ნიმუშების დაზიანება ან გატაცება ჩაითვლება კულტურული საკუთრების ხელყოფად და საერთაშორისო სამართლის დარღვევად.

2017 წელს ესტონეთმა პირველმა შექმნა მსოფლიოში „მონაცემთა საელჩო“, რომელიც განთავსებულია ლუქსემბურგში და წარმოადგენს მაღალი დაცვის მქონე მონაცემთა კონტროლის და შენახვის ცენტრს. აღნიშნული დანესებულების მიზანია, ესტონეთზე კონვენციური თავდასხმის, ბუნებრივი კატაკლიზმის ან კიბერთავდასხმის შემთხვევაში, ესტონეთის ციფრული ინფორმაცია, მათ შორის ციფრული თუ გაციფრებული კულტურული საკუთრება იყოს დაცული⁴⁵. პარალელურად, წამყვან სახელმწიფოთა ლიდერები, თავიანთ განცხადებებში, ხაზს უსვამენ კულტურული საკუთრების კიბერშეტევებისგან დაცვის აუცილებლობას და საფრთხეებს⁴⁶. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ სახელმწიფოები აცნობიერებენ, თუ რა საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს კიბერშეტევები კულტურული საკუთრების მიმართ და იწყებენ აღნიშნულ საკითხზე საკუთარ პოლიტიკურ დოკუმენტებში აპელირებას. მსგავსი ფორმა კარგად ნაც-

⁴³ Peterson, A. (2021). The Sony Pictures Hack Explained. Washington Post.

⁴⁴ Ong, R. Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 271.

⁴⁵ E-Estonia. Estonia to Open the World's First Data Embassy in Luxembourg. 2017. მისაწვდომია: <https://perma.cc.> ნანახია: 29.08.2025.

⁴⁶ Lyons, A. (2018). Identity of a Nation. *Columbia Human Rights Law Review*. მისაწვდომია: <https://www.aspi.org.au.> ნანახია: 30.08.2025.

ნობია საერთაშორისო სამართლისთვის. ეს არის ე.წ. „რბილი სამართლის“ ჩამოყალიბების გზა, სახელმწიფოთა პოლიტიკური დოკუმენტებიდან სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივ ხელშეკრულებამდე.

4. საერთაშორისო სამართლის ევოლუციური განმარტება კიბერსივრცეში კულტურული საკუთრების დაცვის მიზნით

4.1. ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრება როგორც არქივები

საერთაშორისო სამართლის ევოლუციური განმარტება არის მისი კიბერსივრცეზე გავრცელების საუკეთესო გზა. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი მოქმედებს მაშინ, როდესაც არსებობს სახელმწიფოთა პრაქტიკა და სახელმწიფოები კისრულობენ რიგ ვალდებულებებს. მეგრძოლი მხარე იქნება ეს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორი, უმეტესად, პასუხისმგებლობას არ იღებენ განხორციელებულ კიბეროპერაციაზე, რაც ართულებს ამ უკანასკნელის შერაცხვას. ზოგადად, მსგავსი საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება იწყება მაშინ, როდესაც ზიანი მიაღდება ან ზიანის საფრთხის ქვეშ დადგება წამყვანი სახელმწიფოების არსებითი ნაწილი. სწორედ ამიტომ, ჯერჯერობით, არ არის მოწესრიგებული კიბეროპერაციების საერთაშორისო სამართლის დარგი და არ არის შექმნილი კონკრეტული სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულება. თუმცა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე სამხედრო კონფლიქტის გათვალისწინებით, სადაც მხარეების მიერ აქტიურად გამოიყენება კიბეროპერაციები, ძირითადად, მეტოქეზე სამხედრო უპირატესობის მოპოვების მიზნით, ქმნის ახალ რეალობას და დარგის მოწესრიგების საჭიროებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე გვექნება ათეულობით კიბეროპერაცია, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება ვერ მიცემს სამართლებრივ შეფასებას და პასუხისმგებლობას ვერ დააკისრებს დამნაშავე მხარეს. მაგრამ, სანამ შეიქმნება კონკრეტული კიბეროპერაციების მომწესრიგებელი საერთაშორისო ხელშეკრულება, კიბეროპერაციებს აწესრიგებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი⁴⁷.

⁴⁷ ლვინჯილია, გ. (2022). კიბეროპერაციები და ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალი. 34.

ვინაიდან არ იქმნება ახალი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დაიცავს ციფრულ და გაციფრებულ კულტურულ საკუთრებას კიბეროპერაციებისგან, საჭიროა მათი დაცვა მოხდეს უკვე არსებული ჩარჩოს ფარგლებში. აქამდე არსებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები არ იცნობდნენ ტერმინებს „ციფრული“ და „გაციფრებული“, რადგან კულტურული საკუთრების დამცველი მთავარი დოკუმენტი შექმნილია 1954 წელს და იმ დროისთვის აღნიშნული ცნებები უბრალოდ არ არსებობდა. ერთ-ერთი გამოსავალია ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრების გააზრება თავისი შინაარსის მიხედვით და უკვე არსებულ რომელიმე დაცულ მიმართულებაში მოქცევა. ყველაზე ლოგიკურია, ასეთად შეირჩეს არქივები⁴⁸. ამ შემთხვევაში, ციფრულ და გაციფრებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე გავრცელდება აქამდე არსებული სამართლებრივი ჩარჩო, კერძოდ 1954 წლის ჰააგის კონვენცია.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვა ფიზიკურ ჩანაწერებზე, ბიბლიოთეკებზე და არქივებზე ეფუძნება მათ უდიდეს მნიშვნელობას კაცობრიობისთვის. კულტურული მემკვიდრეობა გამოხატავს საზოგადოების კულტურულ იდენტობას, ერთიანობას და ღირებულებებს⁴⁹. სწორედ ამიტომ, საუკუნეების განმავლობაში, თუ მეტროპოლ მხარეს სურდა მოწინააღმდეგის კვალის გაქრობა კონკრეტული ტერიტორიიდან და მომავალ თაობებში წინაპრების კვალის წაშლა, პირველი, რასაც აკეთებდა, იყო – კულტურული მემკვიდრეობის განადგურება.

დაკარგული არქივების აღდგენა შეუძლებელია, ისევე როგორც ციფრული საკუთრების, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ ციფრული ფორმით არსებობს და მისი განადგურების შემთხვევაში, არ არსებობს მისი ფიზიკური ალტერნატი. სწორედ ამიტომ, ციფრულ და გაციფრებულ კულტურულ საკუთრებაზე უნდა გავრცელდეს ზუსტად იგივე საერთაშორისო სამართლებრივი დაცვა, რაც არქივებზე ვრცელდება. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ისედაც იცავს ფიზიკურ ფორმაში არსებულ არქივებს და დოკუმენტებს⁵⁰. ანალოგიურად უნდა გავრცელდეს დაცვა აღნიშნული დოკუმენტების თუ არქივების ციფრულ/გაციფრებულ ვერსიებზეც. აღნიშნულს ამყარებს ის ფაქტიც, რომ 1954

⁴⁸ Cronin, Ch. (2015). 3D Printing: Cultural Property as Intellectual Property. *Cardozo Arts & Entertainment Law Journal*.

⁴⁹ Merryman, J. H. (1989). The Public Interest in Cultural Property. *California Law Review*. 339.

⁵⁰ Ong, R. (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 276.

წლის ჰააგის კონვენცია იცავს კულტურული საკუთრების რეპროდუქციებს, იქნება ეს მანუსკრიპტი, წიგნი თუ არქივი⁵¹. ციფრული/გაციფრებული საკუთრების შემთხვევაში, უპრიანი, იქნება თუ გამოვიყენებთ ევოლუციური განმარტების ფენომენს⁵². ცხადია, რომ 1954 წლის ჰააგის კონვენცია მიზნად ისახავს სხვა ტიპის კულტურულ საკუთრებასთან ერთად არქივების დაცვას. არქივის ერთ-ერთი თანამედროვე მაგალითი, თავისი ფორმით, შეიძლება იყოს ციფრული/გაციფრებული კულტურული საკუთრება. შესაბამისად, კონვენციის ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ევოლუციური განმარტების თანახმად, 1954 წლის ჰააგის კონვენცია საკუთარ დაცვას ზუსტად იგივენაირად ავრცელებს ციფრულ/გაციფრებულ კულტურულ საკუთრებაზე, როგორც ამას აკეთებს არქივებთან მიმართებით.

სახელმწიფოთა პრაქტიკა აჩვენებს, რომ რიგი სახელმწიფოები ავსებენ ინფორმაციას ციფრული/გაციფრებული კულტურული საკუთრების შესახებ 1954 წლის კონვენციის იმპლემენტაციის ანგარიშებში. ასეთი სახელმწიფოები არიან: ბელგია, კვიპროსი, საბერძნეთი, ავსტრალია, თურქეთი, ესტონეთი და სხვა⁵³.

4.2. მეომარი მხარის ვალდებულებები ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრების მიმართ

ციფრული კულტურული საკუთრება ექცევა შეიარაღებული კონფლიქტის მონესრიგების სფეროში, თუმცა კიბერსივრცის ახალი მახასიათებლები განსხვავდება იმისგან, თუ რა ვალდებულებები გააჩნიათ მეომარ მხარეებს. ამჟამინდელი საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი აწესებს შემდეგ ძირითად ვალდებულებებს, კულტურულ საკუთრებასთან მიმართებით: 1) სახელმწიფოებს ეკრძალებათ, კულტურულ საკუთრებაზე განზრახ დამიზნებით განახორციელონ მტრული აქტი; 2) სახელმწიფოებს ეკრძალებათ, კულტურული საკუთრების იმგვარად გამოყენება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ამ უკანასკნელს; 3) სახელმწიფოებს ეკრძალებათ, კულტურული საკუთრების ძარცვა ან ანგარიშსწორე-

⁵¹ Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. *supra* note 48. Art. 1(a).

⁵² ლეინჯილია, გ. (2022). კიბეროპერაციები და ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალი. 28.

⁵³ Ong, R. (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 278.

ბისტვის გამოყენება; 4) სახელმწიფოები ვალდებული არიან შეაჩერონ კულტურული საკუთრების ქურდობა, ძარცვა, ვანდალიზმი და არასათანადო მოპყრობა⁵⁴. აღნიშნული ვალდებულებები გამყარებულია 1954 წლის ჰააგის კონვენციით, მისი დამატებითი ოქმებით, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით და წარმოადგენს კულტურული საკუთრების და მემკვიდრეობის დაცვის ძირითად ინსტრუმენტებს.

აღნიშნული ვალდებულებები ნათელია, როდესაც სამხედრო დანაყოფები მოძრაობენ უშუალოდ კულტურული საკუთრების მახლობლად, მაგრამ ბუნდოვანი ხდება, როდესაც საქმე ეხება კიბერსივრცეში არსებულ კულტურულ საკუთრებას. მაგალითად, რომ ავილოთ ვიკიპედია, სადაც განთავსებულია 6 მილიონი სტატია მხოლოდ ინგლისურ ენაზე, ყოველთვიურად ყავს 2 მილიარდზე მეტი უნიკალური ვიზიტორი, არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მონახულებადი საიტი. ვიკიპედიის და მისი ქვე-პლატფორმების ელექტრონული მოცულობა აღემატება 24 ტერაბაიტს⁵⁵. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვიკიპედია ექცევა არქივების განმარტებაში 1954 წლის ჰააგის კონვენციის და 1907 წლის ჰააგის რეგულაციების მიხედვით⁵⁶. ვანდალიზმის ფაქტები უცხო არც ვიკიპედიას რედაქტორებისთვისაა. საიტი წარმოადგენს თანამშრომლობის სივრცეს მომხმარებლებს შორის. ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული ფაქტის დამახინჯება, სტატიის რედაქტირება და მცდარი ინფორმაციის განთავსება ხდება საიტზე, რის გამოსწორებაზეც მუშაობს რედაქტორების გუნდი. ერთი შეხედვით მსგავსი ფაქტები სერიოზულად არ აღიქმება, მაგრამ, თუ საქმე ეხება შეთანხმებულ სინქრონიზებულ ოპერაციას, მაშინ ზიანის მიყენების და მცდარი ინფორმაციის გავრცელების საფრთხე გაცილებით დიდია. 2019 წელს ჩინეთის მოწოდების და სავარაუდო მობილიზაციის შედეგად, 1600-ზე მეტი ცვლილება განხორციელდა ვიკიპედიას სტატიებში, რომლებიც ეხებოდა ჰონგ კონგს, ტაივანს და 1989 წლის ტიანმენის მოედნის პროტესტს⁵⁷. მსგავსი მასშტაბის ორგანიზებულ ოპერაციებთან ბრძოლა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრა საკმაოდ რთულია.

⁵⁴ Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. *supra* note 48, Art. 4. Additional Protocol I, *supra* note 57.

⁵⁵ Ong, R. (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 279.

⁵⁶ Henckaerts & Doswald-Beck. Customary International Humanitarian Law. *supra* note 18.

⁵⁷ Miller, C. (2019). China and Taiwan Clash over Wikipedia Edits. BBC. მისაწვდომია: <https://www.bbc.com>. ნანახია: 06.09.2025.

ერთ-ერთი გზა იმის დასადგენად, აზიანებს თუ არა სახელმწიფო კულტურულ საკუთრებას კიბერსივრცეში, არის მოძრავი შკალის (sliding scale) ანალიზი. რა მასშტაბის გავლენას ახდენს სამხედრო ოპერაცია კულტურულ საკუთრებაზე. მაგალითად, თუ სამხედრო ოპერაციისას განადგურდება არქივში არსებული რამდენიმე წიგნი, ეს იქნება მინიმალური ზიანი, ხოლო თუ გადაიწვება არქივი ან განადგურდება მისი არსებითი ნაწილი, ეს იქნება კულტურული საკუთრების განადგურება და არსებითი ზიანი. მსგავსი შედეგები დგება, როდესაც კულტურულ საკუთრებაზე თავდასხმა ხდება კიბერსივრცეში. მაგალითად, თუ ჩრდილოეთ კორეა გადაწყვეტს, რომ მათი ლიდერის შესახებ ვიკიპედიაზე არსებული სტატიები დაარედაქტირონ, აღნიშნული იქნება დისკომფორტი რედაქტორთა ჯგუფისთვის, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ ვითარება დაუბრუნდება პირვანდელს. მაგრამ თუ სტატიების დაარედაქტირების ნაცვლად ჩრდილოეთ კორეა გადაწყვეტს განახორციელოს კიბეროპერაცია და საიტიდან წაშალოს არსებითი მოცულობის ინფორმაცია, ეს უკვე გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს და წაშლილი ინფორმაციის თავიდან განთავსებას დასჭირდება დიდი დრო და რესურსი, შესაძლოა ზიანის სრულად აღდგენა ვერც მოხდეს. ციფრული/გაციფრებული კულტურული მემკვიდრეობა განსაკუთრებით ფასეულია, როდესაც ის რჩება მემკვიდრეობის ერთადერთ ფორმად. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ვარშავის განადგურებული ნაწილის აღდგენა მოხდა მე-18 საუკუნის ნახაზებით და ნახატებით⁵⁸. XXI საუკუნეში კი ისლამური სახელმწიფოს მიერ მოსულის და ლევანტის განადგურების შემდეგ მათი აღდგენა და ისტორიული ძეგლების რესტავრაცია ხორციელდება წინასწარ შექმნილი 3D მოდელების მეშვეობით⁵⁹.

სახელმწიფოთა სხვა ვალდებულებები კულტურული საკუთრების მიმართ კარგად ერგება კიბერსივრცესაც. მშვიდობიან დროს სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ციფრული და გაციფრებული კულტურული საკუთრება სხვა სახელმწიფოს ან არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებული ქურდობის, ვანდალიზმის ან არასათანადო მოპყრობისგან⁶⁰. მნიშვნელოვანია კიბერსივრცეში გამოყენებული თავდასხმის ფორმა. მაგალითად DDoS ტიპის თავდასხმისას, როდესაც ქსელის გადატვირთვა ხდება უამრავი წვდომის მოთხოვნით და საიტი

⁵⁸ Mersom, D. (2016). Story of Cities #28: How Postwar Warsaw Was Rebuilt Using 18th Century Paintings. Guardian. მისაწვდომია: <https://www.theguardian.com>. ნანახია: 06.09.2025.

⁵⁹ Rekrei: A Summary. 2021. მისაწვდომია: <https://perma.cc>. ნანახია: 06.09.2025.

⁶⁰ Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. *supra* note 48, Art. 3, 7.

ითიშება. ასეთ დროს, როდესაც მხოლოდ DDoS ტიპის თავდასხმა ხორციელდება, კულტურულ საკუთრებასთან მიმართებით, საერთაშორისო სამართალი არ დაირღვევა, რადგან თავდასხმის შედეგად, ციფრული/გაციფრებული კულტურული საკუთრება არ დაზიანდება, მხოლოდ წვდომა შეიზღუდება დროებით. აღნიშნულ შემთხვევებში, 1954 წლის კონვენცია დაირღვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც კიბერშეტევის სამიზნე უშუალოდ ციფრული/გაციფრებული კულტურული საკუთრება და მისი დაზიანება ან განადგურებაა.

ჰააგის 1954 წლის კონვენციის II დამატებითი ოქმი არ იცავს არქივებს. იგი იცავს ისტორიულ ძეგლებს, ხელოვნების ნიმუშებს და ღვთისმსახურების ადგილებს, რომლებიც ხალხების კულტურულ ან რელიგიურ მემკვიდრეობას წარმოადგენს⁶¹. ამასთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი განმარტავს, რომ მეორე დამატებითი ოქმი მოიცავს 1954 წლის ჰააგის კონვენციის განმარტებას კულტურულ მემკვიდრეობასა და საკუთრებაზე⁶². შესაბამისად, მეორე დამატებითი ოქმის დაცვა გავრცელდება კულტურულ საკუთრებაზეც, იმის მიუხედავად, რომ თავად დოკუმენტის ტექსტში არ არის ნახსენები არქივები. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს კულტურულ საკუთრებაზე DDoS ტიპის შეტევის განხორციელებას.

საყურადღებოა 1954 წლის ჰააგის კონვენციის მიერ დაწესებული ტერიტორიულობის საკითხი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფოები, მშვიდობიან დროს ვალდებული არიან, დაიცვან საკუთარ ტერიტორიაზე არსებული კულტურული საკუთრება. ამ შემთხვევაში, პრობლემურია ისეთი კულტურული საკუთრების დაცვა, რომელიც იმყოფება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მართალია, კონვენცია კულტურული საკუთრების დაცვის ვალდებულებას უწესებს ნებისმიერ ხელმომწერ სახელმწიფოს, მაგრამ ეს შეზღუდვა არ მოიცავს ყველა შემთხვევას. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიის ნაწილი, კერძოდ, აფხაზეთი, ოკუპირებულია. აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და კულტურული საკუთრება. თავის მხრივ, აფხაზეთში არსებული რეჟიმი არ არის აღიარებული სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ, არ არის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და, თავისთავად, არ არის 1954 წლის კონვენციის ხელმომწერი. ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ერ-

⁶¹ Geneva Conventions of 1949. II Additional Protocol. 1977. *Supra* note 57. Art. 16.

⁶² Ong, R. (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 281.

თ-ერთი გამოსავალი, რაც ამ ეტაპზე არსებობს და რაც იძლევა საშუალებას, აფხაზეთის ტერიტორიაზე კულტურული საკუთრების განზრახ დაზიანების შემთხვევაში, პასუხი მოეთხოვოს იქ არსებულ არაკანონიერ რეჟიმს, არის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი. აქაც, პასუხისმგებლობის ნორმები და რეპარაციის ფორმები მსგავსი შემთხვევებისთვის კონკრეტულად არ არის განვლილი.

კიდევ ერთი პრობლემური საკითხი უკავშირდება ციფრულ/გაციფრებულ კულტურულ საკუთრებას. ფიზიკურისგან განსხვავებით ციფრული/გაციფრებული კულტურული საკუთრება ინახება კიბერსივრცეში, კონკრეტულად, სერვერებზე. აღნიშნული სერვერები განთავსებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით და სახელმწიფოები სარგებლობენ არა მხოლოდ საკუთარ ტერიტორიაზე განთავსებული სერვერებით, არამედ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე სერვერებითაც. ასეთ დროს ჩნდება კითხვა, თუ A სახელმწიფოს ციფრული კულტურული საკუთრება ინახება B სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებულ სერვერზე, ვის აქვს აღნიშნული კულტურული საკუთრების დაცვის ვალდებულება? 1954 წლის კონვენცია ამბობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას საკუთარ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობა. აქ არ გვხვდება დაკონკრეტება, რომ სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მხოლოდ მისი კულტურული მემკვიდრეობა, არამედ ნებისმიერი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამას ემატება აღქმა და განმარტება, რომ კულტურული მემკვიდრეობა/საკუთრება წარმოადგენს მთელი კაცობრიობის საკუთრებას და არა მხოლოდ ერთი სახელმწიფოსი. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი ტიპის კულტურული მემკვიდრეობა, იმის მიუხედავად, ეს უკანასკნელი ეკუთვნის მას თუ სხვა სახელმწიფოს.

4.3. კიბერსივრცეში კულტურული საკუთრების ასლების (რეპლიკების) დაცვა

მეცნიერთა შორის განხილვის საგანია, თუ რა ზემოქმედებას ახდენს ციფრული ტექნოლოგიები ხელოვნების ავთენტურობაზე⁶³. ხელოვნების ნიმუში განსაკუთრებით ფასობს მისი ავთენტურობით. სწორედ ამიტომ, იცავენ ცნობილი ხელოვნების ნიმუშების ორიგინალებს და ცდილობენ, აღკვეთონ მისი რეპლიკით

⁶³ Paul, Ch. (2015). Digital Art. 3rd ed. London: Thames & Hudson. 96.

ჩანაცვლება. შესაძლოა, მსგავსი იყოს მიდგომა, როდესაც საქმე ეხება ცნობილ ფერწერულ ტილოს, მაგრამ განსხვავებულია შემთხვევა, თუ საუბარია ფოტოზე. უამრავი ცნობილი ფოტოს ციფრული რეპლიკა არსებობს და გავრცელებულია მთელ მსოფლიოში ინტერნეტის მეშვეობით. გავრცელებულია ვერსია, რომ ჰუმანიტარული სამართლის დაცვა რეპლიკებზე არ უნდა ვრცელდებოდეს, რადგან რეპროდუქციები მასობრივად არის გავრცელებული და მათი ფაქტობრივი განადგურება უკიდურესად რთულია. აღნიშნულის პარალელურად, კიბეროპერაციების მიმართულებით არსებული ამ ეტაპისთვის, ყველაზე სრულფასოვანი დოკუმენტი, ტალინის პრინციპების მეორე რედაქცია ხაზს უსვამს მეომარი მხარეების ვალდებულებას პატივი სცენ და დაიცვან კულტურული საკუთრება, რომელიც შეიძლება განთავსებული იყოს კიბერსივრცეში ან გახდეს კიბეროპერაციის ზემოქმედების საგანი⁶⁴. გარდა ამისა, ჰააგის 1954 წლის კონვენცია დაცვას ავრცელებს მნიშვნელოვან ნიგნებზე, არქივებზე ან რეპროდუქციებზე⁶⁵. კონვენციაში ცალკე იქნა გამოყოფილი რეპროდუქციების დაცვა, რათა მომავალ თაობებს ჰქონოდათ ხელოვნების ნიმუშების გაცნობის საშუალება მათი განადგურების შემთხვევაშიც კი. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალის მიერ განხილულ საქმეში (*Prosecutor v. Jokic*), რომელიც ეხებოდა ქალაქ დუბროვნიკში იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში არსებულ ნაგებობებზე თავდასხმას, ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ჟენევის კონვენციების I და II დამატებითი ოქმები იცავენ კულტურულ მემკვიდრეობას/საკუთრებას და კრძალავენ მასზე ნებისმიერი ტიპის თავდასხმას, იმის მიუხედავად, რეალური ზიანი მოჰყვება თუ არა, შედეგად თავდასხმას⁶⁶. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს კულტურული საკუთრების წინააღმდეგ განხორციელებულ, როგორც კონვენციურ, ისე კიბერ-შეტევებსაც და მათი განხორციელება ჩაითვლება საერთაშორისო სამართლის დარღვევად.

⁶⁴ Tallinn Manual 2.0 on the International Law Applicable to Cyber Operations. Cambridge University Press. 2017. *Supra* note 4. 534.

⁶⁵ Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. *supra* note 48. Art. 1(a).

⁶⁶ *Prosecutor v. Jokic*. (2004). Case No. IT-01-42-T. Sentencing Judgement para 50. ICTY. მიწანდომია: <https://perma.cc/ნანახია: 10.09.2025>.

4.4. როგორ დავიცვათ ციფრული კულტურული საკუთრება რეალურ ცხოვრებაში

შეკითხვად რჩება, თუ როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ჰააგის და ჟენევის კონვენციების და მათი დამატებითი ოქმების ფუნქციონირება ციფრულ კულტურულ საკუთრებასთან მიმართებით. ჰააგის კონვენციის მე-16 და მე-17 მუხლები ავალდებულებს მხარეებს, აღმნიშვნელი მარკერები გაუკეთონ ფიზიკურ კულტურულ საკუთრებას და ამ უკანასკნელს მიენიჭოს დაცულის სტატუსი⁶⁷. სამხედრო დანაყოფებს აქვთ კონკრეტული სიები, სადაც მოცემულია ინფორმაცია ობიექტების შესახებ, რომლებზე თავდასხმაც აკრძალულია და არ უნდა განახორციელონ მსგავსი აქტი. კულტურული საკუთრების ნიმუშებიც შედის ასეთ სიებში. სწორედ ამგვარი სიის არსებობამ გადაარჩინა განადგურებას უძველესი ძეგლები ყურის პირველი ომის დროს და 2011 წელს ლიბიაში შეჭრისას⁶⁸. მსგავსი ტიპის სიებში შესაძლოა მოხვდეს კონკრეტული სერვერები, მონაცემთა ბაზები ან IP მისამართები, სადაც დაცულია კულტურული საკუთრება. ეს ნაბიჯი არსებითად გაამარტივებდა კულტურული საკუთრების დაცვას კიბერსივრცეში. ამის ერთ-ერთი ტექნიკური გზაა სამოქალაქო ინტერნეტის გამოყოფა იმ ქსელისგან, რასაც მხარეები იყენებენ სამხედრო ოპერაციებისთვის. ასეთ შემთხვევაში, გაცილებით უფრო იოლი იქნებოდა კულტურული საკუთრების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტისას, რადგან ქსელების გაყოფით გაიმიჯნება მოქმედების, სამხედრო ოპერაციების და კულტურული საკუთრების დაცვის სივრცეც და ფიზიკურად ვერ ექნება ადგილი შემთხვევითობას ან თანმდევ ზიანს. ნათელი იქნება, რომ, თუ ვინმე კიბერშეტევას განახორციელებს რომელიმე კულტურული საკუთრების წინააღმდეგ, ეს იქნება მიზანმიმართული მოქმედება და არა შემთხვევითობა ან თანმდევი ზიანი. მინიმალურ დონეზე სახელმწიფოებმა გარკვეული კიბერთავდაცვის საშუალებები უნდა შექმნან კონკრეტულად კულტურული საკუთრების დასაცავად, რათა შეასრულონ 1954 წლის ჰააგის კონვენციის მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულება⁶⁹.

⁶⁷ Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. *supra* note 48. Arts. 16, 17.

⁶⁸ Gerstenblith, P. (2014). Beyond the 1954 Hague Convention in Cultural Awareness in the Military: Developments and Implications for the Future Humanitarian Cooperation. 90. მისანვდომია: <https://perma.cc>. ნანახია: 10.09.2025.

⁶⁹ Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954. *supra* note 48. Art. 3.

ციფრული კულტურული საკუთრების დაცვის კიდეც ერთი კარგი საშუალებაა საერთაშორისო თანამშრომლობა. მშვიდობიან დროს, 1954 წლის ჰააგის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საჯარო კულტურის სააგენტოებს და სამინისტროებს შეუძლიათ, ითანამშრომლონ, თუნდაც იუნესკოს შუამდგომლობით და განახორციელონ კულტურული საკუთრების გაციფრების პროექტები⁷⁰.

კულტურულ საკუთრებაზე კიბერშეტევის განხორციელებისას, მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა თანამშრომლობა კიბეროპერაციის შერაცხვის ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური განვითარების წყალობით განხორციელებული კიბეროპერაციის შერაცხვა „შეუძლებლიდან“ უკვე გახდა „შესაძლო“, მაინც საკმაოდ რთული პროცესია და წარმატების შანსებს განსაკუთრებით ზრდის საერთაშორისო თანამშრომლობა⁷¹. საერთაშორისო მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობა სახელმწიფოებს მისცემს მტრული კიბეროპერაციების აღმოჩენის და სამართალდამრღვევი ინდივიდებისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საშუალებას⁷². კულტურული საკუთრების დაცვა აქტუალური საკითხია საერთაშორისო საზოგადოებისთვის. აღნიშნულზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის დროსაც კი, 2020 წლის აპრილში 130 სახელმწიფოს კულტურის მინისტრი ზუმის მეშვეობით, ორგანიზებულ შეხვედრებზე, ცდილობდა თავიანთი მიგნებების გაზიარებას და ურთიერთდახმარებას, რათა მინიმიზირებული ყოფილიყო პანდემიის უარყოფითი ზეგავლენა კულტურის სექტორზე⁷³. პანდემიის დროს მსოფლიოს სახელმწიფოების 86%-მა ვიზიტორებისთვის დახურა თავიანთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები⁷⁴. ამ მოვლენამ კიდეც ერთხელ გაუსვა ხაზი კულტურული მემკვიდრეობის გაციფრების მნიშვნელობას. სწორედ ამიტომ, პანდემიის დასრულების შემდეგ, ქვეყნებს შორის აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობა მკვეთრად გაიზარდა.

⁷⁰ Ong, R. (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*. 293.

⁷¹ Gvinjilia, G. (2025). Attribution of Cyberattacks: The Need for New Evidentiary Standards in International Law. *Herald of Law*. 41-55. მისაწვდომია: <https://heraldoflaw.com>. ნანახია: 11.09.2025.

⁷² იქვე.

⁷³ UNESCO, Online Meeting of Ministers of Culture: Impact of Covid-19 Pandemic on the Cultural Sector and the Public Policy Response. 2020. მისაწვდომია: <https://perma.cc>. ნანახია: 11.09.2025.

⁷⁴ იქვე.

დასკვნა

განხორციელებული კვლევის საფუძველზე, დასაბუთებულად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლის ევოლუციის პროცესში, ციფრული ტექნოლოგიების გავლენა სულ უფრო მეტად განაპირობებს როგორც დოქტრინალური საფუძვლების, ისე სამართლებრივი რეგულაციების ტრანსფორმაციას. ციფრულ და გაციფრებულ კულტურულ საკუთრებას იცავს არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩო. ამისათვის საჭიროა, ციფრული/გაციფრებული კულტურული საკუთრებისთვის შესაბამისი ადგილის მოძიება. ეს მარტივად მიღწევადია მათი არქივებად და ჩანაწერებად კატეგორიზაციით. ასეთ შემთხვევაში, ციფრულ/გაციფრებულ კულტურულ საკუთრებაზე გავრცელდება 1954 წლის ჰააგის კონვენციების და მისი დამატებითი ოქმების და ჟენევის 1949 წლის კონვენციების და მისი დამატებითი ოქმების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში. აღნიშნული დაცვა არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფოთა დიდი ნაწილი არ იწუხებს თავს კულტურულ მემკვიდრეობაზე და საკუთრებაზე ფიქრით შეიარაღებული კონფლიქტებისას. ამას ემატება გარემოება, რომ წამყვანი სახელმწიფოები არ იჩენენ ინიციატივას შექმნან ახალი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები კულტურული საკუთრების/მემკვიდრეობის დაცვის მიზნით. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და მეცნიერებს უხდებათ არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ინტერპრეტირება და ახლებურად განმარტება, რათა შესაძლებელი გახდეს კულტურული საკუთრების დაცვა.

აღნიშნულ ვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და ახალი სამართლებრივი სტანდარტების შემუშავება, რომლებიც განხილული იქნება როგორც ტექნოლოგიური პროგრესის, ისე სამართლებრივი უსაფრთხოების პერსპექტივიდან. საკითხის ეფექტიანი გადაწყვეტა მოითხოვს როგორც მოქმედი ხელშეკრულებითი ჩარჩოების ახლებურ განმარტებას, ისე ახალი ნორმატიული ინსტრუმენტების ფორმირებას, რომლებსაც ექნებათ უნივერსალური და სავალდებულო ხასიათი.

შედეგად, ციფრული კულტურული საკუთრების დაცვა განიხილება არა მხოლოდ თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად, არამედ იმ სფეროდ, სადაც სახელმწიფოთა პრაქტიკა და დოქტრინალური მიდგომები უნდა მოვიდეს თანხვედრაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს კაცობ-

რიობის საერთო მემკვიდრეობის ეფექტიანი დაცვა თანამედროვე ტექნოლოგიური ეპოქის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები

- ღვინჯილია, გ. (2022). კიბეროპერაციები და ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალი.
- Paul, Ch. (2015). *Digital Art*. 3rd ed. London: Thames & Hudson.
- Vattel, E. D. (1797). *The Law of Nations*. G.G. & J. Robinson. London.
- Smith, G.B. (1959). *Islam and Christendom. in History of the World* (2nd ed., W.N. Weech ed.,).
- Henckaerts & Doswald-Beck. *Customary International Humanitarian Law*.
- Grotius, H. (2014). *The Rights of the War and Peace*. (A.C. Campbell trans., Project Gutenberg). 2014. <https://www.gutenberg.org>.
- Raven, J. (2004). *Introduction: The Resonances of Loss, in Lost Libraries: The Destruction of Great Book Collections Since Antiquity* (James Raven ed.,).
- Toman, J. (1996). *The Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict*.
- Thucydides, (2008). *History of the Peloponnesian War*. 566–67 (Richard Crawley trans. Floating Press). (Fourth century BCE).
- Crawley trans. Floating Press. (2008). Fourth century BCE.
- Xenophon. (2009). *Cyropaedia*. F.M. Stawell ed. Henry Graham Dakyns trans., Project Gutenberg. (370 BCE).

სტატიები

- Alexander, A. (2015). *A Short History of International Humanitarian Law, European Journal of International Law*.
- Lyons, A. (2018). Identity of a Nation. *Columbia Human Rights Law Review*. <https://www.aspi.org.au>. 30.08.2025.
- Peterson, A. (2014). *The Sony Pictures Hack Explained*. Washington Post.
- Hubbard, H. (2015). Syrian Expert Who Shielded Palmyra Antiquities Meets a Grisly Death at ISIS' Hands, N.Y. TIMES. <https://www.nytimes.com> (on file with the *Columbia Human Rights Law Review*. 03.08.2025).
- Cronin, Ch. (2015). 3D Printing: Cultural Property as Intellectual Property. *Cardozo Arts & Entertainment Law Journal*.

- Mersom, D. (2016). Story of Cities, 28: How Postwar Warsaw Was Rebuilt Using 18th Century Paintings. *Guardian*. <https://www.theguardian.com>. 06.09.2025.
- Solis, G. D. (2014). Cyber Warfare. *Military Law Review*.
- Gvinjilia, G. (2025). Attribution of Cyberattacks: The Need for New Evidentiary Standards in International Law. *Herald of Law*. <https://heraldoflaw.com>. 11.09.2025.
- Brosche, J. (2017). Heritage Under Attack: Motives for Targeting Cultural Property During Armed Attack. *Int' L J*.
- Merryman, J. H. (1989). The Public Interest in Cultural Property. *California Law Review*.
- Silberman, N. (2014). From Cultural Property to Cultural Data: The Multiple Dimensions of “Ownership” in a Global Digital Age. *International Law Journal. Cultural Prop*.
- Gerstenblith, P. (2014). Beyond the 1954 Hague Convention in Cultural Awareness in the Military: Developments and Implications for the Future Humanitarian Cooperation. <https://perma.cc>. 10.09.2025.
- Ong, R. (2021). Hard Drive Heritage: Digital Cultural Property in the Law of Armed Conflict. *Columbia Human Rights Law Review*.
- O’keefe, R. (2010). Protection of Cultural Property Under International Criminal Law. *Melbourne Journal of International Law*.

ნორმატიული აქტები

- Convention for Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict. 1954.
- Convention Respecting the Laws and Customs of War on Land. (1907).
- Geneva Conventions of 1949. II Additional Protocol. (1977).
- Tallinn Manual 2.0 on the International Law Applicable to Cyber Operations. Cambridge University Press. (2017).
- UNESCO, Charter on the Preservation of Digital Heritage. (2003).
- War Dept. General Orders No. 100: The Lieber Code. Instructions for the Government of Armies of the United States in the Field. 1863. <https://avalon.law.yale.edu>. 14.09.2025.

პრეცედენტები

- Prosecutor v. Ahmad Al Faqi Al Mahdi. ICC. (2016).
- Prosecutor v. Jokic. Case No. IT-01-42-T. Sentencing Judgement para 50. ICTY. (2004). <https://perma.cc>. 10.09.2025.

ინტერნეტ-რესურსები

- Miller, C. (2019). *China and Taiwan Clash over Wikipedia Edits*. BBC. <https://www.bbc.com>. 06.09.2025.
- Council on Foreign Affairs. *Cyber Operations Tracker*. <https://www.cfr.org>. 29.08.2025.
- Council on Foreign Affairs. *Understanding the Proliferation of Cyber Capabilities*. <https://www.cfr.org>. 29.08.2025
- E-Estonia. *Estonia to Open the World's First Data Embassy in Luxembourg*. (2017). <https://perma.cc>. 29.08.2025.
- Mission Statement, *CYARK*. <https://www.cyark.org>. 29.08.2025.
- Rekrei: *A Summary*. 2021. <https://perma.cc>. 06.09.2025.
- U.S. Department of Commerce. National Institute of Standards and Technology. *Information Security*. Glossary. Appendix B. <chromeextension://efaidnbnmn-nibpcajpcgglefindmkaj/https://nvlpubs.nist.go>. 29.08.2025.
- UNESCO. (2020). *Online Meeting of Ministers of Culture: Impact of Covid-19 Pandemic on the Cultural Sector and the Public Policy Response*. <https://perma.cc>. 11.09.2025.

PROTECTION OF DIGITAL AND DIGITIZED CULTURAL PROPERTY WITHIN THE SCOPE OF INTERNATIONAL HUMANITARIAN LAW

GURAM GVINJILIA

Doctor of Law

Associate Professor, Caucasus International University

guramgvinjilia@gmail.com

REVAZ BERULAVA

Assistant, Caucasus International University

Specialist at the Legal Provision and Research Department
of the Constitutional Court of Georgia

r.berulava@constcourt.ge

Abstract. The protection of cultural property constitutes one of the fundamental domains of international humanitarian law. However, the advent of modern era of cyber warfare and the digital technologies has generated novel legal challenges. This article examines the applicability of existing international legal frameworks, primarily the 1954 Hague Convention for the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict and its additional protocols, to three categories of heritage: physical, digitized, and digitally created cultural property. A historical-legal analysis demonstrates that cultural property has consistently been a deliberate target of destruction and looting during armed conflicts, prompting the gradual evolution of international law from the Lieber Code to the Hague and Geneva Conventions. While the digital transformation has significantly increased the accessibility of cultural heritage, it has simultaneously created heightened risks of cyber-threats, manipulation, and data destruction. The article argues that, notwithstanding the 1954 Hague Convention does not explicitly address “digital” or “digitized” property, an evolutionary interpretation allows such assets to be considered analogous to archives and repositories of cultural memory, thereby subjecting them to the existing regime of international legal protection. This approach is consistent with state practice, UNESCO initiatives, and the principle established in international law that cultural heritage constitutes a common value of humankind.

In conclusion, the study reflects that the protection of digital and digitized cultural heritage has emerged as one of the most pressing challenges of contemporary international law. While existing treaties provide a foundational framework, effective

safeguarding requires not only interpretative development of current norms and state practice but also the creation of new, universal, and binding legal standards to ensure the preservation of humanity's cultural identity in the digital age.

Keywords: *International Cyberoperations, Digital cultural property, International Humanitarian Law*

კონსტიტუციონალიზმის დიალოგი
DIALOGUE ON CONSTITUTIONALISM

კონსტიტუციისა და საკონსტიტუციო საპროცესო აქტების ინტერპრეტაცია და შეფასოები განვითარება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

კრისტინან შტარკი*

*გერმანულიდან თარგმნა
გიორგი ხაზაღიაშვილი**

იოზეფ იზენზეემ, რომელსაც ეს სტრიქონები ეძღვნება, ცოტა ხნის წინ თავის მნიშვნელოვან სახელმძღვანელოში „სახელმწიფო და კონსტიტუცია“¹, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუცია იცავს სახელმწიფოს, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას, რომელიც მისი მოქალაქეების თავისუფლებასა და ცხოვრებისეულ პირობებს უზრუნველყოფს. კონსტიტუცია, როგორც სამართლებრივი ტექსტი, ისე უნდა განიმარტოს, რომ გარანტირებული იყოს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო თავისუფლებათა ფუნქციონირება, რომელსაც კავშირი აქვს რეალობასთან, რაც მოითხოვს კონსტიტუციის „რეალობაზე ორიენტირებულ გაგებას“. ეს კონსტიტუციური ცვლილებებისა² და საკონსტიტუციო სამართლის შემდგომი განვითარების პრობლემას წარმოშობს.

სამოსამართლო საქმიანობა გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების რთულ პროცესს, რომლის დროსაც ფაქტობრივი გარემოებები დაკავშირებულია ინტერპრეტაციას დაქვემდებარებულ ნორმასთან³. სამართლის განვითარება გუ-

* გეტინგენის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი, ქვემო საქსონიის მიწის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე.

* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მოსამართლის უფროსი თანაშემწე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტი და სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორი, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარის პროექტის მუდმივი თანამშრომელი.

¹ In Isensee-Kirchhof (Hrsg.), Handbuch des Staatsrechts, 3. Aufl. Bd. II, 2004, S. 7, 100ff.

² AaO, S. 93 f.

³ Christian Starck, die Bindung des Richters an Gesetz und Verfassung: in Veröffentlichungen der Vereinigung der Deutschen Staatsrechtslehrer, Bd. 34, (1976) = ders Der demokratische Verfassungsstaat, 1995, S. 72 ff.

ლისხმობს სამართლის ძიების პროცესს. კონსტიტუციურ-სამართლებრივი მსჯელობის თვალსაზრისით, ამ რთულ თემაზე მოკლე ესეს დაწერის მცდელობა, უხერხულიც კი არის. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს, ფედერალური მიწების სასამართლოებისა და სხვა ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, ისევე როგორც, დოქტრინა კონსტიტუციის ინტერპრეტაციის შესახებ, ძალიან დიდი მასშტაბისაა. საკითხი მხოლოდ პრობლემის არსის გარკვევაშია, ანუ კონსტიტუციური ინტერპრეტაციის, როგორც ნამდვილი სამართლებრივი ინტერპრეტაციის გააზრებაში (I), ამ პროცესში სამართლის განვითარების როლის მხედველობაში მიღება (II, III). რამდენადაც საკონსტიტუციო სასამართლოები განმარტავენ და იყენებენ კანონებს, განსაკუთრებით კონსტიტუციური პროცედურის მარეგულირებელ სამართლებრივ დებულებებს, სამართლის განვითარების საჭიროება არაერთ საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოიშვა (IV).

I. მოსამართლის მიერ სამართლის ძიება კონსტიტუციური ინტერპრეტაციის გზით

საკონსტიტუციო სასამართლოებიც კი ექვემდებარებიან ნორმის ინტერპრეტაციის აღიარებულ წესებს სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას⁴. კონსტიტუციური ნორმის არსი განისაზღვრება (1) სიტყვის მნიშვნელობის მიხედვით; (2) ნორმის გრამატიკული კონსტრუქციის საფუძველზე; (3) ნორმის სისტემური ადგილის გათვალისწინებით; (4) ისტორიულად კანონმდებლის მიზანთან და შეხედულებასთან მჭიდრო კავშირში; (5) ობიექტურ-ტელეოლოგიური გადმოსახედიდან. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ინტერპრეტაციის დამატებით საშუალებებად მოიხსენიებენ: კონსტიტუციის ერთიანობას⁵, პრაქტიკულ კონკორდანსს და ფუნქციონალურ სისწორეს⁶, რომლებიც აშკარად ექვემდებარება სისტემური ინტერპრეტაციის მეთოდს. ეს კრძალავს ცალკეული კონსტიტუციური ნორმის იზოლირებულად განმარტებას და მოითხოვს კონსტიტუციის დანარჩენი დებულების განხილვას მისი აღიარებული კონსტიტუციური ფუნქციის ფარგლებში. ორდინალური კანონები თავდაპირველად ხელს უწყობენ ფორმულირებით განსაზღვრულ ფარგლებში „განმარტების შესაძლო გონივრუ-

